CMYK

# საერთო გაზეთი

№09 (193) ● 25-28.II, 2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



ბიძინა ივანიშვილმა ცხვირსახოცი რომ ამოიღო, გამიხარდა... აბა, ეს სააკაშვილი, პრეზიდენტი ჰქვია და ხელით იწმენდს ცხვირს...

რეზო ამაშუკელი:

## trikodakarguli biWebis, `riJa~ spiloebis, qosa ventilatorebis, WuWyiani `Sompolebis~ da sxvaTa Sesaxeb





## `saxelmwifo gadamtrialeblebi~, Zebnil Ta partia da Zveli megobrebis da Zveli mtrebis axali saZmo aliansi

ირაკლი სესიაშვილი:



ბევრი ჯარისკაცი ავღანეთის მისიაში წასვლაზე უკვე უარს აცხადებს. ამიტომ, თავდაცვის სამინისტროს უწევს არაკანონიერად იმ სამხედროების სამსახურიდან დათხოვნა, რომლებიც ავღანეთის მისიაში მონაწილეობაზე უარს ამბობენ.

## apirebs Tu ara Tavdacvis saministro arCevnebis dRes 15 000 opoziciurad ganwyobili rezervistis poligonze gawvevas?

რამაზ საყვარელიძე:



## dRes yvela miyruebul sofelSicician, romarsebobs biZina ivaniSvili, rogorc saakaSvilis alternativa

თემურ ქორიძე:



## movemzadoT warsulTan gamosaTxovebl ad, araviTari `Sexvedra warsulTan~

ვლადიმერ პოზნერი:



## saqarTvelo ar aris is qveyana, romelic magaliTad gamodgeba

მურაზ ნაზიევი:



## mzad var Sevewiro saqarTvelos, magram ara erayisa da iranis omSi

## operacia `eqvsi zangi~



ანუ მართლა მოიკლა თუ არა თავი ჰიტლერმა?

# შოთა ზოიძე – 70



70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე შოთა ზოიძე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო, ბატონო შოთა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან მშვენიერ პოეტს, ჭეშმარიტ შემოქმედს, მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენ იმ შემოქმედთა მეწინავე რაზმს ეკუთვნით, რომელიც აჭარაში – საქართველოს ძირძველ, უმშვენიერეს კუთხეში მოღვაწეობს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თანამედროვე ქართული მწერლობის წინსვლასა და განვითარებაში. დიახაც, რომ მეციხოვნედ გვეგულვებით იმ მიწაზე, რომელმაც მირიად ჭირ-ვარამს გაუძლო და დღევანდლამდე პატიოსნად, ვაჟკაცურად შეინახა ქართული სულის მშვენიერებანი; იმ მიწაზე, საიდანაც პირველად შემოანათა ქრისტეს იმ ათინათმა, XXI საუკუნეშიც ღვთაებრივი მადლითა და მირონით რომ ინახავს ქართველთა, ერთი მუჭა ქართველთა არსებობას ჯუნგლებად ქცეულ სამყაროში.

მართლაც რომ მშვენიერი პოეტი ბრძანდებით და ეს თქვენმა მეგობრებმა აწ უკვე შორეული, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იციან, როცა გაზეთ „აჭარაში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ.

თქვენი პოეტური კრებულები: „სიახლოვე“, „ათასი ზარი“, „პაემანი წვიმაში“, „უსანქციო სონეტები“, „სიყვარულის ახსნა“, „დიდი ქალაქი“, „სვეტი ნათლისა„, „წითელი თოვლი“, „თეთრი ქალაქები“, „ერთტომეული“ და მრავალი სხვა შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა გულწრფელობისთვის, ორიგინალობისკენ დაუოკებელი სწრაფვისთვის, სათქმელის ცხადად და მართლად გამოხატვისთვის, სახეობრივი აზროვნებისათვის. თქვენი შემოქმედების ძირითადი თემა სამშობლოა, მისი ბედი თუ უბედობა; ვაჟკაცური ქედუხრელობისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის აპოლოგიაა თქვენი სტრიქონები და სწორედ ამიტომაც გვიყვარხართ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების ღირსეულო შთამომავალო. თქვენი ყველასგან გამორჩეული პოეზია, რომელიც თარგმნილია ინგლისურ, თურქმენულ, უზბეკურ, ყაზახურ, უკრაინულ, სომხურ, თურქულ, რუსულ ენებზე, შთაგონების წყარო გახდა ისეთი დიდი კომპოზიტორისთვის, როგორიც გიორგი ცაბაძე იყო. მან არაერთი დიდებული სიმღერა შექმნა თქვენს ლექსებზე.

თავადაც ჩინებული მთარგმნელი ბრძანდებით. თარგმნეთ ფეოდორ ტიუტჩევის, ათანასე ფეტის, მიხეილ ლერმონტოვის, ალექსანდრ ბლოკის, სერგეი ესენინის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევას, ევგენი ევტუშენკოს, კონსტანტინე სიმონოვის პოეზიის ცალკეული ნიმუშები.

მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს დავით გურამიშვილზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვაჟა-ფშაველაზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, გიორგი ლეონიძეზე, ანა კალანდაძეზე, ოთარ ჭილაძეზე, თამაზ ჭილაძეზე...

ეს წერილები შევიდა ისეთ წიგნებში, როგორიცაა „ილია – საქართველოს გოლგოთა“, „ანა დედოფალი“, „ჯვარცმული ფიქრი“, „ადამიანი, რომელსაც ღმერთმა აკოცა“, „ძმები“, „სიყვარულის გაკვეთილები“, „ესეები“ (2 წიგნად)...

დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდით და ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით გამომცემლობა „აჭარის“ რედაქტორად, გაზეთ „აჭარის“ განყოფილების გამგედ, აჭარის ტელერადიოდეპარტამენტის თავმჯდომარედ, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ბათუმის კონსერვატორიის კათედრის გამგედ, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორად, გაზეთ „მამულის“ მთავარ რედაქტორად, ეროვნული ცნობიერების დაცვის საზოგადოების „ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომაგენლობის ხელმძღვანელად, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

დაჯილდოებული ხართ საქართველოს სახელმწიფო პრემიით, დავით აღმაშენებლის, ნიკო ნიკოლაძის, მემედ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიებით. გვიხარია, რომ სულ ახლახან მათ რიცხვს დიდი ილია ჭავჭავაძის პრემიაც შეემატა.

ჩვენო შოთა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ქართული სიწმინდეებისათვის ბრძოლაში მეწინავეთა შორის ბოლომდე ყოფნას გისურვებთ.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

**საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია**

**ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწერალი შოთა ზოიძე მწერალთა კავშირმა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით დააჯილდოვა.**




**არჩილ კბილაშვილი:** ჩემი გამონათქვამით, რომ პოლიტიკაში მომსვლელს, გარკვეულწილად, მოწესრიგებული უნდა ჰქონდეს მატერიალური სამყარო, ნამდვილად არ მითქვამს, რომ ღარიბების ადგილი არ არის პოლიტიკაში, და თუ ვინმემ ასე გაიგო, მცდარი აზრი შექმნია. მე უბრალოდ აღვნიშნე, რომ ადამიანი, რომელიც იღებს შემოთავაზებას, გახდეს რომელიმე პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრი, ეს ალბათობით ნიშნავს, რომ იგი მომავალში ამ პარტიის მართვაში მიიღებს მონაწილეობას. მას უნდა ჰქონდეს გარკვეული წარმატება თავის კარიერაში. რაც შეეხება ამ ადამიანის მატერიალური გარესამყაროს მოწესრიგებას, როცა ადამიანი იღებს ვალდებულებას სხვა ადამიანების ბედის გადაწყვეტაზე, მას არ უნდა ჰქონდეს საზრუნავი საკუთარი მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. რამდენად წარმოგიდგენიათ, ადამიანს საკუთარი არ ჰქონდეს მოწესრიგებული და სხვის კეთილდღეობაზე ზრუნავდეს?!

რაც შეეხება ფიზიოლოგიური ეტაპების გადალახვას, მე იმ წუთას არ ვსაუბრობდი რომელიმე კონკრეტულ ინდივიდზე და თუ ეს ვინმემ თავის თავზე მიიღო, ეს მისი პრობლემაა. მე ვსაუბრობდი იმ ღირებულებით კატეგორიებზე, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი. ამ შემთხვევაში „ადრეფიზიოლოგიური ეტაპის გადალახვა“ იყო ამ აზრის ხატოვნად გადმოცემა. ხოლო თუ აქ პრეზიდენტზეა საუბარი, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ნამდვილად ასე ფიქრობს და მათ შორის მეც.

მე ეს ფორმულა, როგორც ზნეობრივი კატეგორია, ისე დავსახე, ჩემი აზრით, „ქართულ ოცნებაში“ არიან გაერთიანებული ადამიანები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმს.

რაც შეეხება წარმატებული ადამიანის ირგვლივ არსებულ სტრეოტიპს ანუ კონფორმისტებს, მე შემიძლია ვისაუბრო საკუთარ წარსულზე. მე ბაღდათის რაიონიდან ვარ, უნივერსიტეტში სწავლისას ვცხოვრობდი სტუდქალაქში, ამის შემდეგ ჩემი პირველი საცხოვრებელი იყო ნაქირავები ბინა და შემდგომ ჩემი პროფესიული საქმიანობით შევძელი ის, რომ ელემენტარული, მინიმალური მოთხოვნები დამეკმაყოფილებინა, რაც აუცილებელია ადამიანისათვის, სამშვილიანი ოჯახისათვის. სწორედ ამიტომ დავარქვი მე ამას მეტნაკლებად მოწესრიგებული მატერიალური სამყარო. აქ საუბარი არ არის ფუფუნებაზე. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ თუ ადამიანს არ აქვს მატერიალური სამყარო მოწესრიგებული, მან პოლიტიკაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. მაგრამ როდესაც ადამიანები აცხადებენ პრეტენზიას მართვაზე, დიახ, მას მოწესრიგებული უნდა ჰქონდეს ეს სამყარო. თუმცა პოლიტიკაში მოღვაწეობა შეუძლია ყველა სრულწლოვანს, რომელთათვისაც ეს აუცილებელი არ არის. ანუ პოლიტიკის ღარიბებისგან გაწმენდაზე არ ყოფილა საუბარი.

რაც შეეხება გუნდში წევრების გამოსვლების განხილვას, ასეთი რამ არ ყოფილა, თუმცა აზრთა გაზიარება, რა თქმა უნდა, იყო. და ყველაზე მთავარი, რასაც ამ დროს ხაზი გაესვა, იყო გულწრფელობა. როდესაც ადამიანი გულწრფელად ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, შეიძლება ამაზე ნაკლებად კეთილმოსასმენი რამ თქვას, მაგრამ ამის გამო დაგმობა არ ეკუთვნის. შესაძლებელიაV ამ აზრის გამოხატვისთვის არ იყო საჭირო ასეთი ხატოვანი ფორმის შერჩევა, შეიძლებოდა უფრო მარტივი სიტყვებით თქმა და არ მოჰყვებოდა ამხელა ხმაური. თუ ფასადს შევიქმნით და ვისაუბრებთ უფრო დახვეწილი ენით, ამით შეიძლება არც არაფერი დაშავდეს, მაგრამ გულწრფელობა დაიკარგება. არ ვიცი, რამდენად შევძლებ ბოლომდე ვიყო მუდამ გულახდილი და გულწრფელი, მაგრამ ძალიან მინდა, ეს ასე იყოს.

რაც შეეხება დამფუძნებელ კრებას და ჩვენს ფუნქციებს, ჯერ მხოლოდ ქმნადობის პროცესია, ამიტომ ზუსტად ვერ გეტყვით, რა ფუნქციას შევითავსებ. ალბათ, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, დავლაგდები. მე ხომ ვერ ვიქნები ექსპერტი ეკონომიკის ან სხვა დარგში. რამაც მე ამ ხალხთან მომიყვანა, ეს არის პრობლემები მართლმსაჯულებაში; მიუხედავად იმისა, რომ მეტად მიმზიდველია ბატონი ბიძინას პირადი მაგალითები, რაც მას აქვს საქართველოსთვის გაკეთებული, რომ არა შიდა პრობლემები, რასაც მე განვიცდი ჩემს პროფესიაში, შეიძლება ნამდვილად არ ვყოფილიყავი იქ. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს პროფესიაში ამ ეტაპზე ჩემი თავი ამოვწურე. საერთოდ, სისხლის სამართალში დღესდღეობით ყველა ადვოკატს ამოწურული აქვს თავის შესაძლებლობა.



რაც შეეხება ჩემს ისრაელში ვიზიტს, მე ნამდვილად ვიყავი ისრაელში იმ პერიოდში, როცა იქ ბრძანდებოდა პატრიარქი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე მისი დელეგაციის წევრი ვიყავი. უბრალოდ ჩვენ (აქ ვგულისხმობ ჩემს კლიენტ ყოფილ ებრაელ პატიმრებს, რომლებიც ახლა გათავისუფლებულები არიან) გვინდოდა ისრაელში შევხვედროდით პატრიარქს და გადაგვეხადა მადლობა ყველაფრისათვის, რაც მან ამ ადამიანებისთვის გააკეთა. გუშინ პატრიარქის სურვილით შერჩეულ მეფე დავითის საფლავზე მოხდა შეხვედრა ყოფილ პატიმრებთან. რასაკვირველია, შეხვედრა იყო მეტად ემოციური, თბილი გრძნობების, საჩუქრების გაცვლით.

რაც შეეხება ნაციონალური არხებით გავრცელებულ „ბრალდებას“, რომ მე შევარდნაძის ყოფილი ჩინოვნიკების (ჩხაიძე, მამალაძე და ა.შ) ადვოკატი ვიყავი და ეს ჩემთვის კომპრომატია, იქნებ მიპასუხოთ, ექიმისთვის, რომელმაც, ვთქვათ, შევარდნაძეს უმკურნალა, ეს კომპრომატია? მე მეტსაც გეტყვით, მომავალში შეიძლება ისევ დავუბრუნდე ჩემს პროფესიას და კვალვ გავაგრძელო ასეთი მაღალი ჩინის მქონე ადამიანების დაცვა და ვის მოუწევს იყოს ჩემი კლიენტი, ჯერ არ ვიცი, თუმცა არა მგონია, ეს კომპრომატი იყოს. როგორც წესი კლიენტი არჩევს ადვოკატს, ისე როგორც პაციენტი - მკურნალ ექიმს.

კიდევ ერთ რამეს გეტყვით, არის ასეთი საოცარი განცდა, როცა ადვოკატი პატიმარს ხვდება საკანში, რომელიც ყველა რეგალიებისაგან დაცლილია და იქ რჩება წმინდა ადამიანური ურთიერთობა. ზემოთ ჩამოთვლილებთან და კიდევ სხვასთანაც მე მქონია ფსიქოლოგიური საუბარი ტრადიციებზე, ფასეულობებზე, რომელიც არანაირად არ უკავშირდება კორუფციას და სხვა დანაშაულებებს, რის გამოც შეიძლება ასეთი აზრი გაჩენილიყო. ასე რომ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ის ადამიანი კორუმპირებული იყო, ისევე როგორც ექიმისთვის, ისევე როგორც მესაფლავისთვის, რომლის მისახედიც არის საბოლოოდ ყველა, რაგინდ ძლიერი ამაქვეყნისა იყოს.

თუ ისევ მართლმსაჯულებას დავუბრუნდებით, პირველი პრობლემა, რაც სასამართლოს გაჩნია, ეს არის დამოუკიდებლობის პრობლემა - ანუ პირველი ხელისუფლება დომინირებს მესამე ხელისუფლებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და აუცილებლად უნდა შეიცვალოს პოლიტიკური ნება. მე არ ვთვლი, რომ ეს კანონის პრობლემაა. დღევანდელი კანონმდებლობა იმაზე უფრო მკაცრია, ვიდრე ეს ადრე იყო. ვგულისხმობ იმას, რომ მოსამართლესთან კომუნიკაციის წესები არის ძალიან გამკაცრებული. ანუ აქ კანონზე კი არა, პოლიტიკურ ნებაზე და შემდგომ ქცევის წესზეა დამოკიდებული. თუმცა დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ ეს აუცილებლად გამოსწორდება. ავიღოთ ისრაელის მაგალითი, მოშე კაცავი გასულ წელს თავისი ფეხით წავიდა ციხეში და იხდის სასჯელს. კაცი, რომელიც იყო მოქმედი პრეზიდენტი, რომელიც იძულებული გახდა სექსუალური სკანდალის გამო დაეტოვებინა თანამდებობა, შემდეგ მისი ინიციატივითვე დაიწყო გამოძიება და საბოლოოდ ის სასამართლომ სცნო დამნაშავედ. ეს არის ნიმუში იმისა, თუ რა შეიძლება იყოს ძალაუფლების საპირწონე და ალბათ, ადრე თუ გვიან, ეს შეიძლება ჩვენთანაც გაკეთდეს, ყოველ შემთხვევაში, ოცნება ამაზე შეიძლება.

**„მაესტრო“**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

# trikodakargulibiWebis, `riJa~ spiloebis, qosa ventilatorebis, WuWyiani `Sompolebis~ da sxvaTa Sesaxeb



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოეტი* ***რეზო ამაშუკელი***

— მეტი წილი სახლში ვარ და იმ დღეს ტელევიზორი ჩავრთე. (ზოგჯერ „ერთსულოვნებას“ ვუყურებ, „მაესტროს“ და რაღაც ასეთებს. იმათი დანახვა, საერთოდ არ შემიძლია იმიტომ, რომ სახელმწიფო პოლიტიკად იქცა იმ ტელევიზიებში პედერასტების მოყვანა, — ამას ისე ვამბობ, ტელევიზორის ჩართვას მოვაყოლე.)

**ეს ასინთეთა უბედური, რვა თვის ორსულს ჰგავდა; რაც ბრონიჟილეტი იყო, ალბათ, ყველა ჩააცვეს; თავზე ქოთანივით ედო ის ქუდი, — „ჩესტს“ რომ იღებს, ასინეთა სჯობს მაგას... ქართველ სამხედროებს რომ ელაპარაკებოდა იქ, — როგორ შეიძლება, ამან ვაჟკაცობაზე ხმა ამოიღოს...**

თი კაცი. „მაღალია, ლამაზია, ქარიზმატულია“ — ქარიზმატული კი არა, კრეტინია ეგა! — არც უნდა ვამბობდე ამას...

ვუახლოვდები მთავარ სათქმელს, რაც ახლა ყველაზე უფრო გვტკივა ჩვენ, —

**დღეს მოვისმინე ივანიშვილის დეკლარაცია. ამდენი ხნის მანძილზე, პირველად ვამბობ მე, რომ ცოტა იმედი ჩამესახა, რომ ეს ქვეყანა, შეიძლება, გადარჩეს. (მიუხედავად ჩემი პრეტენზიებისა, მაქვს მე იქ რაღაც, მაგრამ ამას დროებით ვივიწყებ.) ივანიშვილის წარმოდგენილი დეკლარაცია იყო აბსოლუტურად ჩამოქნილი, ჩამოყალიბებული, — ეტყობა, რომ ნებისყოფიანი კაცია, სხვანაირად წარმოუდგენელიცაა.**

თუ მკითხველი აკვირდება, მე უაპელაციოდ არ ვეთანხმებოდი არასოდეს, ყოველთვის მქონდა შენიშვნები და მექნება ყოველთვის, რაც არ მომეწონება, პირდაპირ

**აი, დღეს, როცა მოვუსმინე ამ კაცს, მაქვს იმედი, რომ ყველაფერი დაბალანსდება, მაგრამ მარტო ამ კაცის იმედზე ნუ ვიქნებით. თითოეულმა ქართველმა უნდა გაიგოს, რომ დღეს მის ხელშია ამ ქვეყნის ბედი.**

ერთი რამ კი არის, ჯერჯერობით, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ბატონი ბიძინა ამბობს, უნდა მორჩეს მესიანისტობა საქართველოშიო, დღეს ასეა საქართველოში, სხვა გზა არ არის, — არის ორი ძალა, ერთ მხარეს არის შავი ჭირი, რომელიც მოთრეულია იმიტომ, რომ წაშალოს საქართველო, მეორე მხარეს კი დგას კაცი, რომელმაც დადო ყველაფერი, საკუთარი ოჯახის კარგად ყოფნაც, ქონებაც, ფიზიკური მდგომარეობაც და ყველაფერი...

ხომ არ გგონიათ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ივანიშვილზე ნაკლები ფული აქვს, შეიძლება, ორჯერ მეტიც აქვთ. როდესაც გადარჩენის შანსი აღარ დარჩებათ, მაშინ იმ ფულს, ესენი, გაიღებენ.

ირაკლი სესიაშვილმა თქვა, ჩვენ, რევანშისტული განწყობა არ გვაქვსო, — ასე უნდა ილაპარაკონ პოლიტიკოსებმა.

**ბიძინა ივანიშვილმა ცხვირსახოცი რომ ამოიღო, გამიხარდა... აჰა, ეს სააკაშვილი, პრეზიდენტი ჰქვია და ხელით იწმენდს ცხვირს...**

მაგან შეიძლება ილაპარაკოს შადრევნებზე, გაბერილ ბუშტებზე, „ქეთო და კოტეზე“... საერთოდ, როგორ ბედავს ვაჟკაცობაზე პირის გაღებას, როცა ცხვირით გათხარა გორი!... ეხლა, ჩაბრძანდა ავღანეთში, მსოფლიოს დაანახოს, როგორი ვაჟკაცია, — რა ვაჟკაციცაა და ვინც არის საერთოდ, მსოფლიომ იცის... ყველამ ზურგი შეაქცია... მე დარწმუნებული ვარ, თვითონ შიგნით, მაგ „ნაცმოძრაობაში“, ყველაზე კარგად იციან, რომ ეგ არის გადარეული და თან აფერისტია, მაგრამ... აღარ შეიძლება უკვე ამდენი კლიპების ტრიალი, სირცხვილია, ბოდიში და, ერთადერთი, ღამის ქოთანზე დამჯდარი არ გვინახავს ეგ ჩვენ, დანარჩენი, ხეზე, სახურავზე, — ყველაფერი გვაჩვენეს უკვე. ახლა, ის არის მეოჯახე ბიჭი, სულ სახლში ზის და მაკარონს ჭამს, — სირცხვილია, ეს ყველაფერი, მე მცხვენია უკვე...

თამაზ წივწივაძემ დაარტყა „რეფორმატორებს“ როგორც კი გამოჩდნენ, ეს გათახსირებულები და პირდაპირ ვამბობ, ჟვანიას ხელით გამოძერწილები, მერე თავისი ხელით მიწაში რომ ჩადეს თვითონ და ვითომ არაფერი იციან და გაჩუმებულები არიან და მე ვებრძოდი ერ-

ვიტყვი, არ არსებობს, რომ მე რამემ, გამაჩეროს, სადაც დავინახავ, რომ რამე ნაბიჯი იდგმება ჩემი ქვეყნის, ჩემი ერის, ჩემი სარწმუნოების, ჩემი მენტალიტეტის, კაცური ღირსებების წინააღმდეგ, იქ, ჩემი გაჩერება წარმოუდგენელია, ვინ გინდა ის იყო მეორე მხარეს...



**მე რევანშისტული განწყობა მაქვს და ვაცხადებ ხმამაღლა, რომ მე მათი პატიება არ შემიძლია! ამიტომაც არ ვარ მე არც „ოცნებაში“, არც პარტიაში და არ ვარ პარტიული მოღვაწე და პოლიტიკოსი, მე ჩემი საქმე მაქვს...**

ერთხელ, იმის გამო, რომ თბილისის წალეკვას უპირებდნენ, დავდექით ბიჭები და მაშინაც წინააღმდეგი ვიყავი ყოველგვარი პარტიულობის, — ასე იყო ეს, — თვითონ მილიარდელები გახდნენ და მე კიდევ, წუწუნი არ მინდა, თერთმეტი სული ვართ აგერ და ერთი მუშაობს, აი, ეს მოიტანა ამ გიჟმა გადარეულმა...



კი, არ შეიძლება თქვა, რომ მოვალ თქვენს დასამხობადო, მაგრამ ისიც თუ არ თქვეს, რომ ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი და დანაშაული სახეზეა და ახალი ლიბერალები და დემოკრატები თუ მოვიდნენ ისევე და ამათ ყველაფერი აპატიეს, რა ჯანდაბად მინდა მაშინ მე მაგათი მოსვლა!

მერე გამოვიდნენ უმრავლესობის წევრები, დარჩიაშვილები, ჩიტიძე, დიდი როდინის ქვასანაყს რომ ჰგავს და ტუჩებს ატყლაშუნებს, სახეზე ეტყობა, მაგას როგორ შეიძლება ადამიანი უყვარდეს!

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, —

**ჩვენს დროს, როცა საჭირო იყო, კაცს ეტყოდნენ, „ბიჭო, შენ, ტრიკო ხო არ დაგიკარგიაო!“ — დარჩიაშვილის თამადობით, ამ ტრიკოდაკარგულ ბიჭების გასაგონად მინდა ვთქვა, ყველა დაკომპლექსებული იდიოტია თავიდან ბოლომდე, დააკვირდით!**

გავიკითხე, მაინტერესებდა, ამნაირი ფსიქიკის ხალხი საიდან გაჩნდა, — ბავშვობაში არაფრად აგდებდნენ,ოგოკადან დაწყებული, ის რომ არის, გიგი თევზაძე, — ყველას პანჩურს ურტყამდენ, ეს კიდე, ხეზე იჯდა თურმე, ეს კრეტინი, „ჩვენი მაღალი“ და იქიდან უყურებდა მისი ამხანაგები რომ ფეხბურთს თამაშობდნენ, — იმიტომ დაყავს ბებიამისს დღესაც ხელით. ეხლა მომინდომა კაზანოვობა და გრიშკა რასპუტინობა, — ძალიან კარგად ვიცით რა რასპუტინიც არის, ბოდიშს ვიხდი და, იმ ბოზებს გარეთ გამოაქვთ ხმები და ყველაფერი ხელისგულზე დევს... კარგად გაიხსენონ, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერი რომ იყო, როგორ კრუსუნობდა აჭარაში პროსტინაწახურული, — ნახევარ საქართველოს ნანახი აქვს ეგ კადრები...

**— აჭარაში, სასტუმროში გადაღებული ვიდეოკასეტები რომ ტრიალებდა ხალხში?**

— ხო, ხო და ტყუილად ნუ ყინჭაობენ... ეგ კიდე ვაჟკაცობაზე მელაპარაკება...

**ტელევიზორში ვნახე, ივანიშვილმა ცხვირსახოცი რომ ამოიღო და გამიხარდა. ეს კიდევ ეს საააკაშვილი, ხელით იხოცავს ცხვირს — პრეზიდენტი კაცი ხარ შე მკვდარძაღლო, „ბოინგს“ ყიდულობ შე შობელძაღლო შენ, შე გამოხოხებულო სომეხო, „ბოინგს“ ყიდულობ და ერთი ცხვირსახოცი ჩაიდე რა, ჯიბეში!...**

მერე კიდე, შეიძლება, რომ ადამიანს არაფერი უხდებოდეს, არც კომუფლიაჟი, არც სპორტული ტანსაცმელი? — არაფერი არ უხდება, იმიტომ, რომ დებილია, ქალის ჰორმონებით არის გაძეძგილი, მასე არიან ყველანი...

**— სხეულის ქვედა ნაწილის ქალური ფორმები გაქვთ მხედველობაში?**

— მასეთი ფორმები, შეიძლება, სხვებსაც ჰქონდეთ, მაგრამ კაცები იყვენ, — მათ საქციელში ჩანს, რომ დაკომპლექსებულები არიან თავიდან ბოლომდე...

**— ვაჟკაცები საზარბაზნე ხორცად არიან გაწერილები და...**

— მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ ჩვენი ბიჭები ასე მიყავდეს მაგას სადღაც, ხოცავდნენ და ეს იდიოტი თან იმას ამბობდეს, რომ ეს კეთდება საქართველოს ძლიერებისთვის. რომელ ძლიერებაზე მელაპარაკება, ხან კუდამოძუებულები გამორბოდნენ გორიდან და ხან სუფრებს უშლიდნენ რუს გენერლებს გოროზიები და ისინი, — ენა გააჩერონ, ურჩევნიათ!

**ეს არანორმალური, სადაც ჩადის სიკვდილი ჩააქვს, — იჯდა ახლა აშშ-ის ელჩთან და ნიანგის ცრემლებს ყრიდა იმ სამი დაღუპული ქართველი ბიჭის გამო ვითომ, — მაგან მოატყუოს ბებიამისი! მწარე დღე იყოო, რომ ამბობს, სახალხოდ ვეკითხები ამ კრეტინს, თვითონ და მისმა ხროვამ ამდენი ხალხი რომ ჩახოცა საქართველოში, მაშინ რას ფიქრობდა?**

— აგვისტოს ომამდე სულ ცოტა ხნით ადრე, მახსოვს, ვარძელაშვილი თვითონ ამბობდა, რუსი გენერალი დავათვრეო, რუსებმა კი გა-

4 gv.

# trikodakargulibiWebis, `riJa~ spiloebis, qosa ventilatorebis, WuWyiani `Sompolebis~ da sxvaTa Sesaxeb

3 gv.

**ახმაურეს, გივი თარგამაძე 50 000 დოლარს გვთავაზობდა გორში, სტალინის ძეგლის აფეთქებაშიო...**

— თარგამაძეზე საერთოდ არ მინდა ლაპარაკი, მაგას, თვითონ ესენი მოუვლიან, იმდენ დანაშაულს ამოუწევენ იარაღით ვაჭრობაზე... თითოეულ მათგანს „აფთრის კომპლექსი“ აქვს, აფთარი სისხლს რომ დაინახავს, შეიძლება, თათი მოიჭამოს, — დაერევიან ერთმანეთს. „კოალიციის“ დაშლაზე ნურც ოცნებებენ, როგორც იმათ არა აქვთ უკან დასახევი გზა, ისე ამათაც არ აქვთ. იმიტომ რომ, კოალიციამ ეხლა ერთი შეცდომაც რომ დაუშვას, ხალხი აღარ მიუბრუნდება, — ეს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული.

**სახეზე აწერია ივანიშვილს, რომ უდიდესი ნებისყოფის კაცია... რომ იძახიან, რუსეთში იშოვა ფულიო, ეს ნეხვმზიდი რომ უზის აქა, ბენდუქიძე, ეს უხორთუმო „რიჟა“ სპილო, სად იშოვა მაგან ფული! — უსირცხვილოები...**

**— „რიჟა“ რომ თქვით, დავიბენი, რატომღაც გრიგოლ ვაშაძისკენ გამექცა ფიქრი და ვერ დაგეთანხმეთ რომ სპილოსთან ასოცირდება...**

— ბენდუქიძე „რიჟაა„“ აბა, რა არის, მაგრამ ვინ არის ვაშაძე, ნინო ანანიაშვილის ცოლზე ხომ არ მეკითხებით?

ის რომ არის, მელიქიშვილია თუ ვინ არის, — ჩვენ არ ვეთანხმებით, მართალია, კონტროლის პალატის გადაწყვეტილებას, მაგრამ ფულს მაინც გადავურიცხავთ ჩვენო, — ვინ ჭამს მაგას,

**ვის უდგამენ ამ სპექტაკლებს!... ეხლა, „ვეფხვს“ გადაუგდეს „კურდღელი“, კურდღელაშვილი ვეფხვაძეს, — ზოოპარკია? — ვის ატყუებენ ესენი! ეს „გალსტუკიანი ხვლიკი“, გიორგი თარგამაძე რომ გამოდის და ვითომ აშინებს მაგათ, ხომ არ დაავიწყდა, საიდან მოეთრა, როგორ შეხტა ქუსლებზე, დაიწყო ტლიკინი და გაიძვერობითა და მოღალატეობით მოვიდა აქამდე... ან ის ნასოსით გაბერილი რომ ჰყავთ, ახვლედიანი, თვითონ „ვეშაპი“ დაარქვეს, რანაირ სპექტაკლებს დგამენ, რანაირი მსახიობები არიან, საერთოდ არ რცხვენიათ?**

ამასწინათ, ორი აფერისტი, კუბლაშვილი პალიკო და ვეფხვაძე ისხდნენ „მაესტროში“ და ვითომ კამათობდნენ, — ეს სულ დადგმული სპექტაკლებია, როგორც „ძველი ბიჭი გვერდიდან“ ბობოხიძე და ნასოსით გაბერილი ახვლედიანი რომ კამათობდნენ ხელში სიმინდის ტაროებით. საერთოდ, ჯობია, რომ „გალსტუკიანი ხვლიკი,“ პოლიტიკური ბალერინა, ჩახვაძე, პარტია „თვითონ მე“ თუ „მარტო მე“ რომ არის, დაჭმუჭნული თორთლაძე, გვერდს



რომ უმშვენებს, ბატონი მაია იზას ძე ორჯონიკიძე, **ყველანი გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბონ „დაკარგული ტრიკოების პარტია“.**

თევზაძიდან დაწყებული, ამ ტრიკოდაკარგულებმა ერის გადაკეთება ხომ მოინდომეს თავიდანვე, სახელმწიფო ენა უნდა ყოფილიყო ინგლისური, ეხლა უნდათ, რომ როგორც გეოგრაფიული მდებარეობა, ისე წაშალონ საქართველო, 15 ჰესი უნდა ავაშენოთო, — ეს იცით, რას ნიშნავს?

**მე არც ეკოლოგი ვარ, არც ჰიდროინჟინერი, მაგრამ ვიცი რასაც ნიშნავს, — ესენი მოსულები არიან საქართველოს დასანგრევად! გეკითხებით, რომელია ქართველი?**

— ამას რომ ვამბობ, არ შეიძლება ამის თქმაო. როგორ არ შეიძლება, — ქართველი კაცი, რასაც ეგენი **აკეთებენ, ამას ბოლომდე ვერ გააკეთებს!..**

ესენი არიან ნეხვისგან შექმნილი პარტია, — ხომ კარგად იცით, როგორ მოხდა მაგათი ჩამოყალიბება.

**— მე მომაწოდეს გადაუმოწმებელი ინფორმაცია, მაინტერესებს, თქვენ თუ გსმენიათ ბატონი ბაქრაძის არაქართველობაზე რაიმე?**

— არა, მაგრამ ქართველს რომ არ ჰგავს, ხომ სახეზეა. გამოდის ეს სათამაშო თოჯინა და მოპაკიპუკობს, წინ პატარა მუცელი მოუძლვება და პოლიპებიანი ცხვირი, — ეს არარაობიდან მოთრეული! გეუბნებით, მაგ ნიშნით არის ყველა მოთრეული, ხელოვნებაშიც ასეა, — ვისაც უნდა, იმას ეწყინოს და ცივი წყალი მოაყოლოს ზედ! — თუ წყალი არ უნდა, სუჯუკი ჭამოს მაშინ...

მე ვამბობ, არსებობს მხოლოდ ქართული ღირებულებები, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შეისრუტა მსოფლიო ეთიკური ნორმები, მორალური და ზნეობრივი კოდექსი. კი, არის, ლადარიები და ვიღაცები გვიწუნებენ ქართველობას, გამოდის საღამოს ორი სულელი და ჟღურტულებენ, — რა გეკავარადოსება, შე უბედურო, ნახევარი ქვეყანა სანაგვეში იქქება!

**გამოდიან ბუღაძე და ლადარია, ფლეიტამ ეს ტონალობა აიღო და კავარადოსმა ასე ქნა, — ვინ ხართ! გადართავ და, მამამისი ზის მეორე არხზე, — ასეა და მერე ეგენი ლაპარაკობენ კიდე ნეპოტიზმზე... სადაც არ უნდა გადართო, ერთი და იგივე გვარებია და მერე, კიდევ, მოვლილი აქვთ ყველა ტელევიზია კიწმარიშვილის გამოზრდილ გომბიოებს,**

— ეგენი აგებენ ყველაზე დიდ პასუხს, იმიტომ, რომ ეგენი ქმნიან ამ პოლიტიკას, ეგენი ანხორციელებენ, ამ კლიპებს რომ უშვებენ.

თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა ყველაფრის უფლება მისცეს საკუთარ თავს, არის გარკვეული ნორმები, რისი დაცვაც აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, ვინც ადამიანს უწოდებს თავის თავს...

ახლა, საწყენად არ ჩამომართვან, მაგრამ

**ლომის წილი საქართველოს გაუბედურებაში, ჟურნალისტებს მიუძღვით, ფაქტიურად ეგენი ქმნიან და ავრცელებენ პოლიტიკას და ყველას მოეკითხება, ამაზე დაფიქრდნენ!**

— მეძახონ ახლა რევანშისტი!... ეს ბუხარში ჩავარდნილი მაჯლაჯუნა, კიწმარიშვილი, სად ბებიაჩემის ბაბუასთანაა, რაღაც, გაყუჩებული რომ არის...

დააკვირდით, როგორ ერთხმად აყაყანდნენ მიშას ტელევიზიები, რამდენ ტყუილს და ცილისწამებას ავრცელებენ, — მაშინ, როცა ეს აკაკი მინაშვილი, რომელიც არც კაცს ჰგავს და არც ქალს, ან ეს

**ჭუჭყიანი შომპოლი, დარჩიაშვილი და დანარჩენები, ყველა ერთნაირები, მაგათ რა ჩამოთვლის, აგინებენ თედო ჯაფარიძეს, უნდა დავფიქრდეთ, რაშია საქმე. როგორ შეიძლება მოიგონო და დააბრალო კაცს ისეთი რამეები, რაც თავის ცხოვრებაში არ გაუკეთებია,**

— ეს არის უბინძურესი კამპანია, რომელიც მაგათვე დაუბრუნდებათ უკან!

**I არხის „ქოსა ვენტილიატორს“, დავით პაიჭაძეს, რეზინის ფრთებივით რომ აქვს გაშვერილი ყურები, მგონი, მაგრად „ახველებს“, თურმე არ მოსწონს გაზეთი „ასავალ-დასავალი“, — არ მოსწონს, იმიტომ, რომ ლაშა ნადარეიშვილი თავისი საქმით ქართველობას იცავს, ხოლო თვითონ, თევზაძე-ბოკერია-რამიშვილი-დარჩიაშვილის სატანისტური პროექტის მონაწილეა, რომელთაც განზრახული აქვთ ქართველი ერის გაქრობა! (ხველაზე გამახსენდა, ლა კალგი ბიწია „იმედის“ ნოდალი, მაგასაც ფანქალი უწილავს ხელში, — მაგას კი, მართლა მაგრად „ახველებს“...)**

**— ბატონო რეზო, მიუხედავად ბევრი რამისა, მგონი, ერთგვარად, ოპტიმისტურად ხართ განწყობილი...**

— ჩემი ოპტიმიზმი საფუძველსმოკლებული ნამდვილად არ არის, თან ვაკვირდები და ინტუიციით ვგრძნობ, რომ რაც იქ არ მომწონს, ის ყველაფერი აუცილებლად დაბალანსდება. ორი პოლუსია დღეს, დღეს, თუმცა, მე ვისურვებდი, რომ მთელი საქართველო გაერთიანებულიყოს ამ „შავი ჭირის“ წინააღმდეგ...

მე რაც არ ვიცი — არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეს დაკარგული ტრიკოების ბიჭები ჩემს თვალწინ გახდნენ მილიარდელები...

ფულის ხარჯვა, მე რომ ვიცი, იმნაირი უნდა, მაგათ არც ფულის ხარჯვა იციან და არც არაფრის ფასი, თავიანთ ცოლებს მოუარონ, ურჩევნიათ, „ბარამბოა“ თუ რა ოხრობაა, ყოველ წუთში ცხვირში



რომ გვტენიან, ბარემ „ბარამბოზს“ დაარქვან...

მუცლისგვრემა აქვთ ატეხილი მაგათ!... ყველაზე მეტად, მაინც ისინი მეჯავრებიან, ვინც კარგად იცის ჟვანიას სიკვდილის ამბავი და იმის გამო, რომ ისევ იქ იჯდეს, ხმას არ იღებს...

რა ამერიკა სჭირთ, ვის ეჯიბრებიან ეგენი, — თავის დროზე, ჩემზე დიდი „ამერიკანისტი“ არ იყო არავინ და მოვყვე, დავიწყო მაგათსავით ტყლარჭვა? გამოიყვანენ მართლა ნაფტალინიდან ამოღებულ ვიღაცას და არის ერთი ამბავი, — ჩემი პირადი სტუმარი იყო ბობ დილანი და არ მინდა ამაზე ლაპარაკი...

დასასრულ, მინდა ვთქვა, გასაგებია ჩემთვის, რომ დასავლურ ღირებულებებზე არის მიმართული ეს ყველაფერი; გამიხარდა ისიც, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზეც ითქვა, იმიტომ, რომ ასე არ შეიძლება, ერთ დღესაც, გადაეკეტება ტვინი რუსს და მერე სად ბებიაჩემის ბაბუასთან გავიქცევით, იმასაც ვნახავ, — არ შეიძლება ერის ლანძღვა!

ეს ყველაფერი გასაგებია! — რასაც ახლა ვიტყვი, ამის გამო, შეიძლება მიწოდონ ორთოდოქსი, კონსერვატორი, ჩამორჩენილი, ქსენოფობი ხომ ვარ და ვარ, მთელი ერევანი დამდევდა ხელში ასაყვანად... როცა ოვანეს შირაზის იუბილეზე სიტყვით გამოვედი, 10 წუთი ფეხზე იდგნენ სომხები, მაშინ ვაზგენი ცოცხალი იყო, ლოჟაში იჯდა და მეორე დღეს ახალგაზრდა მღვდელმსახური დამადგა სასტუმროში, კათალიკოსი გეპატიჟებათ რეზიდენციაში და თუ შეიძლება, წამობრძანდითო. რაც არასდროს გაუკეთებია, (იქ მითხრეს) გადამკოცნა და თვითონ დაგვათვალიერებინა საცავი, — ესენი მიძახიან მე ქსენოფობს... რომ არ დახვედრია არავის კარებთან, მე და ჩემს მეუღლეს დაგვხვდა, დღესაც სახლში აქვს სომხეთის პატრიარქის ნაჩუქარი შვეიცარული საათი, არარატი ახატია ზედ.

**მე ყველაფერი ვიქნები, ქსენოფობიც და უარესიც, თუ ჩემს ქვეყანას რამე შეეხება, — ხმამაღლა ვაცხადებ, მე ვარ ქართველი და მაშასადამე მართლმადიდებელი! ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუსლიმან ქართველებს პატივს არ ვცემ, პირიქით, იმათ უფრო ვუფრთხილდები. შენ, შე კრეტინო, რატომ ტენი პირდაპირ ამ თურქეთს აჭარას, დამპყრობელის მეჩეთი რატომ უნდა აშენდეს, პატრიარქს მაინც ჰკითხეთ, მაგრამ ფეხებზე ჰკიდიათ მაგათ საქართველო, იმიტომ, რომ კიდევ ვიმეორებ, არცერთი არ არის ქართველი! — ეხლა წავიდნენ და მიჩივლონ სააკაშვილის ბებიასთან, ხან აბაშიძე ჰყავს და ხან წერეთელი, მეორე მხარეს ნათესავი არ ჰყავს? — ნახევარქათამასავით არის...**

მე, როგორც ერთი რიგითი ქართველი, ყველას მოვუწოდებ, კარგად დაფიქრდეს ხვალინდელ დღეზე! მე ჩემი ცხოვრება მოჭმული მაქვს უკვე, დროსტარება არ დამკლებია და არც არაფერი, ხვალვე რომ წავიდე, მაგრამ ახალგაზრდობა მოპარა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოს, ამოურეცხა ტვინი და ახალგაზრდობას წაართვა ქართველობა, რომელიც აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს!

დღეს, ბიძინა ივანიშვილი არის ცენტრიფუგასავით, მის გარშემო ხდება შეკრება. ის რომ არ გამოჩენილიყო, ქართული პოლიტიკური სპექტრი პოლიტიკურ მორგში იყო.

**რაც შეეხება ივანიშვილის ფულს, ენა გააჩუმონ, რა! როცა ხუთ-ხუთ მილიონს ხარჯავ ბოზებში და „მასაჟისტების“ ჩამოყვანაში, ენა ჩაიგდე, შვილო!**

ერთი რამ მინდა გაფრთხილებასავით ვთქვა, — ეს გიჟი გადარეული და მისი ხროვა იმას მოიფიქრებს, რაც ვერ წარმოუდგენია ვერავის, ნორმალურ ადამიანს, ამიტომ, მაგისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ და მზად ვიყოთ! — გიჟის და ტვინით ავადმყოფების ფსიქოლოგიას ვერასდროს ჩაწვდება ნორმალური ფსიქიკის ადამიანი...

კიდევ ვიმეორებ, შეათავსონ ამ კაცის, ბატონი ბიძინას თავდადება და წინ დაიდონ, როგორც ბიბლია და სახარება, საქართველოს პატრიარქის ეპისტოლეები! — აი, ჩვენი გზა, აი, ჩვენი პროგრამა იმისა, როგორადაც უნდა იცხოვროს საქართველომ!

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# dRes yvela miyruebul sofelSic ician, rom arsebobs biZina ivaniSvili, rogorc saakaSvilis alternativa

*„საერთო გაზეთს“ პოლიტოლოგი* ***რამაზ საყვარელიძე*** *ესაუბრა:*

**— ბატონო რამაზ, ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფი წარადგინა. როგორ შეაფასებთ ივანიშვილის გემოვნებას და რამდენად სწორი სტრატეგიაა მისი მხრიდან ამ ადამიანებზე არჩევანის გაკეთება?**

— საინიციატივო ჯგუფის წევრები, საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები არიან. უმრავლესობამ ეს შემადგენლობა იმ მხრივაც გააკრიტიკა რომ მასში სწორედ „გაცვეთილი“ სახეები მოხვდნენ. თუმცა პირადად ნაცნობი სახეები უფრო დადებით ფაქტორად მიმაჩნია, რადგან ამომრჩეველი მათ უფრო ენდობა.

**— საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობაში დიპლომატების გარდა, არიან მეცნიერები, მწერლები, სპორტსმენები, მსახიობები, უფლებადამცველები და ა.შ. როგორ ფიქრობთ, ამ პროფესიის ადამიანები, რომლებსაც აქამდე პოლიტიკასთან შეხება არ ჰქონიათ, რამდენად წარმატებულები იქნებიან პოლიტიკაში?**

— იმას თუ რამდენად წარმატებულები იქნებიან პოლიტიკურ ასპარეზზე, ვფიქრობ, არც თვითონ იციან და ჩვენც პოლიტოლოგები, ვერაფერს გეტყვით. ყველაფერი, ჰა, ბურთი, ჰა, მოედნის, შემდეგ გაირკვევა.

**— როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის პარტიას წარდგენილი საინიცატივო ჯგუფის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რამდენად ექნება ნდობა?**

— რამდენად ჰქონდათ იმ ადამიანებს, ნდობა ვინც მიხეილ სააკაშვილმა თავის გვერდზე დაიყენა? როგორ ფიქრობთ, მათ მიმართ დიდი ნდობა არსებობდა?- ალბათ, ნაკლებად. ვფიქრობ, მათი უმრავლესობა არა თუ მაშინ, ახლაც არ ვიცით, ვინ არიან. თუმცა მიხეილ სააკაშვილის გუნდისგან განსხვავებით „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები ხალხისთვის ნაცნობი ადამიანები არიან. სააკაშვილის შემთხვევაშიც ნდობა მისი მისამართით იყო და ბიძინას შემთხვევაშიც სწორედ ასეა, თუმცა გარკვეული მხარდაჭერით საინიციატივო ჯგუფის წევრებიც სარგებლობენ.

**— თქვენი აზრით, რამდენად ტოვებს ივანიშვილის გუნდი ხელისუფლების ალტერნეტივისა და ცვლილებების განმხორციელებლის შთაბეჭდილებას?**

— თუკი გამოვაკლებთ ისეთ ამოცანას, როგორიცაა ხელისუფლებამდე მისვლა, მერე უკვე ხელისიფლებაში მოსვლის შემთხვევაში ეს გუნდი, ვფიქრობ, შესანიშნავად იმუშავებს. თუმცა რამდენად შეძლებს პოლიტიკურად დაძაბული გზის გავლას აღნიშნული გუნდი, რომელიც კბენას, ღრენას და სისხლის სმას, შეჩვეულები არ არიან, პოლიტიკა კი ამ მეთოდებით მოქმედებას ხშირად მოითხოვს სხვა საკითხია და კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

**— როგორ ფიქრობთ, გამარჯვებისთვის მზადაა ეს გუნდი, გააჩნიათ რელურად ამის რესურსი?**

— ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რის ფასად მოიპოვება გამარჯვება, ანუ ხელისუფლება ოპოზიციას გასამარჯვებლად რა თამაშს შესთავაზებს. თუკი დაიწყო ბრძოლა აბსოლუტურად ყველა მეთოდით, ინტელიგენციისთვის ასეთი ტაქტიკა, როგორც წესი, მიუღებელია, მათ არ უყვართ მორალის ღალატი, ამიტომ რა ფორმით გააგრძელებენ ბრძოლას ახლო მომავალში, ვნახავთ.

**— დავით გამყრელიძის განცხადებით, ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებული კოალიცია ეკლექტური და მსოფლმხედველურ ერთობას მოკლებულია და მასაც იგივე ბედი ელის, რასაც „ოპოზიციურ რვიანს“ „ექვსიანსა“ და „ალიანსს“. თქვენ რას ფიქრობთ, ზოგადად, რამდენად მყარი იქნება გაერთიანებული კოალიცია?**



— კოალიცია სხვადასხვა პარტიებს აერთიანებს, რაც ნიშნავს იმას რომ პარტიები, ერთიანობის მიუხედავად, მაინც განსხვავებულ პლატფორმებზე დგანან. ცხადია გაერთიენებულმა პარტიებმა თუ საკუთარ განსხვავებებზე დაიწყეს საუბარი, ადვილად დაიშლებიან. თუმცა ეჭვი მეპარება გაერთიანებული კოალიცია არჩევნებამდე დაიშალოს და ერთობა მანამდე ვერ შეინარჩუნონ. არჩევნების შემდეგ ისედაც სასურველი იქნებოდა მათი დაშალა, რადგან ქვეყანაში არ გვქონდეს ერთპარტიულობა და არსებობდეს პლურალიზმი და პოლიტიკურად კონკურენთული გარემო.

**— ბატონო რამაზ, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შემდეგ ხელისუფლების სათავეში კვლავ „ნაცმოძრაობა“ დარჩება, როგორ უნდა მოიქცეს კოლიცია, უნდა იბრძოლოს ერთობლივად, თუ ცალცალკე პარტიული ნიშნით?**

— ვნახოთ, რა იქნება არჩვენებზე, თუმცა ივანიშვილის ფაქტორიდან გამომდინარე ოპოზიციამ მანდატების 50% მაინც უნდა მოიპოვოს, მაგრამ თუ ოპოზიცია საკუთარი შეცდომების გამო დამარცხდა, თითოეულმა მათგამა გავლილი გზა კარგად უნდა გაანალიზონ და ახალი სტრატეგიის შემუშავებაზე იზრუნონ.

**— ბიძინა ივანიშვილი და მისი გარემოცვა ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნების გზით აპირებს, უთუმცა ცოტა ხნის წინ „სამართლიანმა არჩევნებმა“ საარჩევნო სიებთან დაკავშირებით შემაშფოთებელი სტატისტიკა წარმოადგინა. ასეთ შემთხვევაში ივანიშვილის გუნდი გამარჯვების მისაღწევად შეიძლება დაეყრდნოს არჩევნებს?**

— აბსოლუტურად ყველა უბანზე ბრძოლა იქნება აუცილებელი. რაც შეეხება იმას, როგორ უნდა მიაღწიონ რეალურ აშედეგს ასეთ პირობებში, ვიმეორებ იმას, რასაც, სასურველი იქნება, მკითხველმა ყურადღება მიაქციოს. თუკი არჩევნებზე ხალხის დიდ რაოდენობა მივა, გაცილებით ცოტა ბიულეტენები გაყალბდება, შესაბამისად, შედეგი ისეთი არ იქნება, რაც ხელისუფლებას აწყობს. გაყალბებას აქვს თავისი პროცენტული მაჩვებნებელი. შეიძლება გააყალბო 10 %, ძალიან ძნელია გააყალბო 30%, ფაქტობრივად, შეუძლებელი 50% გაყალბება, ამიტომ ოპოზიციას შანსები აქვს.

**— საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლებამ შესაძლებელია, არჩევნები შემოდგომის ნაცვლად გაზაფხულზე ჩაატაროს. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს მოსაზრება და ასეთ შემთხვევაში რა შანსები ექნება ოპოზიციას, რამდენად მომზადებული შეხვდება არჩევნებს გაზაფხულზე?**




— ვფიქრობ, არჩვნების გაზაფხულზე ჩატარება ოპოზიციისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მათი აქტიურობა ნულია, თუმცა რეიტინგი საკმაოდ მაღალი. დღეს ყველა მიყრუებულ სოფელშიც იციან, რომ არსებობს ბიძინა ივანიშვილი, როგორ ალტერნატივა. სურვილი, ამ ალტერნატივას მიეცეს ხელისუფლება საკმაოდ მაღალია. თუმცა ეს ემოციური ფონი შემოდგომისთვის შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს.

**— პოლიტოლოგები, ექსპერტები, ამომრჩეველი საუბრობს, რომ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია გაცილებით ხისტად დაუპირისპირდეს ხელისუფლებას, მაგრამ შეგნებულად ანელებს პოლიტიკური დუღილის პროცესს. თქვენი აზრით, რა არის მიზეზი?**

— არ ვთვლი, რომ ამ ეტაპზე აქტიური უნდა იყოს ოპოზიცია, ხელისუფლების მსგავსად, რადგან ის მხარე, რომელიც ახლა დახარჯავს ფსიქოლოგიურ რესურსს, ფინანსურ რესურსს არ ვგულისხმობ, ცხადია, შემოდგომისთვის იმ მხარეს მნიშვნელოვნად გაუჭირდება. არსებობს პასიურობის სხვა მიზეზიც. ის პარტიები, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შემოიკრიბა, დიდი აქტივობით მაინცდამაინც არ გამოირჩევიან. გახსოვთ ირაკლი ალასანიას სწორედ იმის გამო საყვედურობდნენ, რომ ადგილობრივი არჩევნების დროს ნაკლები აქტიურობით გამოირჩეოდა. „რესპუბლიკელებისა“ და „თავისუფალი დემოკრატებისგან“ განსხვავებით „ეროვნული ფორუმი“ ცოტა აქტიურია, თუმცა ბოლო პერიოდში ეს უკანასკნელიც პასიურობით ხასიათდებოდა. მითუმეტეს ივანიშვილი, რომელიც ახლახან შემოვიდა პოლიტიკაში და თავისი პოლიტიკური სტილი ჯერ არ ჩამოუყალიბებია, განსაკუთრებული აქტიური ვერც იქნება. ამიტომ არ ველი მათ აქტიურობის ხარჯზე მიაღწიონ გამარჯვებას ისინი ძირითადად გაიმარჯვებენ უფრო ხალხისადმი მათდამი დამიკიდებულების გამო.

**— როგორ ფიქრობთ, თუ ამომრჩევლამდე კოალიციის წევრები არ მიიტანენ რაიმე კონკრეტულ გეგმას, თუ რას აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მხოლოდ ივანიშვილის ფაქტორი მოუტანთ მათ გამარჯვებას?**

— რა გეგმა და პროგრამა ჰქონდა „ნაცმოძრაობას“ როცა ხალხი დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა. ამიტომ გამარჯვების მთვარი გარანტორი ბიძინა ივანიშვილი იქნება.

**— რამდენიმე დღის წინ პოლიტიკურმა კოალიციამ 12- პუნქტიანი დეკლარაცია გამოაქვეყნა. რას ფიქრობთ, დეკლარაციაზე და გაწერილი პუნქტების განხორციელების შემთხვევაში, ახდება თუ არა ქართული ოცნება?**

— დეკლარაციაში გეგმებში განსაკუთრებული ახალი არაფერია ნათქვამი. ამ დეკლარაციას არა მხოლოდ მთელი ოპოზიციური სპექტრი, არამედ „ნაცმოძრაობაც“ თამამად მოაწერდა ხელს. პრობლემა იმაში კი არაა, რას დეკლარირებ, არამედ ის, რასაც ამბობ როგორ ასრულებ. თავისუფალი არჩენები და დამოუკიდებელი სასამართლო რომ აუცილებელია, ამას თავად მმართველი გუნდიც ქადაგებს, მაგრამ რამდენად აასრულებ, სხვა საკითხია.

**— თუ არსებობს რაიმე პუნქტი დეკლარაციაში, რომელსაც გამოარჩევთ, რაც არ ჰქონდა, მაგალითად, ნაციონალურ მოძრაობას?**

— კოალიციის დეკლარაციაში ყველაზე მეტად რაც თვალში მომხვდა, ნაკლებად აგრესიულია და რუსეთი არაა წარმოდგენილი, როგორც მტრის ხატი. ეს ელემენტი კი „ნაცმოძრაობის“ შემთხვევაში პირიქითაა წარმოჩენილი.

**— დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით უნდა დარეგულირდეს ქართულ-რუსული კონფლიქტი. როგორ ფიქრობთ, საერთშორისო თანამეგობრობის დახმარებით მოგვარდება ეს პრობლემა. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, რუსეთი აკეთებს ყოველთვის იმას, რაც უნდა?**

— ხელისუფლების სათავეში თუ სხვა ძალა მოვა, პუტინს უბრალოდ, მოტივი არ ექნება არ დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, თუმცა მაგიდასთან რას იზამს, მეორე საკითხია. რუსეთთან საქართველოს გამო თავის ატკივება არავის არ უნდა, ამიტომ სასურველი იქნება თუ თავად დავიწყებთ მოლაპარაკების პროცესს. თუმცა სააკაშვილის პირობებში ნებისმიერი კონტაქტი გამორიცხულია.

**მირანდა ნაბახტეველი**



# movemzadoT warsulTan gamosaTxoveblad, araviTari `Sexvedra warsulTan~

ინტერვიუ
**თემურ ქორიძესთან**

**— ბატონო თემურ, წინ არაერთი არჩევნები გველოდება. თქვენი აზრით, არჩევანის სწორად გასაკეთებლად, ქართველი საზოგადოება უკვე მზად არის?**

— წინასაარჩევნო კამპანია მიხეილ სააკაშვილმა დიდი ხნის წინათ დაიწყო. მისი ხმაურიანი და, ხშირ შემთხვევაში, — კურიოზებით აღსავსე ვოიაჟები იმის დასტურია, რომ ეს ადამიანი ძალაუფლების მანიით არის შეპყრობილი და წონასწორობა სრულიად დაკარგული აქვს. ამიტომ არის, რომ სააკაშვილი ებრძვის არა მხოლოდ თავის პოლიტიკურ კონკურენტებს, არამედ მთელ ქართველ ხალხს, იმ ხალხს, რომელსაც სერიოზული ცვლილებები წყურია და ამ ცვლილებათა აუცილებელ წინაპირობად სააკაშვილის და მისი გუნდის ხელისუფლებიდან ჩამოცილება მიაჩნია. საგულისხმოა, რომ მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ის მუდამ აკრძალული და მიუღებელი ილეთებით მოქმედებდა. სიცრუე, ძალმომრეობა და დემაგოგია, აი, მიხეილ სააკაშვილის შეუცვლელი იარაღი. სწორედ ამ იარაღის ძალით მოვიდა იგი ქართულ პოლიტიკაში, ამ იარაღით ჩაიგდო ხელში ქვეყნის მმართველობა და დღემდე ამ იარაღითვე ინარჩუნებს მას.

**სააკაშვილი ფიქრობს, რომ ქართველი საზოგადოება სამუდამოდ დათრგუნა და დაიმორჩილა. ამიტომ მას ამ საზოგადოებით გაუთავებელი მანიპულირების იმედი აქვს. ის არ ელოდებოდა, რომ ბიძინა ივანიშვილის სახით მოულოდნელ სიურპრიზს წააწყდებოდა. ასეთი რამ მისთვის ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი წარმოუდგენელი იყო. სააკაშვილის ავადმყოფურ ოცნებას ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“ დაუპირისპირდა და ის კარგად ხედავს, რომ ამ ბრძოლაში მისი დამარცხება გარდაუვალია.**

რატომ არის გარდაუვალი სააკაშვილის დამარცხება? — იმიტომ, რომ ამ პიროვნებამ უკვე მთლიანად ამოწურა მის ხელთ არსებული ყველა პოლიტიკური, სოციალური და მორალურ-ფსიქოლოგიური რესურსი. ის კალენდარულადაც უკვე წარსული დროა, გუშინდელდელი დღეა. ამის დამამტკიცებელ საბუთად ისიც გამოდგება, რომ სააკაშვილი გამუდმებით მხოლოდ იმაზე აკეთებს აქცენტებს, რაც წარსულში შეუქმნია. მაგრამ საზოგადოება კარგად ხედავს, რომ ვერც ევროპულად გამართული გზატკეცილებით და ვერც მაღლივი შენობებით ჩვენ ევროპულ სტანდარტებს ვერ მივუახლოვდით. პირიქით: ამ ორომტრიალში საბედისწეროდ გაუჩინარდა ადამიანი, დაიკარგა ადამიანურ ღირებულებათა მთელი არსენალი, განადგურდა ჰუმანისტური ფასეულობანი. სააკაშვილის რეჟიმის პირობებში არნახული მასშტაბი შეიძინა პიროვნების დეპერსონალიზაციის პროცესმა. ხელისუფლება გამუდმებით ცდილობს ცხოვრებაში დაამკვიდროს ევრიმენის, ანუ ბრბოდქცეული ადამიანის ფსიქოლოგია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება, თავისი არსით დრომოჭმული ხელისუფლებაა და ქვეყნის სათავეში მისი დარჩენა ზოგადკაცობრიული იდეალების წინააღმდეგ მოქმედების ტოლფას მოვლენად უნდა შეფასდეს.

**— კეთილი, მაგრამ როგორც გითხარით, ამ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი ხალხის სწორი არჩევანია და მოდით, იმ პრობლემებზე ვისაუბროთ, რაც არასწორ არჩევნებს პროვოცირებს, კარგით?**

— ხალხი პიროვნებებისგან შედგება. ჩვენში კი როგორც ზემოთ გითხარით, პიროვნული ფაქტორი აბსოლუტურად ნიველირებულია. ქართველი ადამიანი, დღეს, არსებითად, პოლიტიკური მანიპულაციების ობიექტად არის ქცეული. მას ისე ეპყრობიან, როგორც „კენჭისმყრელ ცხოველს“, რომლის ფუნქციაც საარჩევნო ყუთის დახურვასთან ერთად სრულდება. სამწუხაროდ, არავინ ზრუნავს იმაზე, რომ ფუნქციონალური ობიექტიდან ის სრულყოფილ სუბიექტად, ანუ თავისუფალი არჩევანის უნარის მქონე ღირსეულ სუბიექტად, ანუ ჭეშმარიტ მოქალაქედ იქცეს. ხელისუფლება ადამიანს განიხილავს, როგორც ქვეშევრდომს (რაც მონარქიული მმართველობისთვის არის დამახასიათებელი) და არა როგორც მოქალაქეს (რესპუბლიკური მმართველობის უპირველესი ნიშანი). ამ არქაიზმის დასაძლევად საჭიროა სრულიად ახალი პოლიტიკური ატმოსფერო, ახლებური საზოგადოებრივი ურთიერთობის დამკვიდრება. სწორედ ამ იმედს უკავშირდება დღეს ბიძინა ივანიშვილის სახელი. მან, როგორც საყოველთაო პატივისცემით მოსილმა ქველმოქმედმა, ბიძგი უნდა მისცეს ქართული სახელმწიფოს ჰუმანიზაციას, პიროვნების „კულტურული ჰაბიტუსის“ (შპენგლერი) რეალიზების პროცესს;

**ივანიშვილის პოლიტიკური გამარჯვების საფუძველი უნდა გახდეს მისი საჯარო „პირობის წიგნი“, სადაც ყველაზე მსხვილი ასოებით ჩაიწერება ადამიანის, პიროვნების, მოქალაქის უზენაესობა და მისი ინტერესებისადმი სხვა ღირებულებათა დაქვემდებარებული მდგომარეობა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახელმწიფოს არსებობა, მისი არსი და პოლიტიკური ორიენტაცია, მთლიანად არის დამოკიდებული ამ ქვეყნის მოქალაქეთა შინაგან მისწრაფებებზე.**

წაართვით ადამიანს მოქალაქეობრივი ბუნება და თქვენ მიიღებთ უშინაარსო, უისტორიო და ამორფულ ქვეყანას! ასეთ „ქვეყანას“ რაც გნებავთ, ის უწოდეთ გნებავთ, საქართველო და გნებავთ, „ბანანის რესპუბლიკა“! აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ხალხის ფაქტორს“, ხალხისას, რომელიც უმალ მოქალაქეთა კრებულად უნდა წარმოჩინდეს, ვიდრე უსახურ ბრბოდ.

**ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“ მთელი ქართველი ხალხის ფიქრისა და შინაგანი აქტიურობის მამოძრავებელ მუხტად უნდა გადაიქცეს. ეს კი აუცილებლად მოითხოვს ჩვენი ერის კულტურულ-ისტორიული გონის სრულ ამოქმედებას, ისტორიული მეხსიერების წიაღში ჩაღრმავებას და არჩილ ჯორჯაძისეული „საერთო ნიადაგის“ შემზადებას.**



ქართველ ხალხს გულწრფელად სურს „ჩატეხილი ხიდის“ გამთელება. მას ენატრება მისივე ბუნებისათვის ესოდენ დამახასიათებელი „ნათესაური“ გრძნობებით ცხოვრება. ამიტომ ჩვენ, ყველანი, გულის სიღრმეში ვატარებთ ოცნებას ეროვნული თანხმობის მთავრობაზე, იმ მთავრობაზე, რომლის მმართველობაც, რუსთაველისა არ იყოს, „სწორად მოეფინება“ დიდსა და პატარას, რომელიც კი არ დაჰყოფს და განაბნევს, არამედ შეკრავს და შეაერთებს დარღვეულ ეროვნულ ორგანიზმს. ეროვნული თანხმობის მთავრობა, აი, ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება. ბიძინა ივანიშვილი ამ ოცნების ხორცშესხმას უნდა ესწრაფვოდეს. საქართველო აღარ უნდა იყოს „ზოგისთვის დედა, ზოგისთვის კიდევ— დედინაცვალი“, როგორც ამას თავის დროზე წუხდა აკაკი, ის აღარ უნდა იყოს არც „ყურე ქვეყნისა“ (იოვანე საბანისძე), რომლის მცხოვრებნიც „შიშისაგან განილევიან და ირწევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“... დიახ, დღეს საქართველო გზაჯვარედინზე იმყოფება და ქართველმა ხალხმა სერიოზულად უნდა შეაფასოს ამ ისტორიული ჟამის მნიშვნელობა. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საარჩევნო კამპანია ბიძინა ივანიშვილის მხრიდან საერთო-სახალხო მოძრაობის ხასიათს შეიძენს.

**— კი, ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ უკვე მერამდენედ გახსენებთ, რომ ამ იდეალებისგან ქართველი კაცი უკვე ძალიან დისტანცირებულია...**

— დიახ, გასაგებია, თქვენ გამოცდილი ჟურნალისტი ხართ და ქართველ საზოგადოებას კარგად იცნობთ. ქართველი კაცი დღეს ნაკლებად ჰგავს თავის ისტორიულ „მეს“-ს. როგორც გრ. რობაქიძე შენიშნავდა, ის „გამუდმებით გაურბის თავის თავს — ცუდს, რათა იპოვოს თავისი თავი — უკეთესი“... ჩვენ საკუთარ თავს უნდა დავუსვათ შეკითხვა: — მეტისმეტად ხომ არ გაგვიგრძელდა აქეთ-იქით სირბილი? ხომ არ დადგა დრო — ერთხელ და სამუდამოდ დავმკვიდრდეთ ჭეშმარიტ ფასეულობათა წიაღში? დიახ, ჩვენ ამაზე უნდა დავფიქრდეთ და არჩევანი ისე უნდა გავაკეთოთ. ბიძინა ივანიშვილმა ეს ტვირთიც უნდა იტვირთოს და დარწმუნებული ვარ, მსგავსი ლიდერის წინამძღოლობით ესეც შესაძლებელი გახდება.

**— როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება შეაფერხოს ეს პროცესი?**

— ამ პროცესისთვის ხელის შეშლა, მისი შეფერხების ყოველი მცდელობა, საერთო ქართული საქმის საწინააღმდეგო ლაშქრობად უნდა იქნას აღიარებული. სამწუხაროდ, აღნიშნულ პროცესს უკვე ჰყავს თავისი ქილერი. ეს ქილერი მიხეილ სააკაშვილია. ის ცდილობს საფუძველშივე ჩაკლას საერთო ნიადაგზე ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. დღეს ეს კაცი ძალზე საშიშ ფაზაში იმყოფება; გარშემო ზიზღს და სიძულვილს აფრქვევს, პირდაპირ ჩამოყალიბებულ მიზანტროპად იქცა.

**ამასთან დაკავშირებით ერთ საგულისხმო დეტალზე უნდა შევჩერდე. ვინც თვალს ადევნებს ერთ-ერთ ტელეარხზე მომზადებულ მულტსერიალს — „ბანანის რესპუბლიკა“, ის უთუოდ შეამჩნევდა, რომ ამ ფილმის მთავარი პერსონაჟის პროტოტიპი — მიხეილ სააკაშვილი, თავისი გროტესკულობით იმდენად აღემატება მისსავე მხატვრულ ორეულს, რომ მაყურებელს აღარც კი ეცინება... მაშინ, როცა „დარდუბალაში“ შევარდნაძის გამოსახულების ოდნავი აჩქარებაც კი კომიზმის საოცარ ეფექტს ქმნიდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილს თვით ყველაზე იუმორისტულ ჟანრშიც კი გაგრძელების შესაძლებლობა არ გააჩნია.**

ეს მით უფრო ითქმის მის პოლიტიკურ მომავალზე. მიხეილ სააკაშვილი უკვე კომიქსების პერსონაჟებადაც აღარ გამოდგება.

კაცობრიობა მუდამ ღიმილით ეთხოვებოდა თავის წარსულს. ჩვენც ისღა დაგვრჩენია, გულდასმით მოვემზადოთ წარსულთან გამოსათხოვებლად და არავითარი „შეხვედრა წარსულთან“...

**ირინე გოგოსაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ar gamovricxav, ar Cevnebis Catarebamde farTomasStabiani represiebi daiwyos!

***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ თავმჯდომარე ᲘᲠᲘᲜᲐ ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ:***

— არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებმა დავიწყეთ ერთობლივი კამპანია —„ეს შენც გეხება“. კამპანიის ფარგლებში საზოგადოების წარმომადგენლებმა პეტიციაზე ხელმოწერა უნდა დააფიქსირონ. ჩვენი მოტივაციაა ამ კამპანიით სამოქალაქო ჩართულობა გავზარდოთ, თითოეულმა მათგანმა მიიღოს მონაწილეობა და თუნდაც პეტიციაზე ხელმოწერის ფორმით გააპროტესტოს ის საკანონმდებლო პაკეტი, სადაც შევიდა ცვლილებები ან სრულიად ახალი კანონები იქნა მიღებული. განსაკუთრებით, ყურადღება მახვილდება და ჩვენი ძირითადი პროტესტი მიმართულია კანონზე „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“. ამ კანონში ძალიან ბევრი ისეთი მუხლია ჩადებული, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქმნის თითოეულ ჩვენს მოქალაქეს. ძალიან ბევრი რამ ამ კანონში განმარტებული არ არის. რეალურად, კანონს განმარტებითი ბარათი უნდა ახლდეს, სადაც თითოეული სიტყვა, ქმედება განმარტებული უნდა იყოს, რის საფუძველზეც გვეცოდინება, თუ რას ნიშნავს პირდაპირ ან ირიბად პოლიტიკურ პარტიასთან კავშირში მყოფი პირი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსში წლების მანძილზე უამრავი ცვლილება შევიდა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგალითად 2008 წლის რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თუკი რაიმე ხარვეზი იყო, ისე გაწერეს კანონში, რომ დღეს იგი უკვე დარღვევად აღარ ითვლება. ანუ, ეტაპობრივად, არჩევნებიდან არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსის შეცვლა ხელისუფლების სასარგებლოდ ხდებოდა და ხდება.

**— რა განაპირობებს, ამ კანონის მიმართ თქვენი პროტესტის განსაკუთრებულ სიმწვავეს?**

— პირველ რიგში, ზღუდავს სამოქალაქო აქტივობას, საკუთრების უფლებას, გამოხატვისა და პოლიტკური საქმიანობის თავისუფლებას, აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, მძიმე და გაუმართლებელ პასუხისმგებლობას აკისრებს ამომრჩეველს. განუსაზღვრელი და არაკონსტიტუციურ უფლებამოსილებას ანიჭებს პარტიების დაფინანსების მთავარ მაკონტროლებელს — საქართველოს კონტროლის პალატას. კონტროლის პალატას პირდაპირ შეუძლია დააყადაღოს ნებისმიერი ანგარიში. უფრო მეტიც, მას შეუძლია ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, ან მედიის, ან არამთავრობო სექტორის წარმომადგენლის ქმედება, გამონათქვამები არ მოეწონოს და ეს მისთვის გახდეს ეჭვის საფუძველი და დააყადაღოს ქონება. ამხელა პასუხისმგებლობა კონტროლის პალატას არ უნდა ჰქონდეს, ეს უფრო სასამართლოს პრეროგატივაა. სხვა შემთხვევაში ყველგან სასამართლოს გადაწყვეტილებაა საჭირო. არასამთავრობო ორგანიზაციები ვითხოვთ ამ კანონში ცვლილებების შეტანას.

**— ასე, ხომ შეიძლება ოპოზიციის აქტივისტების განეიტრალება მოახდინოს ხელისუფლებამ ან თუნდაც შეაგზავნოს ვითომ გაჭირვებული მოქალაქეები და პოლიტიკური პარტიის წევრების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს?**

— რა თქმა უნდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. აღნიშნული კანონით ხელისუფლებას არამარტო პოლიტიკური პარტიები, არამედ ნებისმიერი რიგითი მოქალაქე ყურებით ჰყავს დაჭერილი. მაგალითად, ძალიან საინტერესოა ქონების დაყადაღების პროცედურა, არა მარტო პოლიტიკური პარტიების, არამედ არასამთავრობოების, მედია-საშუალებების და ა.შ. ვთქვათ, კონტროლის პალატას ჩემი, ირინა ფუტკარაძის, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის



წარმომადგენლის რაღაც განცხადება არ მოეწონა, მან ეს შეიძლება რომელიმე პოლიტკური პარტიის მიმართ მხარდამჭერ განცხადებად ჩამითვალოს და ამ კანონის თანახმად უფლება ეძლევა შემოვიდეს ორგანიზაციაში, შეამოწმოს, დააყადაღოს ანგარიშები და ა.შ. ანუ ძალიან კაბალურ პირობებში მოგვიწევს მუშაობა პოლიტიკურ პარტიებს, მედიას, არასამთავრობოებს. მიღებული კანონები და ცვლილებები მთლიანობაში ნიშნავს იმას, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება ვერ მოხდება.

სიების დაზუსტება ყბადაღებულ პრობლემად იქცა. მაგრამ იკვეთება სხვა პრობლემებიც. სამწუხაროდ ამაზე არავინ საუბრობს და გთხოვთ აღნიშნოთ, რომ არჩევნების პერიოდში არასოდეს არც პოლიტიკური პარტიების, არც არასამთავრობოების მხრიდან, საზღვარგარეთ ჩვენს საელჩოებში ყუთებთან არავინ არ დგას. მოგეხსენებათ, საელჩოების განწყობა და დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა შედეგებს გამოაგზავნიან ისინი. ეს მხარე აბსოლუტურად უკონტროლოა. ასევე, დიდი პრობლემაა თქვენს მიერ ნახსენები სიები, რეალურად რამდენი ამომრჩეველია საქართველოში დღემდე არ დაზუსტებულა და დარწმუნებული ვარ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც არ იქნება ეს სიები დაზუსტებული მიუხედავად იმისა, რომ ხმის დამთვლელი კომისია შეიქმნა, რომელსაც ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ. რეალურად, საჯარო რეესტრი რა მაქინაციებს ჩაატარებს, ჩვენთვის ცნობილი არ არის.

**— ბოლობოლო ჩინელებმა შეძლეს მილიარდობით ხმის დათვლა და ჩვენ რა გვჭირს მუდმივად სხვადასხვა მონაცემები რომ გვაქვს. ჩვენთან სია ხან 5 მილიონს შეადგენს, ხან 4-ს, 3,5-ს. რას ნიშნავს ეს?**

— ერთი რამ უნდა ვიცოდეთ — რეალურად, ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, ზუსტი სია აქვს, უბრალოდ, მათ ინტერესში არ შედის ამის საჯაროდ დაფიქსირება, მერე მანიპულირებას ველარ შეძლებენ. სწორედ იმიტომ აქვთ სია დაფარული, რათა არჩევნების პერიოდში მოხდეს მანიპულაცია ხმების გასაყალბებლად.

**— ანუ, ფაქტობრივად წინასწარ ვიცით, რომ არჩევნების გაყალბება გარდაუვალია?**

— დიახ, ბოლო დროს მიღებული კანონები თავისი არსით კარდინალურად ეწინააღმდეგება ხელისუფლების განცხადებას — საარჩევნო გარემო გავაუმჯობესეთო. საკმაოდ ბევრი საფუძველია იმისა, რომ ვთქვათ — 2012 წლის არჩევნები გაყალბდება. გაყალბება მხოლოდ იმას არ ნიშნავს, მიხვიდე საარჩევნო ყუთთან და ყალბი ბიულეტენები ჩაყარო. გაყალბება არის ძალიან ბევრი სხვა ფაქტორი: ხმების მომატება ან დაკლება, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება და ა.შ. მეორე მხრივ, პრობლემაა ისიც, რომ ახალი კანონმდებლობით პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო აგიტაციისთვის ან სხვა კამპანიებისთვის ფულის დახარჯვის საშუალება არ ეძლევათ, ხელისუფლე-



ბას კი ყველანაირი პირობა, რესურსი აქვს. ესეც გაყალბების ერთ-ერთი საკმაოდ სერიოზული რგოლია, როდესაც პოლიტიკურ პარტიებს არათანაბარ პირობებში უწევთ საარჩევნოდ მუშაობა.

**— თუ თქვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, გამოდის რომ არასამართლიან არჩევნებში მოგვიწევს მონაწილეობის მიღება. მაშინ რა აზრი აქვს ასეთ არჩევნებში მონაწილეობას?**

— ამიტომაც ვამბობ, თითოეული მოქალაქე უნდა გააქტიურდეს, გამოხატოს პროტესტი. ხელისუფლებას დისკომფორტი უნდა შევუქმნათ, რათა რაღაც დათმობაზე წასვლა ვაიძულოთ. თუ არ გაითვალისწინებენ არც საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, არც ჩვენს მოთხოვნებს, არ ვიცი საბოლოოდ რა და როგორ მოხდება. მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ პარტიას უფრო მეტი აქტიურობა გამოიჩინონ და დაიცვან თავიანთი პოზიციები. მათ კარგად უნდა გაითავისონ, რეალურად რა საფრთხის წინაშე არიან. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, ამ კანონის საფუძველზე შემოდგომიდან არჩევნებამდე ძალიან ბევრი ადამიანი დააკავონ. წარმოუდგენელ სურათს ვიღებთ. ასეთი მძიმე და კაბალური პირობები, რაც დღეს აქვს საქართველოს საარჩევნო გარემოს, არასოდეს ყოფილა.

**— ეს ცვლილებები ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის „საპატივცემულოდ“ მიიღო?**

— კანონში ცვლილებები რეალურად ერთი ადამიანის — ბიძინა ივანიშვილის გამო განხორციელდა. იცით, რატომ აღიქვა ივანიშვილის გამოჩენა ხელისუფლებამ რეალურ საფრთხედ? — საქმე მხოლოდ მის მილიარდებში როდია, არამედ ბატონი ბიძინას მიმართ გაჩენილ ხალხის უზარმაზარ ნდობაში.

**—ჯერჯერობით, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხრიდან სამარისებული სიჩუმეა, რას ელოდებიან?**

— ის, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციები ვაკეთებთ და ვაპროტესტებთ — ეს ერთი მხარეა, მაგრამ მეორე მხრივ, რას აკეთებენ პოლიტ.პარტიები? — პოლიტიკური ორგანიზაციები მარტო თავიანთ ოფისებში კი არ უნდა ისხდნენ, ისინი კარდაკარ უნდა დადიოდნენ თავიანთ ამომრჩევლებთან, მოუწოდებდნენ მოსახლეობას გააქტიურებისკენ. ასევე, უნდა ხვდებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ელჩებს, ვენეციის კომისიის ოფისი და არა მარტო იგი, ატალახებული უნდა ჰქონდეთ, უნდა ავრცელებდნენ ინფორმაციებს, ხვდებოდნენ პირველ პირებს, ელჩებს და ა.შ.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არ ხდება მათი მხრიდან აქტიურობა?**

— იცით რა, არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო მეტად ვაქტიურობთ, ვიდრე პოლიტიკური პარტიები. ძალიან გაკვირვებული ვარ პოლიტიკური პარტიები რატომ არ აქტიურობენ ამ კანონის შესაბამისად. არიან პარტიები, რომლებიც ხელისუფლების სატელიტები არიან, ასევე, რადიკალურად განწყობილი პარტიები, რომელთაც არჩევნების მიმართ ინტერესი არ აქვთ, მაგრამ ახლადშექმნილი კოალიცია საუბრობს არჩევნებზე, თუმცა, გაკვირვებული ვარ მათი ქმედების პასიურობით. მე მათ მოვუწოდებ უფრო მეტად იაქტიურონ, შეიძლება მათ მიპასუხონ — ამას და ამას ვაკეთებთო. იცით, რა ამ სფეროში ჩართულმა საარჩევნო გარემოში მომუშავე ორგანიზაციებმა ძალიან კარგად ვიცით რეალურად, რას აკეთებენ ისინი. ბევრად ქმედითი ღონისძიებები, კონკრეტული საქმეები უნდა აკეთონ, იაქტიურონ, 100 ათასობით ადამიანი — თავიანთი ამომრჩეველი უნდა გამოიყვანონ ქუჩაში, აბა, თუ ხალხის გამოიყვანა არ შეუძლიათ და თუ ელექტორატი არ ჰყავდათ, რა არჩევნებზე მიდიან? ყველა მექანიზმი უნდა ამოქმედდეს. რეალურად, არავინ არაფერს არ აკეთებს.

**— თქვენ ახსენეთ 100-მდე საერთაშორისო ორგანიზაციას მივაწვდინეთ ხმაო, მაგრამ შედეგი რა არის — მხოლოდ აღშფოთება-შეშფოთება?**

— აბსოლუტურად ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას მიეწოდა ინფორმაცია. მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციას იღებენ ჩვენგან, მათი ერთადერთი ბერკეტი რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებაა, რომელსაც, რა თქმა უნდა ხელისუფლება არ ითვალისწინებს. სწორედ ეს არის ჩიხური მდგომარეობა. ამიტომ, ჩვენ, თავად ძალიან ბევრი უნდა ვიბრძოლოთ შედეგის მისაღწევად.

**— ბიძინა ივანიშვილმა კოალიციის პრეზენტაციაზე აღნიშნა ოქტომბრამდე ქვეყანას ერთ მუშტად შევკრავთ და „ქართულ ოცნებას“ ავიხდენთო, მაგრამ თუ ოქტომბრის ნაცვლად მაისში მოგვიწია ქვეყნის ერთ მუშტად შეკვრა, ოცნების ახდენის რა რესურსი რჩება?**

— ხელისუფლებამ საარჩევნო კამპანია უკვე ძალიან დიდი ხანია დაიწყო. რა ხდება ოპოზიციის მხარეს? — რეალურად თქვენ კარგად იცით, რომ საარჩევნო კამპანია კი არა პარტიაც კი არ აქვთ ჯერ ჩამოყალიბებული, ახლა ხდება ამის ორგანიზება. ხოლო ის პარტიები, ვინც წლებია ფუნქციონირებენ, საარჩევნო კამპანია ჯერაც არ დაუწყიათ. გამორიცხული არ არის, თუმცა მაინც ეჭვი მეპარება ხელისუფლებამ მაისში დანიშნოს არჩევნები, მაგრამ დამიჯერეთ, მნიშვნელობა არ აქვს, არჩევნები როდის დაინიშნება — მაისში, ივნისში თუ ოქტომბერში, რადგან დღევანდელ პირობებში ხელისუფლებას ეს არჩევნები მოგებული აქვს. წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლება ამ საკანონმდებლო ცვლილებების წყალობით საკმაოდ წარმატებულად მოიგებს ამ არჩევნებს, ისე, რომ გაყალბებაც კი არ დასჭირდებათ, გაყალბების მექანიზმები დაიხვეწა, ახლა საჭირო აღარაა ყუთების გატაცება და ა.შ.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ**

# demokratia gindeblarien? _ `paJalusta~ anu `mapze~ ukeTesi

რამოდენიმე წლის წინ ევროკავშირმა ე.წ. "ლგბდ"- ლესბოლესელებს, ჰომოსექსუალებსა და ტრანსსექსუალებს, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სამოქალაქო საზოგადოებაში "სრულფასოვანი და თანაბარი უფლებების მქონე სტატუსი" მიანიჭა და "ავადმყოფ-გადახრილთა" კატეგორიიდანაც ამოიღო. ამის შემდეგაც ქართული და მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ მაინც, უბრალოდ, სექსუალურად გადახრილ ადამიანებად და ზნეობრივად გარყვნილ ცოდვილებად განიხილავს. ევროკავშირის ამ გადაწყვეტილების შემდეგ "ქართველი ლიბერასტების" მხრიდან, თბილისში სექსუალური უმცირესობების აღლუმის ჩატარების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი — თუმცა ამაოდ. ხეიბარი, უნარშეზღუდული და დაუნის სინდრომით დაავადებული ადამიანები ქართული საზოგადოებაში, როგორ ღვთის გაჩენილებისა, ყოველთვის თანაგრძნობასა და დახმარების სურვილს იწვევდა. არც შიდსის, ცე ჰეპატიტის, ჭლექის თუ სხვა სიცოცხლისთვის საშიში სენით დაავადებულთა მიმართ არსებულა ჩვენთან განკვეთის სტიგმატური დამოკიდებულება. ჰომოსექსუალიზმი, ლესბოსელობა, პედოფილია და სხვა გადახრები კი საზოგადოებაში დღემდე გარყვნილებასა და უდიდეს ცოდვასთან ასოცირდება. გვახსოვს, ინგლისურის სასწავლებლად მოწვეული უცხოელი მასწავლებლის ფლეტჩერის ირგვლივ ატეხილი სკანდალი და "ლიბერალურად მოთამაშე" საზოგადოების არგუმენტები. ასეთი მიდრეკილებების ადამიანების სკოლაში მათ მუშაობასთან დაკავშირებით. მათი "დემოკრატიულ-ლიბერალური უფლებების დაცვის" მიზნით გაკეთებული განცხადებები. ცოტა ხანში, შესაძლოა, საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების მოთხოვნით, პედოფილების დაცვისა და "დემოკრატიის" სახელით, "პედოფილთა უფლებების დაცვის სამსახურთან" და „მათ უფლებათა დამცველ ლიბერასტებთან" მოგვიწიოს საზოგადოებას ახსნა-გარმანტებების კეთება. მით უფრო ვნახავთ, რომ გრანტების მოზიდვა პედოფილთა ინტერესების გასატარებლადაც დაიწყო. გარყვნილი მიდრეკილებების მქონე, მდიდარი ფონდების მფლობელი პირებიც, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ახლა პედოფილიის საყოველთაო ლეგალიზაციისთვის. საკითხის მნიშვნელოვნებასა და მისადმი ინტერესზე იმ მაღალი დონის სამეცნიერო სკოლებისა და უნივერსიტეტების ჩართვაც მიუთითებს, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ. ასე, რომ ცნობილი ენამოსწრებული გამონათქვამის არ იყოს: **"დემოკრატია გინდებლარიენ?- პაჟალუსტა."** დემოკრატიის ნაცვლად ახლა უკვე ჩვენი შვილების ღირსების, ფიზიკური შეურაცხყოფის, თავის მოჭრისა და შესაძლოა, სამუდამოდ გაუბედურების "ლიბერალური დემოკრატია" მივიღოთ. უფრო სწორედ კი, როგორც პედოფილებს, მოზარდებთან სექსუალური ლტოლვის მქონე ადამიანებს, - mirnor-attracted persons (მაპ) წარმომადგენლებს ბალტიმორის კონფერენციაზე უწოდეს. ანუ, "მაპიც" და "მაპზე" უკეთესიც. "დემოკრატია" (დემოსის-ხალხის მმართველობა), საზოგადოებისა და ხალხის ინტერესების გატარებას უნდა ემსახურებოდეს და არა ფარისეველთა, ცალკეული გამდიდრებული მემკვიდრეების გარყვნილი მიდრეკილებების განხორციელებას, რომელსაც კაცობრიობა ნაბი-ნაბიჯ, "მეორე სოდომ-გომორისკენ" მიჰყავს.

პედოფილიის ლეგალიზაციის საკითხებზე მომუშავე კონფერენციის ინგლისური ვარიანტის ქართული თარგმანი: "2011 წლის აგვისტოს, ქ. ბალტიმორში გამართულ კონფერენციაზე (ლიბერასტების მიერ) არსარულწლოვანთა მიმართ სექსუალური ლტოლვის მქონე ადამიანთა მიმართ პრინციპები შემუშავდა. კონფერენციაში ათობით ექსპერტი სამეცნიერო წრეების წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაცია მონაწილეობდა. წარმოდგენილნი იყვნენ "ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი", "ჰარვარდის სამედიცინო



სკოლა", "ლონდონის ეკონომიკის სკოლა", "აინშტაინის სამედიცინო კოლეჯი" და სხვადასხვა ფონდები. კონფერენცია ჩატარდა **B4U-ACT**-ის ეგიდით. მათი საიტია: **http://b4uact.org/index. htm**. **კონფერენციის მიზანს პედოფილიის ლეგალიზაციისთვის ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოზიდვა წარმოადგენდა.** შემუშავებული პრინციპები და მუშაობის სტრატეგია: 1. **განვითარება.** ჩვენ გვესმის, რომ ბავშვების ან მოზარდების მიმართ ლტოლვა არის როგორც სექსუალური, ისე ემოციური და ინდივიდები არ ირჩევენ ამ გრძნობებს. ადამიანები, რომლებიც არასრულწლოვანების მიმართ ლტოლვას განიცდიან, თავიანთ გრძნობებს ყრმობაში, ან ადრეულ ყმაწვილობაში აცნობიერებენ და გრძნობენ, რომ **ისინი ძალიან განსხვავდებიან სხვებისგან.** 2. **ინდივიდუალურობა.** ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გარდა **მირნორ-ატტრაცტედ პერსონს (მაპ)** წარმომადგენლების (ასე უწოდეს კონფერენციის წარმომადგენელებმა პედოფილებს) სექსუალური და ემოციური დამოკიდებულებებისა არსასრულწლოვანების მიმართ, ასეთ ადამიანებს არ გააჩნიათ რაიმე საერთო კონკრეტული მახასიათებელი. ისინი ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც დანარჩენი ადამიანები და უზუსტობაა იმის მტკიცება, რომ ყველა ასეთ პირს აქვს კონკრეტული რწმენა, ან პიროვნული თვისებები, **ავლენენ ფსიქოპათოლოგიას, ან განსაკუთრებულ პიროვნულ აშლილობას და განსაკუთრებულ ქცევას. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ისინი ბავშვებს შეურაცხყოფენ. მიდრეკილნი არიან ეშმაკობის (სიცრუის) ან ძალადობისადმი. ან ის, რომ მათი სექსუალური გრძნობები უფრო მანიაკალური და არაკონტროლირებადია, ვიდრე სხვა ადამიანებისა.** ჩვენ განვიხილავთ მათ, როგორც ინდივიდებს და არა როგორც კატეგორიას. 3. **ჰუმანურობა. ჩვენ გვჯერა, რომ ამ პრიოვნებებს შეუძლიათ იყონ საზოგადოებაში წვლილის შემტანნი და იმსახურებდნენ პატივისცემით მოპყრობას**. ყველა კლიენტს უნდა მოვეპყრათ გულისხმიერად, არაგანმსჯელად და პატივისცემით. **ჩვენ განვიხილავთ მათ, როგორც სრულ არსებებს და არა როგორც საშინელ კრიმინალებს ან "ანომალურებს".** გამომდინარე აქედან, ჩვენ **ვეწევით პროპაგანდას გამოყენებულ იქნას მხარდამჭერი თერაპიული განზრახვა- *ვალდებულებები* და მიდგომა**. იმ კლიენტებს, რომელნიც ნებაყოფლობით ეძიებენ მიიღონ მკურნალობა, **არ უნდა დავაძალოთ და ვაიძულოთ მიიღონ ის სამკურნალო საშუალებები, რაც მათ მიუღებლად მიაჩნიათ**. 4. **საჭიროებები.** ჩვენ ვაღიარებთ, რომ ყველა ადამიანის მსგავსად, "მაპ" ადამიანებსაც ზოგჯერ უნდათ მიმართონ **მენტალურ სამსახურს**, რათა შეეხონ საკითხებს, რომელიც არ უკავშირდება მათ სექსუალურობას, მაგრამ თავს იკავებენ დახმარებებისგან, რადგან გრძნობენ, რომ **მათი სექსუალური გრძნობების გამო ვერ იქნებიან გულწრფელნი**. ზოგი მათგანი, დახმარებისთვის იმ საკითხებზე მიმართავს, რომლებიც **მათი სექსუალური გრძნობების მიმართ საზოგადოების მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებას ეხება**. სხვები ეძიებენ დახმარებასა და მხარდაჭერას, რათა ჰპოვონ დამაკმაყოფილებელი ცხოვრება და ურთიერთობა კანონის ფარგლებში ცხოვრებისას. ჩვენ გვეჯერა, რომ ყველა ამ შემთხვევაში, **კლიენტებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი თანამგრძნობა და კონფიდენციალურ სამსახურამდე, რომელიც შეხვდება (მაპ) ადამიანების საჭიროებებსა და გასაჭირს და დაეხმარება *თავი უსაფრთხოდ და ღიად იგრძნონ. ისაუბრონ თავიანთ სექსუალურ გრძნობებზე.*** 5. **კონფიდენციალურობა.** ჩვენ ვაღიარებთ, რომ კანონი მოითხოვს ყველა ასეთი არალეგალური ქმედებისა და გეგმის შესახებ ეცნობოს, მაგრამ ისინი (კანონები?) ***არ ითხოვენ ანგარიშს სექსუალური გრძნობებისა დ სურვილების შესახებ.*** ჩვენ ვაფასებთ იმ **საშიშროებას, რაც შეიძლება შეექმნას კლიენტს**, თუ მისი დამქირავებელი, მეგობრები, საზოგადოება, ან ვინმე სხვა აღმოაჩენს მისი სექსუალური გრძნობების შესახებ. ამგვარად, ასეთი ინფორმაცია არ



უნდა გავრცელდეს მომსახურე პერსონალს იქით. პირველ სესიაზე, ან **როგორც კი "მაპ" ადამიანების საკითხი ამოტივტივდება, განიხილება შემდეგ სესიაზე**. ექიმმა, რომელიც ამ პერსონალს წარმოადგენს, უნდა **ზუსტად აცნობოს კლიენტს** იმის შესახებ, ეტყვიან თუ არა ვინმეს მისი სექსუალური გრძნობების შესახებ. ექიმმა ასევე უნდა უზრუნველყოს კლიენტი მკაფიო განმარტებებით იმ შემთხვევებისას, როდესაც არაკანონიერი ქმედება, ეჭვი ასეთ საქციელზე, ან ასეთი ქმედებებზე, ხელმძღვანელობას (ან გარკვეულ ხელმძღვანელ ორგანოებს) ეცნობება. 6. **სტიგმა.** ჩვენ ვაღიარებთ იმ სასტიკ სტიგმას მიმართულს "მაპ" ადამიანების მიმართ მედიის, პოლიტიკოსების, კანონმდებელი ოფიციოზისა და ზოგიერთი ფსიქიატრის მიერ. **ჩვენ ვეწინააღმდეგებით მცდარი სტერეოტიპების დამკვიდრებას და იმ სიტყვების გამოყენებას, რაც შიშს თესავს ხალხში. ხელს უშლის ხელი შევუწყოთ "მაპ" ადამიანების გაგებას და იგნორირებას უკეთებს მათ ადამიანურ თვისებებს.** ჩვენ ვხედავთ, რომ სტიგმა და სტერეოტიოპები **აიძულებს "მაპ"-ებს დამალულნი იყონ და ხელს უშლის მენტალური დაცვის სამსახურს, დაეხმარონ მათ.** არ გვგონია, რომ ეს ბავშვების, "მაპ"-ის, ან საერთოდ, საზოგადოების ინტერესების დაცვას ემსახურებოდეს. ამგვარად, **პროვაიდერებს თავიანთი პროფესიისა და საზოგადოების სახელით აქვთ ვალდებულება ხმამაღლა გამოთქვან აზრი და დაუპირისპირდნენ სტერეოტიპის დამამკვიდრებელ განცხადებებს, გაკეთებულს მათი კოლეგების, ოჯახის წევრების, მეგობრების და მედიის მიერ.** პროვაიდრებს სჭირდებათ გაანათლონ პროფესიონალები (ალბათ, ექიმები?) და ფართო საზოგადოება "მაპ"-ებთან მიმართებაში.

ცნობილია, რომ ბევრი ქვეყანა, თავისი რელიგიური და ეთნიკური ტრადიციებიდან გამომდინარე, ისეთ ურთიერთობებს აღიარებს, რომელიც საქართველოსთვის სრულებით მიუღებელი და დაუშვებელია. "ბებერი ევროპისთვის" ინცესტი, "კუზინა-კუზენს" შორის ნათესაური ქორწინებებიც, სამწუხაროდ, ახალს არ წარმოადგენს. თავად უძველესი კულტურის კერის — რომისთვისაც კი სოდომისტური ღრეობები და ორგიები უცხო არ ყოფილა. სოდომისტური მიდრეკილებებით გამოირჩეოდა ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის საზოგადოების ცხოვრებაც. ძველ ბაბილონში ძალადობა ცხოვრების ჩვეულ წესად ითვლებოდა და მსგავსმა პრაქტიკამ, პალესტინის ადგილობრივ მაცხოვრებლებზეც იქონია გავლენა. ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად მოვლენილი მაცხოვარი, ფარისევლებს, პირფერებს, ჯოჯოხეთის შვილებს, ცოცხალ მკვდრებს, ეშმაკის მამის შვილებსაც უწოდებდა და გარყვნილებაშიც ამხელდა. ფარისევლები სექსუალურ ძალადობად არ თვლიდნენ დაუწინდავი მხევლების გაუპატიურებას, თუ ძალადობა კანონის იურისდიქციას არ სცდებოდა. ინტერნეტში განთავსებული თალმუდის მიხედვით, ვგებულობთ, რომ ფარისეველები თვლიან, რომ გოგონებს სამ წლამდე ქალიშვილობა აღუდგებათ. ამიტომ მართლმორწმუნე გოგონას სამი წლისა და ერთი დღის ასაკამდე მღვდელთმთავარზე ცოლად გაყოლაც შეუძლია. ბიჭებთან სქესობრივი აქტიც ამგვარ კატეგორიას განეკუთვნება. ანალოგიურ დამოკიდებულებას მოზარდებთან სექსუალური ურთიერთიობის დამყარებისა ვხვდებით ისლამშიც. ექვსი, შვიდი და ათი წლის ზრდადაუსრულებელი გოგონების დაქორწინება და თანაც მშობლების თანხმობით, იქ ჩვეული მოვლენაა. სურაში 68–ე (აიამ.4) წინასწარმეტყველი მუჰამედი დაქორწინდა აიშაზე, როდესაც აიშა ექვსი წლის იყო. მოზარდებთან სქესობრივი კავშირის უამრავი ფაქტებია დაფიქსირებული კათოლიკური ეკლესიის წიაღში. აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ მოხსნა სოდომიაზე აკრძალვა, რადგან ის კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის პრინციპს ეწინააღმდეგებოდაო. უცხოურ პრესაში სისტემატიურად ვცელდება ცნობები მოზარდებზე სექსუალური ძალადობების შესახებ: ირლანდიის მღვდელთმსახურების გახმაურებული სკანდალი. ბელგიელი პედოფილის მარკ დიუტრუს ყოფილი ცოლი და მოკავშირე მიშელ მარტინი, რომელსაც 30 წლამდე პატიმრობის სასჯელი რატომღაც ახლა მოუხსნეს. ევროპის პოლიციის განცხადება: რომ პედოფილების უმსხვილესი ჯაჭვის აღმოჩენის შედეგად,. დააპატიმრეს 180 ადამიანი. ბელგიელი მღვდელთმსახურების მხრიდან ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტებს 13 თვითმკვლელობა და 6 სუიციდის მცდელობა მოჰყვა. 2002 წელს გახმაურდა ლისაბონის სახელმწიფო ბავშვთა სახლის "კაზა პიას" ირგვლივ აგორებული სკანდალი. "ამერიკელი ბოისკაუნტები", პედოფიილის გამო 18, 5 000 000 დოლარით დააჯარიმეს. კარდინალი ბერტონეს განცხადება, რომ "ჰომოსექსუალიზმსა და პედოფილიას შორის კავშირი არსებობს". გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმსის" ჟურნალისტების დასკვნა, რომ რიგ კათოლიკურ ტაძრებში პედოფილთა მფარველობასთან შესაძლოა, რომის პაპიც იყოს დაკავშირებული. ირლანდიის კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა შონ ბრედიმ საჯაროდ აღიარა 35 წლის წინანდელი პედოფილების სკანდალის დროს დაშვებული შეცდომები. ათობით გერმანიის მაცხოვრებელი აცხადებს, რომ წინა საუკუნის 70-იან წლებში კათოლიკურ სკოლებში სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. (2003 წლის შემდეგ "ვატიკანის საელჩოს" მოთხოვნით, ამ კათოლიკური სწავლების საქართველოს სკოლებში შემოტანის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი. "პოლონეთის პარლამენტმა მოიწონა სკანონმდებლო დამატება, რომელიც პედოფილთა ქიმიური გზით სავალდებულო კასტრაციას ეხებოდა." მიუხედავად ამისა, 2011 წლის აგვისტოს, ქ. ბალტიმორში გამართულ კონფერენციაზე (ლიბერასტების მიერ) არასარულწლოვანთა მიმართ სექსუალური ლტოლვის მქონე ადამიანთა მიმართ პრინციპები შემუშავდა. კონფერენცია ჩატარდა **B4U-ACT**-ის ეგიდით. მათი საიტია: **http://b4uact.org/index.htm**. კონფერენციის მიზანს პედოფილიის ლეგალიზაციისთვის ექსპერტებისა და არასამთავრობოების მოზიდვა წარმოადგენდა. მეორე ნაწილი კონფერენციის დასკვნებისა და რეკომენდაციებისა — ასეთია: " **სანამ იმოქმედებდეთ, იცოდეთ და გაითვალისწინეთ შედეგები:** თუ ხართ პროფესიონალი ფსიქიატრი: შეიძლება, შეწუხდეთ იმით, რომ ჯანმრთელობის მენტალურ სამსახურში არის სიმცირე და ის ნაკლებად ხელმისაწვდომია იმ ხალხისთვის, **რომელთაც გააჩნიათ ემოციური და სექსუალური ლტოლვა არასრულწლოვანთა მიმართ**. ასევე ასეთ კლიენტებზე ზუსტი ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა და ის, თუ როგორ იმუშაონ მათთან. ჩვენ ვეხმარებით მენტალური სამსახურის პროფესიონალებს, უფრო მეტი გაიგონ "მაპ" პიროვნებების შესახებ და გაითვალისწინონ **სტერეოტიპად ქცევის, სტიგმის და შიშის ზემოქმედების ფაქტორები.** ამ გზით ისინი ინფორმირებულნი იქნებიან "მაპ" კლიენტების შესახებ მათთან მუშაობის დაწყებამდე და მანამდე, სანამ ისინი ამ ხალხზე ისაუბრებენ და გააკეთებენ საჯარო განცხადებებს.




იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# mzadvar Sevewiro saqarTvelos, magram ara erayis omSi



***რამდენიმე დღის წინ „მსოფლიოს ხალხთა ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობის“ ორგანიზაციის თავმჯდომარე, ჩემი დიდი ხნის მეგობარი მურაზ ნაგიევი დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა. გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.***

**— მურაზ, როგორ მოგწონს ის ამბავი, რომ ჩვენს ქვეყანაში მომრავლდა მუსულმანური სალოცავები. ოფიციალურად, საქართველოში, დღეის მონაცემებით, 300-მდე მოქმედი მეჩეთია აღრიცხული. გარკვეული პერიოდი პატარა მუსულმანური სკოლაც კი გქონდა, „ყურანს“ ასწავლიდი. როგორ ფიქრობ, ეს ქრისტიანულ ქვეყენაში პრობლემას არ შექმნის?**

—პირველ რიგში, მინდა გითხრათ: მე, აზერბაიჯანელი, სარწმუნოებით მუსულმანი, ვაცხადებ, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა. სულით ქართველი ვარ. მყავს ქართველი ცოლი, ე.ი. ქართული ოჯახი მაქვს. ჩემი ფესვები აქაა ჩადგმული — როგორც ნერგს ჩარგავ და ხედ გაიზრდება. საქართველოში არსაიდან არ ჩამოვსახლებულვარ, აქ ვარ დაბადებული, ჩემს შვილებს ქრისტიანი დედა ჰყავთ, ისინი ამ ქვეყნის შვილები არიან და მე მზად ვარ შევეწირო ამ ქვეყანას.

ასეთი ვრცელი შესავალი იმის სათქმელად დამჭირდა, რომ საქართველოში ბოლო პერიოდებში მოიმატა ეროვნულ-სარწმუნოებრივმა დაპირისპირებებმა, რასაც აუცილებლად მოჰყვება უსიამოვნებები. შეიძლება საქმე იქამდე მივიდეს, რომ საერთოდ დავკარგოთ ჩვენი ქვეყანა, ანდა საბოლოოდ დავემორჩილოთ მსოფლიოს მმართველ ეშმაკს, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ემსახურება. დღევანდელი სისტემა რყვნის და ანადგურებს სინდისს, ზნეობას. რაც მეტი დაპირისპირებები იქნება, მით უფრო ადვილად განხორციელდება სატანური იდეოლოგია.

საქართველოში ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა გვერდიგვერდ არის აშენებული. ისინი არასდროს ერთმანეთს „ხელს არ უშლიდნენ“.

მე, როგორც მუსულმანმა, თქვენი გაზეთის საშუალებით განცხადება მინდა გავაკეთო, თუ ნებას მომცემთ:

**— ბრძანეთ.**

— ვაცხადებ, რომ წინააღმდეგი ვარ აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის, თუკი ის საქართველოს დაპყრობის სიმბოლოდ შენდება.

ამას წინათ პარლამენტარმა ჯონდი ბაღათურიამ თქვა, რომ აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა დაუშვებელია. სრულიად ვეთანხმები ბატონ ჯონდის, მართლაც ზედმეტია ამდენი მედრესეს აშენება, იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანაში ქაოსი შეიქმნება.

როგორც ჩანს, საკითხმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ არაა საჭირო ასეთ საქმეებში სამღვდელოების ჩარევა. ამით სიტუაცია უფრო გამწვავდება. უნდა ვეცადოთ, ეს მეჩეთი მეგობრობის სიმბოლოდ აღვიქვათ.

არადა, დღეს გამოდიან სამღვდელო პრები და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ. მაგალითად, მამა გიორგი რაზმაძე. მან ამას წინათ თქვა: მუსულმანებს წესად ჰქონდათ, რომელ ქვეყანასაც დაიპყრობდნენ, იქ მეჩეთს აშენებდნენო. მეჩეთი არაა დაპყრობის სიმბოლო. ეს უნდა იცოდეს მღვდელმა. მეჩეთი გახლავთ სალოცავი სახლი.

წარსულის მტრობას ნუ გავიხსენებთ, მაშინ, როცა დღეს თურქეთის სახელმწიფო საქართველოს ნამდვილ მეგობრად უდგას გვერდით, ალბათ, გახსოვთ, აგვისტოს ომის დროს რა დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული ტვირთი შემოვიდა თურქეთიდან.

ახლა არაა ის დრო, მეზობლებს ვაწყენინოთ. მით უფრო, რომ ასეთი დაუფიქრებელი განცხადებებით საქართველოში მცხოვრებ მუსულმანებსაც გულს ვტკენთ.

როდესაც მამა გიორგი რაზმაძე სიტყვა მუსულმანს ამბობს და მუსულმანებს დამპყრობელად აცხადებს, გამოდის, რომ ისლამი ძალადობრივი, სისხლისმღვრელი სარწმუნოება ყოფილა. მე მუსულმანი ვარ, დავიბადე და გავიზარდე მცხეთაში, დღემდე დავდივარ ეკლესიაში სანთელს ვანთებ და ვლოცულობ ერთ ღმერთზე ღვთის სახლში. ყველა სამლოცველო ღვთის სახლია და არა დაპყრობის სიმბოლო.

**— თურქეთი თავისუფლად შემოვუშვათ ქვეყანაში მუსულმანური სალოცავებით, ეკონომიკით, კულტურით? სხვა რაღა არის დაპყრობა, გიფიქრია ამაზე?**

— ნეტავი იმაზე თუ უფიქრია ვინმეს საქართველოში ჩვენი ქვეყანა ამერიკას რომ აქვს დაპყრობილი? ჩვენი ჯარი დღეს საქართველოს ემსახურება? იმიტომაც არ წავედი სამხედრო სამსახურში, რომ ჯარი დღეს საქართველოს არ ემსახურება. როცა დავინახავ, რომ ქართული ჯარი საქართველოს დასაცავად შეიკრიბება, იქ მე ვიქნები პირველი. ვიცი, ბევრი ჯარისკაცი ქართულ არმიაში იმისთვის ეწერება, რომ უზარმაზრი ვალი და ათასი ეკონომიური პრობლემა აწუხებს, ასეთი ადამიანები მეომრებად და მით უმეტეს, გმირებად არ მიმაჩნია.



დღეს ნატოს ჯარი მობილიზებულია თავს დაესხას ირანს. არავითარი ბირთვული იარაღი, მთავარი მიზანი აშშ-ის ის აქვს, როგორც ავღანეთში თვითონ შექმნეს ტერორისტული ჯგუფები და შემდეგ ესხმოდნენ თავს, იგივე სურთ ირანშიც. არავის აინტერესებს ის, რომ ამ სასტიკი გეგმის განხორციელებას უდანაშაულო ადამიანები ეწირება.

ინფორმაციები მაქვს, რომ სერიოზული შეტევა მზადდება ნატოს მხრიდან ქალაქ ისპაჰანზე. ისპაჰანი ირანის გულია და მტერს უნდა გულში ჩაარტყას ირანს. ისპაჰანში კი, მოგეხსენებათ, ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობს.

მე მაღელვებს ჩვენი ჯარისკაცების ბედი, რომლებიც უაზროდ იხოცებიან სხვის ომში.

**ყველაზე საშინელება ის იქნება, ქართველ ჯარისკაცებს თავის თანამემამულეებს რომ დაახოცინებენ ფერეიდანში.**

ბევრი ჩემი მეგობარი მსახურობს ნატოს ჯარში, ჩემი დის ქმარიც, რომელიც ქართველია, გვარად გოგოლაშვილი, გამოიძახეს და უბრძანეს კონტრაქტს ხელი მოაწეროს. სხვა გზა არ ჩანს, საქართველოს ხომ სურს ნატოში გაწევრიანება?! კი, მაგრამ ფერეიდანში, ისპაჰანში თუ ირანში, საუკუნეებს გადარჩენილ იქაურ ქართველს, რომელმაც ენა და ტრადიციები შეინარჩუნა, ქართველი ჯარისკაცი რომ მოკლავს, ეს ტრაგედია არ იქნება?!

მე ვიყავი ირანში, მოვინახულე ქალაქი ყუმი, რომელიც ისპაჰანიდან, დაახლოებით, 40 კმ-ია. ამ ქალაქში მზადდება სასულიერო წინამძღვრები, შეიხები, არის უამრავი მეჩეთი და მედრესე, იქვეა თეირანიც, როგორ ფიქრობთ, ამ ქალაქებს არ დაბომბავს აშშ-ი? დიახ, თავისთავად ცხადია.

**— მურაზ, თქვენ ორგანიზაცია გაქვთ — ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობის კავშირი...**

— წარმოიდგინეთ, რომ არც ველოდი, იმდენი წევრი გვყავს, 3000-მდე ვართ, ჩვენთან ქრისტანებიც არიან. რადგან გვინდა სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის წაშლა — ერთმანეთს მტრული თვალით ნუ შევხედავთ და ვის სადაც მოესურვება იქ ილოცოს. ამაზე მოწმობს ჩვენი ორგანიზაციის სიმბოლოც, რომლის შექმნაში ცხონებულ ზურაბ ქაფიანიძესაც აქვს მონაწილეობა მიღებული.

წლების განმავლობაში ვიკვლევ ისლამის სარწმუნოებას, ვიყავი მუსულმანურ ქვეყნებში და უნდა ვთქვა, ამ აღმსარებლობაში იმდენი პრობლემებია, დრო აღარ რჩებათ ქრისტიანებს „ეომონ“. ამიტომ ვამბობ, მეჩეთები პრობლემას ვერ შექმნის-მეთქი. „ყურანში“ წიგნის ნახევარზე მეტი იესოსა და მარიამზეა, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობს. იმაზე აკეთებენ აქცენტს, რაც მათ აწყობთ. ის კი არა, თვითონ ისლამი იესოს სახელთანაა დაკავშირებული, ის — იესოს ნიშნავს, ლამ-ღმერთს. სინამდვილეში ეს ასეა, მაგრამ ბევრმა მუსულმანმა ამის შესახებ არ იცის.

ასე რომ, თუ კარგად დავაკვირდებით, ჩვენ ერთ ღმერთზე ვლოცულობთ, ამიტომაც უნდა დავანახოთ მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოში მცხოვრები ქრისტიანები, მუსულმანები, ებრაელები, სომხები, სხვები წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი სისხლისღვრის.

**საქართველო, როგორც მრავალეროვნებით ცნობილი ქვეყანა უნდა გამოვიდეს და მსოფლიოს უთხრას, რომ ვერანაირი ძალა ვერ დაგვყოფს და მშვიდობა გვინდა.**

არ ვემხრობით ძალადობას და ომებს ავღანეთში თუ ერაყში. გადავარჩინოთ ხალხი უსამართლო სისხლისღვრებს და გადავრჩეთ ჩვენც.

**ირანდა კალანდაძე**

---

**თუ თქვენ ხართ "მაპ"-ი (ანუ** პედოფილი)**:** შესაძლოა, თქვენ ეძებთ მენტალურ სამსახურს, რომელიც ეხება წუხილს დეპრესიას, ბრაზსა და სხვა ფაქტორებს, რომელიც თქვენს სექსუალურობასთან კავშირში არ არის. ***ან თქვენი სექსუალური გრძნობების მიმართ საზოგადოების სრეტეოტიპის და მათი რექციის შედეგია.*** ან შეიძლება ფიქრობთ, როგორ იცხოვროთ სრულფასოვანი ცხოვრებით კანონის ფარგლებში. შესაძლოა, გრძნობდეთ იმას, რომ არ ნდობთ ექიმებს, რადგან მათ თქვენი არ ესმით. ისინი გაგკიცხავენ, ან სხვას მოუყვებიან თქვენს გრძნობებზე. ჩვენ ვეხმარებით „მაპ" პრიოვნებებს, იპოვნონ ისეთი სპეციალისტები, რომელთაც ენდობიან. ამგვარად, ისინი განავითარებენ პრობლემის დაძლევის გზას და გაიაზრებენ, როგორ მოქმედებს მათი საკუთარი ქმედება თავად მათზე და სხვებზე, სანამ რეაქციას მოახდნენ თვიანთ მდგომარეობაზე. ან ამასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულებაზე. **B4U-ACT** არის იშვიათი თანამშრომლობის აქტი. ცდა, ხელი შეუწყონ ***„მაპ"-ებსა და და ფსიქიატრებს შორის თანამშრომლობას***, რათა ხელი შეუწყონ ამ ორ ჯგუფს შორის კომუნიკაციასა და ურთიერთგაგებას. ჩვენი მიზანი არის უნიკალური და უპრეცედენტო: გავხადოთ შედეგიანი და ხელმისაწვდომი გულისხმიერი მენტალური სამსახური ადამიანებისთვის, რომლებიც თავს "მაპ"-ად თვლიან და ვინც ეძებს დახმარებას იმ ცხოვრებისეულ საკითხებთან, რაც პრობლემურია მათთვის. ჩვენ ***გვსურს, დავაიმედოთ ისინი, რომ ჰქონდეთ ქმედითი და სრულყოფილი ცხოვრება,*** ვიდრე ელოდნენ, რომ კრიზისი მოხდება. 8 იანვარი, 2012 წელი"

ყველა დაავადებულ და ფისქიურად სამკურნალო ადამიანის დახმარება მისასალმებელია და აუცილებელი. თუმცა ასეთი "დახმარების ცენტრების"(მენტალური, თუ უფრო ფსიქიატრიურლი სამსახურების) შექმნის აგიტაცია, ფსიქიური პრობლემების მქონე პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის დიდი მცდელობა, უფრო "სხვა რამეზე" დაფიქრების საფუძველს იძლევა. გლობალიზაციემდე გამოსულ სამედიცინო ლექსიკონშის უმეტესობაშიც და ინტერნეტშიც, ჰომოსექსუალიზმიცა და პედოფილიაც, დღესდღეისობით, მაინც გარყვნილების კატეგორიაში გადის. **"ჰომოსექსუალიზმი თავისივე სქესის წარმომადგენლებთან სექსუალურ ლტოლვას გულისხმობს. სექსუალურ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ჰომოსექსუალთა კონტაქტებიმრავალფეროვანია. ჰომოსექსუალთა მისწრაფება შესაძლოა, მიმართული იყოს ბავშვებისა და მოზარდების მიმართ (პედოფილია, ეფებოფილია) "შესაძლებელია ჰომოსექსუალიზმის ტრანსსექსუალურობასთან, მაზოხიზმთან და სადიზმთანაც შეთავსება."** პედოფილია განმარტებულია, როგორც **"ბავშვებისადმი სექსუალური ლტოლვა. უმეტესწილად, მამრობითი სქესის, მათ შორის ასაკოვან და სქესობრივი პრობლემების მქონე პირებს აღენიშნებათ."**



უცხოეთში მცხოვრები ასაკოვანი მილიარდერები კი, მილიონობით დოლარებს იხდიან, "ნორჩ ბიჭებთან" სექსუალური გართობებისთვის და ბავშვთა მონაწილეობით პორნო-ფილმების ძვირადღირებული ინდუსტრიაც, "ცივილიზებულ დასავლეთში" საკმაოდ ჰყავის. **"კონტაქტების გასაადვილებლად, პედოფილები საბავშვო მოედნებსა და ბავშვების თავშეყრის ადგილებს სტუმრობენ დასაქმების ისეთ სფეროებსაც ირჩევენ, რომელიც ბავშვებთან მათ კონტაქტს უზრუნველყოფს."** (საავადმყოფოებსა და საბავშვო ბაღებს)" (შესაძლოა **სკოლებსაც, მანდატურების სახითაც და "პატრიორტთა ბანაკებსაც" ხელმძღვანელ პირებად. — ბ.ა) "პედოფილია შესაძლოა, სადიზმთან შერწყმულიც იყოს და ჰქონდეს არა მარტო ჰეტერო, არამედ ჰომოსექსუალური ორიენტაციაც. ამ გარყვნილ ქმედებებს პორნოგრაფიული ილუსტრაციები, გაშიშვლებაც და ხშირად სექსუალური ურთიერთობებიც ახლავს. (რაზეც** ზედგამოჭრილი სწორედ სექსოლოგიის სახელმძღვანელოებია) **პედოფილიასთან მოდუსით ახლოს დგას ეფებოფილია (მოზარდებისადმი სექსუალური ლტოლვა) ეფებოფილია შეინიშნება, როგორც მამრობით, ისე მდედრობით სქესშიც."** ასე განმარტავს მას სამედიცინო სფერო და სექსოპათოლოგები. მაცხოვრის პირველი გამოცხადების შემდეგ კაცობრიობას „სოდომ-გომორის" მწარე გამოცდილება კარგა ხანს ეყო, მაგრამ, როგორც სჩანს, არა „საბოლოო გაკვეთილად".

**ბაია ამაშუკელი**

# arCevnebis gasayalbeblad Seqmnili kidev erTi meqanizmi _ apirebs Tu ara Tavdacvis saministro arCevnebis dRes 15 000 opoziciurad ganwyobili rezervistis poligonze gawvevas?

გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი **ირაკლი სესიაშვილი**

**— ირაკლი, რა ცვლილებებია შეტანილი თავდაცვის სამინისტროს ავტორობით შემუშავებულ კანონპროექტში და რამდენად ადეკვატურია იგი?**

— დაახლოებით, ერთი კვირის წინ გამოქვეყნდა კანონპროექტი, რომელიც „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას გულისხმობს. კანონპროეტის ავტორის თავდაცვის სამინისტროსა და ინიციატორის კახა სუხიშვილის განმარტებითი ბარათის თანახმად კანონპროექტის მიღება შემდეგი მიზეზითაა დასაბუთებული: თურმე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად დღეს დადგენილი ვადა (12 თვე) საკმარისი არ არის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული პირების შესაბამისად მომზადებისთვის. რეზერვისტების გამოძახება, აღნიშნული ცვლილებით, პრეზიდენტის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაც უნდა შეეძლოს. მიზანი — სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის 15 თვემდე გაზრდაა. გარდა ამისა, ავტორის აზრით უნდა განისაზღვროს სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის საშუალებები, რის შედეგადაც სწავლებებზე და შეკრებებზე პირები გამოძახებულ იქნებიან ტექნიკური კომუნიკაციის საშუალებებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ. ჩემი აზრით, წარმოდგენილი კანონპროექტი წვევამდელთა უფლებების დარღვევას გამოიწვევს, რაც უარყოფითად აისახება წვევამდელთა მხრიდან სამხედრო სამსახურის მიმართ დამოკიდებულებაში და უარყოფით ეფექტს მოახდენს სამხედრო სამსახურზე.

**— წვევამდელთა უფლებების დარღვევაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— წვევამდელებს გაეზრდებათ სამსახურის ვადა, რაც მათ ხელს შეუშლით სამოქალაქო ცხოვრებაში შემდგომი ინტეგრაციის კუთხით. კერძოდ, თუ წვევამდელი მაისში გაიწვიეს, ამ ცვლილების თანახმად, იგი სავალდებულო სამსახურს 15 თვეში, ანუ აგვისტოში დაასრულებს, რის შედეგადაც ვეღარ შეძლებს ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღებას და „დაკარგავს“ ერთ წელს. არაკომფორტული გაწვევის ვადის გამო გაიზრდება ნიჰილიზმი და გაჩნდება საფრთხე წვევამდელის მხრიდან სამხედრო სამსახურის თავის არიდების. ეს კი შეიძლება გამწვევ კომისიებში კორუფციის საფუძველი გახდეს და გარკვეულმა პირებმა ქრთამის მიცემით სცადონ სამხედრო სამსახურიდან თავის დაძვრენა.

**— როგორ ფიქრობთ, რით აიხსნება კანონში მსგავსი ცვლილების შეტანა?**

— ჩემი აზრით, კანონპროექტის ძირითადი მიზანი, რომელიც ღიად არ გაცხადებულა არის ის, რომ აღმოფხვრას ჯარში არსებული საკონტრაქტო მოსამსახურეთა დეფიციტი და დაუკომპლექტებელი ქვედანაყოფები წვევამდელებით შეივსოს. შედეგად, მივიღებთ ჯარს, რომლის უმეტესობა დაკომპლექტებული იქნება წვევამდელებით და არა საკონტრაქტო მოსამსახურეებით, ეს ხარისხის შემცირებას და რაც ყველაზე ცუდია და საყურადღებო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესუსტებას გამოიწვევს.



**— ირაკლი, ახლა ახსენეთ ჯარისკაცების დეფიციტია ჯარშიო, რით არის ეს გამოწვეული?**

— არსებულ სიტუაციას თუ გავაანალიზებთ, მას შემდეგ, რაც ხელისუფლების გადაწყვეტილებით ავღანეთის მისიაში 1700 ჯარისკაცი იგზავნება, თავდაცვის სამინისტრო ამ მისიისთვის შესაბამისი კონტინგენტის მოგროვებასა და მომზადებას ვერ ახერხებს. როცა 1700 ჯარისკაცს ქვეყნის გარეთ გზავნი, მინიმუმ ერთი ამდენი პროფესიონალი დამატებით უნდა გყავდეს, მაგრამ თუ ეს დამატებითი რესურსი წვევამდელებით შეივსება, რა თქმა უნდა ხარისხი დაიკლებს. გარდა ამისა, ბევრი ჯარისკაცი ავღანეთის მისიაში წასვლაზე უკვე უარს აცხადებს. ამიტომ, თავდაცვის სამინისტროს უწევს არაკანონიერად იმ სამხედროების სამსახურიდან დათხოვნა, რომლებიც ავღანეთის მისიაში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ. სწორედ, ამ ფაქტორების გათვალისწინებითაა წარმოქმნილი ჯარისკაცების დეფიციტი ჯარში, რს შევსებასაც ხელისუფლება სწორედ ვადის გაზრდით ან წვევამდელთა რაოდენობის გაზრდით ცდილობს.



**— წვევამდელთა რაოდენობისა და ვადის გაზრდით და ჯარისკაცთა დეფიციტის წარმოშობით ხელისუფლების ფინანსური ინტერესებიც ხომ არ იკვეთება?**

— რა თქმა უნდა, რეალურად, ამაში ფინანსური ინტერესიც დევს. კერძოდ, წვევამდელს ჯარში, თვეში მხოლოდ 20 ლარს უხდიან, პროფესიონალ ჯარისკაცს კი მინიმუმ 800 ლარს. აშკარაა, რომ ხელისუფლება წვევამდელთა რაოდენობისა და ვადის გაზრდით ეკონომიას აკეთებს და ბიუჯეტს საკუთარი მიზნებისთვის ზოგავს, მათ შორის, არ გამოვრიცხავ, ეს არჩევნებისთვისაც კეთდებოდეს, რისი პრეცენდენტებიც წინა არჩევნებზე დაფიქსირდა. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ხელფასს განსაზღვრავს, ანუ წინასწარ არის ცნობილი რამდენი პროფესიონალი ჰყავთ და რამდენია მათზე გასაცემი თანხა, მაგრამ მათ პროფესიონალის ნაცვლად შეიძლება წვევამდელი გაიწვიონ და 20 ლარი გადაუხადონ, ანუ 780 ლარი დაზოგონ. თუ სად გადაირცხება ეს თანხა, ჩვენთვის გაურკვეველია.

**— ირაკლი, კანონპროექტის ავტორის მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ 12 თვე საკმარისი არაა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული პირების შესაბამისად მომზადებისთვის.**

— ეს სიცრუეა. რეალურად საერთაშორისო სტანდარტებით ჯარისკაცების მომზადებისთვის სრულიად საკმარისია 2-3 თვე. თავად ამერიკელი ინსტრუქტორები ჩვენს ქვედანაყოფებს 2-3 თვეში ისეთი რთული მისიისთვის წვრთნიან, როგორიცაა ავღანეთი. სასაცილოა ის ფაქტი, რომ თავდაცვის სამინისტრო რეზერვისტებს 5 და 18 დღით იწვევს და ამ ვადას საკმარისად თვლის, 12 თვიან სამსახურზე კი იძახის — საკმარისი არ არისო. ეს აბსოლუტური სისულელეა. ნებისმიერი სამხედრო მეთაური დაგიდასტურებთ, რომ 3-4 თვის შემდეგ ჯარისკაცი „ცუღლუტობას“ იწყებს, რადგან მას აღარაფერს ასწავლიან და იგი სამსახურის გავლის დროს ვალდებულებებისთვის თავის არიდებას ცდილობს.

**— რაც შეეხება ფინანსურ ვალდებულებებს, განმარტებით ბარათში, ასევე აღნიშნულია, რომ მისი მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს. ეს რამდენად შეესაბამება სიმართლეს?**

— აქაც უზუსტობასთან გვაქვს საქმე. ანუ ჯარისკაცი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით იღებს ახალ სამხედრო ფორმას და მოხმარების სხვა ნივთებს ყოველ 6 თვეში. შესაბამისად, 12 თვეში მათი ორჯერ უზრუნველყოფა ხდება, ხოლო ვადის 15 თვემდე გაზრდის შემთხვევაში ეს ვალდებულებაც იზრდება და საჭირო ხდება 3 თვისთვის ახალი ფორმით უზრუნველყოფა.

**— ერთობ უცნაური ცვლილება შედის „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად თავდაცვის სამინისტროს შეუძლია ტექნიკური და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაიწვიოს პირი. რას ნიშნავს ეს ყოველივე?**

— პირადად მე, ამ ცვლილებას, პირდაპირ არჩევნებს ვუკავშირებ. მოგახსენებთ, თუ რატომ: ამ ცვლილებით თავდაცვის მინისტრს საშუალება ეძლევა, რომ რეზერვისტები,




მაგალითად, მობილურზე მესიჯის გაგზავნით გაიწვიოს მაშინ, როცა აქამდე, ეს პრეზიდენტის ბრძანებულებით და შემდგომში გასაწვევ რეზერვისტთა ე.წ. კომისარიატებში დაბარებით ხდებოდა.

**ერთი წუთით წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება — პრეზიდენტი გადადგა, დაინიშნა არჩევნები, თავდაცვის მინისტრმა ჩვენს აქტივისტებს მესიჯები დაუგზავნა და 15 000 ოპოზიციური აქტივისტი რეზერვში ერთდროულად გამოიძახეს და არჩევნების დღეს პოლიგონზე წაიყვანეს, ანუ არ მისცეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და მოსწყვიტეს საარჩევნო პროცესს!!! ხელისუფლებას შეუძლია რეზერვისტები შერჩევით, ანუ რომელიმე კონკრეტული პოლიტკური ძალის აქტივისტები გაიწვიოს.**

ამ ინფორმაციის მოპოვება, ალბათ დამეთანხმებით, რომ მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს. კანონპროექტში მითითებული არ არის, თუ რა რაოდენობის რეზერვისტი გაიწვიოს. ამიტომ, თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია ერთდროულად განუსაზღვრელი რაოდენობის პირი გაიწვიოს. ბუნებრივია, გაწვეული პირები არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ, მათი პირადი მონაცემები კი ექნება შესაბამის უწყებას და რას იზამენ მათი პირადობის მოწმობებით, ვერ გეტყვით.

**— კანონპროექტში შეტანილი ცვლილებებისგან გამოწვეული საფრთხეები გასაგებია, მაგრამ თქვენ რას სთავაზობთ პროექტის ავტორს?**

— სავალდებულო სამხედო სამსახურის ვადა 6 თვე უნდა იყოს, ანუ ვადა კი არ უნდა გავზარდოთ პირიქით, შევამციროთ, რაც წვევამდელთა მომზადებისთვის სავსებით საკმარისია. ამას ნებისმიერი სამხედრო ექსპერტი დაგიდასტურებთ. ასეთ შემთხვევაში, წელიწადში ორჯერ მეტი წვევამდელის გაწვევა მოხდება სამხედრო სამსახურში, ანუ ორჯერ მეტი ჯარისკაცი და შესაბამისად პოტენციური რეზერვისტი გვეყოლება, რაც რეალურად ჩვენი თავდაცვის ღერძი უნდა იყოს. ასევე, უნდა მოხდეს სარეზერვო სამსახურის სისტემის რეფორმირება და რეზერვში გაწვეულნი იყვნენ არა რიგითი მოქალაქეები, არამედ ისინი, ვინც ეს 6-თვიანი მომზადება უკვე გაიარეს და, ამ შემთხვევაში 18 დღიანი გაწვევა გამართლებული იქნება. აღნიშნული გაზრდის ჯარის მიმართ ნდობას, რამდენადაც მოიხსნება არსებული დისკომფორტი — იმსახურო ჯარში 20 ლარად 12 ან 15 თვე. წვევამდელს შეეძლება წავიდეს სავალდებულო სამსახურში 6 თვით, ჩამოვიდეს, ჩააბაროს ეროვნული გამოცდები ან დაკავდეს თავისი საქმით. ამის რესურსი არსებობს. ქვეყანას ჰყავს 250 ათასამდე პოტენციური წვევამდელი და წელიწადში საკმარისი 15 ათასი გასაწვევი წვევამდელი.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ra codva-brali trialebs saqarTvelos rkinigzaSi?!

„საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელ ირაკლი ეზუგბაიას თუ დავუჯერებთ, მისი უწყებისნაირი წარმატებული და აღმავლობის გზაზე მყოფი სხვა არც ერთი სტრუქტურა არ არის, თუმცა საზოგადოება სხვაგვარად ფიქრობს. ეს სააქციო საზოგადოება, რომლის 100%-იანი წილის მფლობელიც სახელმწიფოა, ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი, იმ მოტივით, რომ იქ ძალზე ბევრი შავბნელი საქმეებია მიჩქმალული. კრიტიკას რომ მართლაც აქვს საფუძველი, ამის დამადასტურებელი ინფორმაციები „საერთო გაზეთს“ მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელმა ლევან კოჭლოშვილმა მიაწოდა.

დავიწყოთ იმით, რომ გასული წლის ანგარიშის ჩაბარების დროს ეზუგბაიამ განაცხადა, ევროპის განვითარების ბანკი (იბიარდი) უარს გვეუბნება შემოვლითი რკინიგზის მშენებლობისთვის საჭირო კრედიტის გამოყოფაზე, ამიტომ ამ მშენებლობას თავად „საქართველოს რკინგზა“ დააფინანსებსო. სინამდვილეში თავად ქართულმა მხარეს უთქვამს უარი გრძელვადიან, დაბალპროცენტიან კრედიტზე. უარის სავარაუდო მიზეზს ჩვენი რესპონდენტი ასე ხსნის, საქართველოს უამრავი ვალი დაუგროვდა, რომლის გასტუმრებაც მთავრობამ რამდენიმე თვეში უნდა დაიწყოს. ამ ვალების დაფარვის ერთ-ერთი სერიოზული წყარო ეზუგბაიას უწყება იქნება, სწორედ ამ მიზეზით აპირებენ სატრანზიტო გადაზიდვების ფასების გაზარდონ და სერიოზული თანხები ასე მოიზიდონო. შესაბამისად, საქრკინიგზას ახალი დავალიანება აღარ უნდა ჰქონოდა. ხარჯების შემცირების მიზნით, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა თანამშრომლების მეხუთედი შეემცირებინა, რაც გააკეთეს კიდეც. შემცირება ძირითადად, პროფესიონალებს შეეხო და ეს პროცესი 3 თვის წინ დასრულდა. დარჩენილ თანამშრომლებს რომ არ ეფიქრათ, ჩვენც გათავისუფლების პოტენციური კანდიდატები ვართო, მათ ხელფასები მცირე თანხით გაუზარდეს. ეს რეალურად გათავისუფლებული თანამშრომლების ხელფასების ხარჯზე მოხდა და არა რკინიგზის მოგების, როგორც ეს ეზუგბაიას უნდა შემოგვასაღოს. თუმცა თანამშრომლებისთვის გამოთავისუფლებული თანხა მთლიანად ვერ გაიმეტეს, მათ მხოლოდ ნახევარი გადაუნაწილეს, დარჩენილ ნახევარს კი წმინდა მოგება დაარქვეს და ალბათ, შესაბამისი ადგილიც მიუჩინეს.

ეზუგბაიამ ბრძანა, რომ საშუალო ხელფასი 645 ლარიდან 750 ლარამდე გაიზარდა, თუმცა ის არ უთქვამს, რომ ამ 750 ლარში შედის საშემოსავლო გადასახადის 18%, პროფკავშირებში გადასარიცხი თანხა, მინიმუმ 1%, რომელსაც რკინიგზელებს არც ეკითხებიან ისე უკავებენ ხელფასიდან, თუმცა ეს შიდა უწყებრივი პროფკავშირი, რომელიც ეზუგბაია-ჯინჯოლიას პირად კონტროლზეა, რკინიგზელებზე არაფრით ზრუნავს. ამ ორგანიზაციის საქმიანობა მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ერთადერთხელ წაუყვანია თანამშრომლები ექსკურსიაზე. საქრკინიგზამ, თუმცა აქ პროფკავშირები არაფერ შუაშია, რამდენიმე თანამშრომელი თურმე ბინებითაც დაასაჩუქრა, თუმცა ესეც ერთადერთხელ მომხდარა. რა პრინციპით შეარჩიეს ამ საჩუქრის ადრესატები, უცნობია. გარდა ამისა, ეკიპირების (ტანსაცმელი, ხელსაწყოები და სხვ.) შეძენაც თანამშრომლების ხარჯზე ხდება, ანუ საჭირო თანხას ავტომატურად აჭრიან ხელფასიდან. თანამშრომლების გარკვეულ კატეგორიას თურმე სპეციალური ფეხსაცმელების შეძენასაც ავალებენ, რაც სულ არ ყოფილა საჭირო. ბუნებრივია, აქაც გადახდა იმავე რეჟიმში ხდება. არადა, კონტრაქტში გარკვევით წერია, რომ ყველანაირი ეკიპირება თავად „საქართველოს რკინიგზამ“ უნდა შეიძინოს. ესეც ერთი პატარა მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდება ფულის „მოტეხვა“. რკინიგზელები ვალდებულნი არიან დაეზღვიონ. რა თანხას აჭრიან ხელფასიდან ამ „სიამოვნებისთვის“ ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან იქ სხვადასხვა პაკეტებია და რომელზე აქვს საქრკინიგზას ხელშეკრულება გაფორმებული უცნობია. ისე ამას არც აქვს მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ დაზღვევა სავალდებულოა, მზღვეველი კომპანია შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის სახელს უკავშირდება. მოკლედ, თანამშრომლებს მინიმუმ 20% მაინც აკლდებათ ხელფასიდან და 750 ლარის ნაცვლად 600 ლარია საშუალო ხელფასი. თითქოს დისპეტჩერებს 900 ლარიდან 1500 ლარამდე გაეზარდათ ხელფასი, რაც ასევე სიცრუე, რადგან 20%-იანი ბეგარა ამ შემთხვევაშიც მოქმედებს.

ამ ფონზე ძალზე საინტერესოა თავად საქრკინიგზის შეფის ხელფასის ოდენობა. ლევან კოჭლოშვილის განცხადებით, ეზუგბაია ყოველთვიურად 30.000 აშშ დოლარის ექვივალენტს იღებს ლარებში, ხოლო მისი მოადგილე ჯინჯოლია 20.000 დოლარის ექვივალენტს. ამ თანხაში არ იგულისხმება პრემიები და სხვა დანამატები, რითაც თავს ასე ინებივრებენ სააკაშვილის ჩინოვნიკები. რკინიგზის შემთხვევაში ამ დანამატებში დაშლილ და გაყიდული რეფლეჟერატორებიდან, თუ ჯართში გაშვებული ვაგონებიდან შემოსულ ფულს ვგულისხმობთ. ვფიქრობთ, ხელფასების მატება არჩევნების მოახლოებით უფროა გან-



პირობებული, თანამშრომლების, ანუ ელექტორატის მომადლიერება უნდათ, თორემ ამდენი წელია ეზუგბაია რკინიგზის ხელმძღვანელია, მაგრამ მანამდე რატომღაც არ უფიქრია რკინიგზელთა ხელფასების გაზრდაზე. თანამშრომლების შემცირების სერიას როცა იწყებდნენ ხელისუფლებამ არ იცოდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლას თუ აპირებდა, ამიტომ დიდად არ აღელვებდათ ამ ელექტორატის დაკარგვა. ახლა პოლიტიკური რეალობა შეიცვალა და ხელფასების მომატებით ცდილობენ რკინიგზელთა მომადლიერებას, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია.

ჩვენი რესპონდენტი დარწმუნებულია, რომ როგორც კი არჩევნები დამთავრდება, თუ ისევ სააკაშვილის რეჟიმი დარჩა ხელისუფლებაში, რკინიგზელების ნახევარი ქუჩაში აღმოჩნდება. საქრკინიგზის ხელმძღვანელობის საბოლოო მიზანია ძველი თანამშრომლების მხოლოდ მესამედი დატოვოს სამსახურშიო. პარალელურ რეჟიმში თურმე თანამშრომელთა, მათ შორის მემანქანეთა მისაღებ კონკურსებს ატარებენ. ცხადია, აქაც შინაურობის პრინციპით იხელმძღვანელებენ და გამოუცდელ ხალხს შეყრიან, თორემ ის სასწავლო დაწესებულებები, სადაც პროფესიონალ მემანქანეებს ამზადებდნენ, კარგა ხანია აღარ არსებობს. აქედან გამომდინარე, საეჭვოა ამ ხალხს თეორიული ცოდნა ჰქონდეთ, პრაქტიკულ გამოცდილებაზე აღარაფერს ვამბობთ, თუმცა დარწმუნებული ვართ ისინი კონკურსში უპრობლემოდ გაიმარჯვებდნენ. რამდენიმე წლის წინ ე.წ. პარავოზების მემანქანეები დაუთხოვიათ სამსახურიდან იმ მოტივით, რომ თითქოს ისინი დიზელის საწვავს იპარავდნენ. რკინიზელები „პარავოზს“ ვაგონების შიდა სარკინიგზო (მახარისხებლებში და გამანაწილებელში) გადაადგილების ლოკომოტივს ეძახიან, რომელიც დიზელის საწვავზე მუშაობს. რესპონდენტის თქმით, ეს ხალხი სულ ტყუილად დაადანაშაულეს, რადგან ცვლის დაწყების წინ არცერთმა მემანქანემ არ იცის ლოკომოტივზე რა რაოდენობის საწვავია გაწერილი, რადგან მან არ იცის წინასწარ რამდენი და რა სახის გადაადგილება უნდა შეასრულოს, დისპეტჩერის ბრძანებას ელოდება. არ არის გამორიცხული ამ პროფესიონალი კადრების დათხოვნის რეალური მიზეზი, სწორედ რკინიგზაში ხელმძღვანელობის ახლობელ-ნათესავთა დასაქმება ყოფილიყო.

საქრკინიგზის შეფის მოადგილე ჯინჯოლია ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში აცხადებდა, რომ თანამშრომლები კომფორტულ პირობებში ჰყავთ, მემანქანეებს მოსაცდელი ოთახი მოვუწყვეთო და ა.შ. რაც არის მტკნარი სიცრუე, რადგან კომუნისტების დროს აშენებული შენობებისთვის, რომელიც დანგრევის პირასაა, არაფერი მიუმატებიათ, უფრო მეტიც, კოსმეტიკური რემონტიც კი არ ჩაუტარებიათ, ეს ეხება, როგორც სადგურებს, ისე გამანაწილებლებსა და მახარისხებლებს. ისიც ტყუილი ყოფილა, რომ ტექნიკისა და აპარატურის განახლება ხდება და თითქოს ახალ ვაგონებსაც ამზადებენ, ყველაფერი კომუნისტებისდროინდელი ყოფილა. თბილისში ჭიჭინაძის ქუჩაზე მდებარე ე.წ. მახარისხებელში ენით აუწერელი ანტისანიტარიაა. მემანქანეების მოსაცდელში ხეირიანი სკამიც არ დგას და ეს სკამები არც ყოფნის, მათ არც კვების ობიექტი აქვთ და გაუსაძლის პირობებში უწევთ მუშაობა. არც სხვა პერსონალია უკეთეს მდგომარეობაში. კვანძში შესულ ვაგონებს ე.წ. ბაშმაკებს უდებენ, რომ არ დაგორდეს. ამ ფუნქციას ვინც ასრულებს მათი მოსასვენებელი ოთახი სულ 7 კვადრატული მეტრია. ეს ადამიანები ფაქტიურად, ყოველდღე მუშაობენ. ერთ დღეს დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე რომ იმუშავებენ, მეორე დღეს ღამის ცვლაში უშვებენ, საღამოს 8 საათიდან დილის 8 საათამდე. ამ პატარა ოთახში რანაირად შეძლებს ეს ხალხი დასვენებას, არავის აღელვებს.

საკვანძო პუნქტები (სატვირთო ვაგონების მახარისხებელი და გამანაწილებელი) თურმე საერთოდ არ კონტროლდება ვინ შედის და გამოდის, ელემენტარულად დარაჯებიც კი არ ჰყავთ. ეტყობა, სახელფასო ფონდს ზოგავს ეზუგბაია-ჯინჯოლიას წყვილი. დაცვის პოლიცია კი არის, ანუ მერაბიშვილის ხელქვეითი სტრუქტურა, მაგრამ ამ ფუნქ-



ციას ის წვევამდელი ახალგაზრდები ასრულებენ, რომლებმაც ჯარში წასვლას სამ დღეში ერთხელ ობიექტებზე მორიგეობა ამჯობინეს. ისინი თანამშრომლებს არც იცნობენ და შესაბამისად, უკონტროლოდაა იქაურობა. საწვავით სავსე ცისტერნებიც კი უპატრონოდ ყოფილა მიტოვებული. ქურდობას რომ თავი დავანებოთ, არადა ტერორისტულ აქტებზე ლაპარაკით ენა აქვს გადატყავებული ნაცხელისუფლებას, ამ კვანძში ვიღაცამ ერთი ცეცხლმოკიდებული ასანთის ღერი რომ შეაგდოს, აფეთქება მიმდებარედ არსებულ მჭიდროდ დასახლებულ უბანს მთლიანად ჰაერში აიტანსო. არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს სამუშაო მასალების მოპარვაც, შეიძლება „პარავოზების“ საწვავიც ასე მოიპარა ვინმემ და მერე მემანქანეებს შეაწმინდეს ხელი, მათ შორის ზემოხსენებული „ბაშმაკების“, რომელიც რელსზე თუ დარჩა, დაბალი სიჩქარით მიმავალმა მატარებელმა რომ გადაუაროს, გადაბრუნდება. გარდა ამისა, თურმე ამ გამანაწილებელსა და მახარისხებელში არც ის კონტროლდება რამდენი ვაგონი შემოდის და სად მიდის. ხშირი ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბათუმში გასაშვები ტვირთიანი ვაგონი კახეთში აღმოჩენილა.

თბილისში ბოლო ხანს ორი სარკინიგზო სადგურის (სამგორი და დიდუბე) მშენებლობა წამოიწყეს. ისე საკითხავია, რატომ დაანგრიეს მეტრო „სამგორთან“ მდებარე ნავთლუღის რკინიგზის სადგური, მისი რემონტი რა დიდი პრობლემა იყო, მაგრამ ეტყობა უფრო დიდი ფულის „მოტეხვა“ უნდოდათ. ლევან კოჭლოშვილის თქმით, ეს მშენებლობებიც არჩევნებს უკავშირდება, ნაციონალებს საარჩევნოდ ცხადია, ფული სჭირდებათ, ხოლო მშენებლობა ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალებაა. სამგორის სადგურის მშენებლობას ერთი ძალზე „ჰუმანური“ მიზეზი ჰქონია. დიდი ხანია კახეთის მიმართულებით სამგზავრო რეისები აღარ სრულდება, კახეთის რკინიგზას მხოლოდ ხე-ტყისა და ჯართის გამოსატანად იყენებენ. საარჩევნოდ მოსახლეობის გულის მოსაგებად გადაწყვიტეს ამ მიმართულებით სამგზავრო რეისების აღდგენა, მოგეხსენებათ, სამარშრუტო ტაქსებთან შედარებით მატარებლით მგზავრობა გაცილებით იაფი ჯდება. თურმე ეს პროექტი მომავალ წელს უნდა დასრულდეს, მაგრამ ხელისუფლება, როგორც წესი, ახლაც ცრუობს. შეიძლება სადგურები აშენდეს, მაგრამ ასე მოკლე დროში ამ მონაკვეთზე რკინიგზის აღდგენა-რეკონსტრუქცია შეუძლებელია. სამგორში კი მიდის მგზავრთა მოსაცდელის მშენებლობა, მაგრამ თელავის სადგურის შენობას არაფერი ეტყობა, იქ რაიმეს თუ აპირებენ. მშენებლობას რომ თავი დავანებოთ, რემონტიც კი არ მიმდინარეობს. არადა, ეს შენობაც ამორტიზებულია. ასე რომ, ამ პროექტს 2013 წელს დასრულება არ უწერია. თუმცა არც ის არის გამორიცხული თელავის სადგურს ნაუცბათევი კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარონ, როგორც ფოთში გააკეთეს, მხოლოდ ფასადს შეღებავენ, როგორც სჩვევიათ და ერთ თვეში სახურავიდან წყალი ჩამოვა.

ახლა რაც შეეხება ყბადაღებული შემოვლითი რკინიგზის მშენებლობას, რომელიც ჯერაც უცნობია, კონკრეტულად სად გაივლის, თუმცა საქრკინიგზის მესვეურებს აქაც გვარიანად მოუთბიათ ხელი. ცხადია, მათ წინასწარ იცოდნენ, სად უნდა გაევლო ლიანდაგს. თურმე თავიან ახლობლებს აგზავნიდნენ იმ ტერიტორიაზე მიწის მფლობელებთან, იაფად ყიდულობდნენ მიწას და შემდეგ უფრო ძვირად ყიდდნენ ამ ფართობებს „საქართველოს რკინიგზაზე“. ასე რომ, აქაც იკვეთება შეფარული კორუფციის ფაქტები. იმ მეპატრონეებს, რომლებმაც იცოდნენ, რომ აქ რკინიგზას უნდა გაევლო და უარი თქვეს მიწის გაყიდვაზე, მათ ისეთ მიზერულ თანხებს სთავაზობდა ეზუგბაიას უწყება, რომ ეს საქმეები სასამართლო განხილვის საგნად იქცა.

ირაკლი ეზუგბაიას მოხსნა-არმოხსნის საკითხი, ყოველთვის აქტიურად იდგა და ახლაც ასეა. მის მიმართ ყოველთვის არსებობდა გარკვეული კითხვები, მაგრამ იგი ამდენი წელია თანამდებობას ინარჩუნებს. დარწმუნებული ვარ, სანამ ეს ხელისუფლება იქნება, ეზუგბაიას არავინ მოხსნის, ყოველ შემთხვევაში, ეს ვერა ქობალიას დონეზე არ წყდება. ყველას კარგად მოეხსენება, რომ რკინიგზაში ძალზე დიდი „შავი ფული“ ტრიალებს, რომელიც ნაციონალების ყულაბის შევსებას ხმარდება. თუკი ქვეყნის პირველი პირი ამბობს, რომ ეზუგბაია წარმატებული მმართველია, თანამდებობიდან ასე ადვილად ვერ მოხსნის. თუ ასე უცებ ათავისუფლებ, მაშინ მის მიმართ სს-ის საქმე უნდა აღძრა და დაიჭირო. ამას ეს ხელისუფლება რა თქმა უნდა, არ გააკეთებს, რადგან ეზუგბაიამ შეიძლება ისეთი დეტალები გაამხილოს, რომელიც ბევრ შავბნელ საქმეს მოჰფენს ნათელს, თუნდაც იმას, რა კორუფციული მეთოდებით ხდება საქართველოში საწვავის შემოდინება. არც მისი საქართველოდან გაქცევა აწყობთ, რადგან ერთხელ უკვე მიიღო ამ ხელისუფლებამ მწარე ალიყური ირაკლი ოქრუაშვილის დაჭერა-გაშვებასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ იკავებენ თავს, თორემ „საქართველოს რკინიგზაში“ რა სიბინძურეებიც ტრიალებს, სააკაშვილსა და მერაბიშვილზე უკეთესად ვინ იცის?“, — აცხადებს ლევან კოჭლოშვილი.

**მანანა სუხიშვილი**

# `saxelmwifo gadamtrialeblebi~, ZebnilTa partia da Zveli megobrebis da Zveli mtrebis axali saZmo aliansi

მაშ ასე, როგორც იქნა აღსრულდა — ვალერი გელბახიანი სამშობლოში დააბრუნეს და ავადმყოფ დედას ჩაახუტეს! სამშობლომ კიდევ ერთი გადახვეწილი შვილი დაიბრუნა, ხოლო ხელისუფლებამ, სასამართლომ და რიგმა პოლიტიკოსებმა კი, მორიგი სვლა გააკეთეს პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე და მიშა სააკაშვილის ხელისუფლებას, გაგანია წინასაარჩევნო მარათონში გოდრით მადლობები უძღვნეს — ეს როგორი ჰუმანური, როგორი დემოკრატიული და როგორი სამართლიანი ხარ, ჩვენი მბრძანებელოო...

მაგრამ ყველაზე „მაღალმა“ და ყველაზე „მდაბალმა“, ვალერი გელბახიანის უპრეცედენტო განთავისუფლებაზე რომ არაფერი თქვეს, არ გაგვიკვირდათ, ძვირფასო მკითხველო?

ისე, თქმა რად უნდოდა, განა ყველაფერი თავიდანვე ცხადი არ იყო?

საქართველოში დღეს ყველამ იცის, რომ „ვირის აბანოს“, ე.ი. ციხეს — სააკაშვილის, მერაბიშვილის და ადეიშვილის ჩარევის გარეშე თავს ვერ დააღწევ და მარტივად სასჯელს ვერ დაუძვრები! ყოველ შემთხვევაში, „შუამავალიც“ წონიანი უნდა გყავდეს აღნიშნულ ჩინოვნიკებთან და თუკი შენც, ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აუცილებლობას მიაჩნევ ხსნის ერთადერთ გზად — ლაღად ცხოვრებას წინ რაღა დაუდგება?

ისე, ჩვენში დარჩეს და ე.წ. „თანამშრომლობას“ ხალხში სხვა სახელი ჰქვია, მაგალითად როგორიცაა — ჩაშვება, „ბოზობა“, დასმენა, ცილისწამება და ა.შ. მაგრამ დავიჯერო ეს ყველაფერი იურისტმა გელბახიანმა თავად არ იცის?

სასაცილოა ისიც, რომ ბატონი ვალერის სამშობლოში შემოსვლას, და 2007 წელს საზღვრის კონსპირაციულად გადალახვასაც (?) მავანი პოლიტიკოსი თუ რიგითი ადვოკატი — გმირობის ტოლფას ქმედებას უწოდებს და ავიწყდება, რომ გმირობა ბრძოლის ველიდან „გაპარვას“ კი არ გულისხმობს, არამედ უანგარო თავდადებულ ბრძოლას, თუნდაც სიკვდილის ფასად და მაგალითის მიცემას შთამომავლობისთვის! თუ მეხსიერება არ მღალატობს „გმირ“ გელბახიანს 2007 წლის შემდეგ ბრალი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ედებოდა და ამ ბრალდებითვე შემოაბიჯა ქართულ მიწაზე 2012 წლის თებერვალში! იგივე ბრალდება ჰქონდა წაყენებული ა.წ. გარდაცვლილ ბადრი პატარკაციშვილსაც და დღემდე უცნობია, ქართულმა „სასამართლომ“, სიკვდილის შემდეგ მაინც თუ მოუხსნა მას აღნიშნული ბრალდება?!

სხვათაშორის, ალბათ, ბევრს მიავიწყდა კიდეც, რომ სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით, იგივე „ჰუმანურმა სასამართლომ“ მაია თოფურიას 8 წელი მიუსაჯა და 3 მცირეწლოვანი შვილის (ბიჭების) დედა დღემდე ციხეში ჰყავს სააკაშვილის ხელისუფლებას. საინტერესოა, რატომ მაია თოფურიაზე არ გავრცელდა, თუნდაც „შვილების მონატრება — მონახულების“ მოტივით მისი განთავისუფლება?!

ანდა, რატომ დიანა აბაშიძეზე (ასლან აბაშიძის შვილი) არ გავრცელდა ამ „ჰუმანური“ ხელისუფლების კეთილი ნება მაშინ, როცა მკვდარი დედის, მაგული გოგიტიძის ორმოცზე ჩამოვიდა და სასაფლაომდე მისულიც კი არ იყო, აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში ამოაყოფინეს თავი?!

რატომ არ ვრცელდება „ჰუმანური“ სასამართლოს შეღავათები 8 მართლმადიდებელი კაცის გასათავისუფლებლად, როცა ყველა „მოწმე“ სასამართლოზე მათ უდანაშაულობას აღიარებდა და რატომ უნდა იჯდეს კიდევ 5 წლით თითოეული მათგანი?!

მოკლედ, ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველს შევახსენო — ვინც ამ ხელისუფლებასთან არ თანამშრომლობას, ყველას ადგილი ციხეშია, ყოველგვარი შეღავათების გარეშე და ზღაპრები იმის შესახებ, რომ ამ ხელისუფლებამ ჰუმანურობიდან გამომდინარე გაანთავისუფლა დედას მონატრებული ვალერი გელბახიანი — ტყუილი, თვალებში ნაცრის შეყრაა და მეტი არაფერი!

როგორც ცნობილია, „დევნილობაში“ მყოფი გელბახიანი აქტიურად იყო ჩართული ქართულ პოლიტიკაში „ექსპერტის“ რანგში და თუ გონებას კარგად დაძაბავთ, უთუოდ უნდა გაიხსენოთ მისი საგაზეთო „პროგნოზები“ — ნინო ბურჯანაძის მიერ გამართული მიტინგების დროს და დარწმუნდებით, რომ ბატონი ვალერი „დევნილობაშიც“ კი „ნაც. მოძრაობის სასარგებლო განცხადებებს აკეთებდა მაგალითად: „მგელი მოდისო“ და თუ ხელისუფლება ჭკუაზე არ მოვა, ერთ დღეში გადაუვლის მათ რუსეთიდან წამოსული „კაი ბიჭების“ რაზმებიო!



გაგახსენდათ? მეც მახსოვს და ალბათ ყველასაც ახსოვს, მაგრამ მოდით, ვიდრე ოპერაცია „დედა“-ს დეტალებს ჩავუღრმავდებით უფრო იქით, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, აჭარაში გადავინაცვლოთ მცირე ხნით და გავიხსენოთ ისიც, ვის ამოარტყა ჭიტლაყი და ვინ გამოისტუმრა რიკოთს აქეთ ასლან აბაშიძემ?

„მაგენი „მოქალაქეთა კავშირის“ შპიონები არიან, არადა, ბიჭო, ერთი — შვილივით გავზარდე, მეორეს კიდევ არაფერი მივაკელი“ — ამბობდა ასლანი გიორგი თარგამაძეზე და ვალერი გელბახიანზე...

როგორც იტყვიან, გიორგი თარგამაძე ჩემს თვალწინ გაიზარდა და რაღა დაგიმალოთ, როცა რაიმე „შარში“ გაეხვევა ხოლმე, ადამიანურად მეცოდება იმიტომ, რომ დედისერთაა და ცხოვრებაც ვერ წაუვიდა თავიდან ისე, როგორც ამას თვითონ ისურვებდა! რამდენჯერმე ვუთხარი კიდეც ასლანს: „კარგი რა, ცოდოა ბიჭი, ვის არ შეშლია, ბოლო-ბოლო შეურიგდი, რა მოხდა ასეთი-თქო?“ „არავითარ შემთხვევაში, მადლობა თქვას რომ არ დავიჭირე“-ო — მითხრა ასლანმა და მეტი ამ თემაზე აღარც გვისაუბრია. თუმცა მიზეზით უნდოდა გიორგის დაჭერა ასლანს ვიცი და მე და გიორგის მაშინ ამაზე გვისაუბრია კიდეც.



რაც შეეხება ვალერი გელბახიანს, იგი აჭარაში ასლან აბაშიძის სპეც. მოწვევით ჩამოვიდა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაზე, სწორედ ასლანის დავალებით დაიწყო მუშაობა! სხვათა შორის ბათუმში, ჩემი და გელბახიანის სახლები თითქმის გვერდიგვერდ დგას და მახსოვს, როცა ვალერი სახლს აკეთებდა მთელი აჭარის მთავრობა გადაყოლილი იყო, აბა „ჩვენი ბაბუს“ მეგობარს აგური, ტალახი და მეთლახი არ მოაკლდესო!

არ მინდა ჭორიკანასავით გამომივიდეს, ან გიორგის ანდა ვალერის ცილი დავწამო, მაგრამ მაშინ აჭარის ხელისუფლებაში ამბობდნენ, რომ არჩევნების დროს „აღორძინების“ თბილისის შტაბში სწორედ გიორგიმ და ვალერიმ გააფუჭეს საქმე და ასლანმაც ამიტომ მოიძულა ორივეო! როცა არჩევნების შემდგომი შედეგები საბოლოოდ სცნეს, აი, ზუსტად მაშინ თქვა ასლანმა ის სიტყვები, რომელიც მოგახსენეთ: — ეგენი „მოქკავშირის შპიონები არიანო!“

ეჭვგარეშეა ვალერი გელბახიანს და გიორგი თარგამაძეს მართლაც დიდი ხნის ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, (ჯერ კიდევ აჭარიდან) და რომ, სწორედ გიორგიმ „გაუიმასქნა“ ამ ხელისუფლებასთან თუნდაც გუშინდელი თავისუფლება, გიკვირთ?

პირადად მე, რა თქმა უნდა, არ მიკვირს, თუმცა ვალერის განთავისუფლებაში არანაკლები წვლილი შეიტანა მედიამ, როცა მას ტრიბუნას აძლევდა და მაშინაც, როცა სასამართლოს შენობასთან ელოდებოდა კომენტარების ჩასაწერად!

ნურავინ იფიქრებს, რომ მე გელბახიანის გათავისუფლება მეწყინა... არა, ბატონებო ღმერთმა ხელი მოუმართოს, დედაც დიდხანს უცოცხლოს ღმერთმა, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ბატონი ვალერი, უმძიმესი ბრალდებით ძებნილი, ყოველგვარი „მიეთ-მოეთის“ გარეშე გაანთავისუფლეს? არც ის არის დასამალი, რომ „ქრისტიან დემოკრატებს“ თურმე ვალერი გელბახიანი საჩხერის მაჟორიტარ დეპუტატად სხდომებიათ, დიდი ხანია ამ საკითხზე კონსულტაციებსაც მართავენ ხელისუფლებასთან და ესეც რომ, მართალი გამოდგეს, და გელბახიანმა გაიმარჯვოს საჩხერეში საინტერესოა, რას იტყვის მაშინ ცოტა ხნის წინანდელი დევნილი გელბახიანი, თარგამაძე და ხელისუფლება? — ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ხალხის არჩევანი იყო ასეთიო?

რა მაგის პასუხია და „ქრისტიან-დემოკრატების“ პარტია მეჩვენება, რომ ერთგვარად „ძებნილების“ თავშესაფრად გადაიქცა! გახსოვთ მათი საარჩევნო სლოგანი — „გაზი 10 თეთრი, შუქი 5 თეთრი და წყალი უფასო!?“ მაშინ ისიც გავიხსენოთ, ვინ ჰყავდათ თბილისის მერობის კანდიდატად თარგამაძის შტაბს? დიახ, გია ჭანტურია „მოქ.კავშირის“ ერთ-ერთი ბურჯი და 2003 წელს „ბაგაჟნიკით“ გაპარებული აზერბაიჯანში! ანუ ედუარდ შევარდნაძის მთავრობაში აზერბაიჯანის ყოფილი ელჩი, რომელსაც მეგობრები ხუმრობით „ელჩი ბეის“ ეძახოდნენ და რომელიც 2003 წლის „მიშასეულ“ დაპატიმრებებს, გავლენიანი მეგობრების დახმარებით გადაურჩა, „ქრისტიან დემოკრატების“ მეშვეობით საქართველოშიც შემოვიდა და არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა, შემდეგ ისევ აზერბაიჯანში წავიდა და მაინც ვითომ არაფერი?

ვთქვათ, ესეც შემთხვევითობა და სააკაშვილისეული „დემოკრატიის“ ერთგვარი გამოვლინება იყო, მაგრამ ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ არც ჭანტურია და არც გელბახიანი თავისი ქმედებებით ამ ხელისუფლებას — ჭეშმარიტ ოპოზიციაში არასოდეს ჩასდგომიან?

მე, როგორც რიგით მოქალაქეს, მიჩნდება დიდი ეჭვი, რომ არც 2007 წელს ხდებოდა რაიმე განსაკუთრებულად ოპოზიციური გელბახიანის მხრიდან, როცა იგი ბადრი პატარკაციშვილის შტაბის უფროსი იყო დაფრინავდა თბილისი-ლონდონის ცაზე, ათასობით ფუნტ სტერლინგს დაატარებდა აღმა-დაღმა გაბუნია-კოდუას „საიდუმლო“ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, შემდეგ ბადრისთან ბრუნდებოდა და იქიდან დაბრუნებული კი, არაფერს აკეთებდა შტაბში ჩანერგილი ხელისუფლების „ნასედკების“ განსადევნად, რომლებიც პირადად მე ძალიან ბევრი მინახავს!

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ თარგამაძეს და გელბახიანს 2007 წელსაც შესანიშნავი ურთიერთობები ჰქონდათ ერთმანეთთან და თუკი „იმედის“ და ბადრის ღალატში, მხოლოდ გიორგის ადანაშაულებენ, რატომ ინდობენ გელბახიანს და რატომ ვალერის საეჭვო ვიზიტებზე არ ამბობს არაფერს იგივე ნონა გაფრინდაშვილი, ანდა ბადრის ოჯახი?

ყველამ ვიცით, რომ ბატონი გელბახიანი კარგი იურისტია, კომუნისტებიდან მოყოლებული ათას ხვრელს თუ ლაბირინთში კარგად გარკვეული, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ არც „ვანიჩკაა“ დებილი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო დაედგინა მისი ადგილსამყოფელი და როგორც ძებნილი, სახელმწიფო გადამტრიალებელი და ა.შ. თბილისში ხელბორკილებით ჩამოეყვანა? ბოლო-ბოლო მე ვიცოდი, ბელორუსიაში, მინსკის გარეუბანში რომ იყო 2008 წელს და ამათმა არ იცოდნენ? გასაკვირია, ისიც, რომ თითქმის ყველა ჟურნალისტმა იცოდა გელბახიანის ტელეფონის ნომერი და „სახელმწიფო გადამტრიალებელს“ ეს ხელისუფლება კი ვერა და ვერ პოულობდა ისევე, როგორც ვერ „პოულობს“ ბადრი ბიწაძეს, რომელიც გელბახიანის დიდი ხნის ძმაკაცია!

ისე, საჩხერეში ანდა თბილისში, რეანიმაციის განყოფილებაში ამდენი უხალათო, ჯგროდ შესული ხალხი გინახავთ, თანაც ტელევიზიების თანხლებით?

საგულისხმოა ვალერი გელბახიანის კომენტარი, რომელიც მან სასამართლო ეზოში გააკეთა: „ჯერ დასრულდეს სასამართლო პროცედურები, როგორც გითხარით, ვითანამშრომლებ გამოძიებასთან და პოლიტიკურ აქტივობაზე, მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებ“-ო! ანუ, ის რომ „ქრისტიან-დემოკრატებს“ გელბახიანი საჩხერეში უნდათ დეპუტატად, ნაწილობრივ დაადასტურა და მომავალში რა და როგორ იქნება, ამასაც მალე ვნახავთ!

ისე, ვალერი გელბახიანი თუ საჩხერიდან დეპუტატიც გახდება, უკვე ეჭვგარეშე იქნება, რომ იგი ხელისუფლებასთან შეკრულია და ყოველთვის ამ გზაზე იდგა!

საინტერესოა ის გარემოებაც —„გამოძიებასთან“ მოთანამშრომლე გელბახიანი 2007 წლის ე.წ. გადატრიალებას ვის გადააბრალებს და რა „ახალ გარემოებებს“ გამოჩიჩქნიან ვანოს ბიჭები, მავანთა დასაპატიმრებლად?

ფაქტი ჯიუტია! გელბახიანი „სახელმწიფო გადამტრიალებლად“ ამ ხელისუფლებას აღარ მიაჩნია, რადგან იგი დღეს დედასთან იმყოფება საჩხერეში. უცნაურია ისიც, რომ ბადრი პატარკაციშვილის შტაბის ყველა წევრი დაუსჯელია, ხოლო თვითონ ბადრი კი, იმიტომ რომ ამ ხელისუფლების მართლაც მტერი იყო, გაურკვეველ ვითარებაში მოკლული და „არკადიას“ ეზოშია დასაფლავებული.

ოღონდაც რის სანაცვლოდ აპატია მიშა-ვანომ, ბადრი პატარკაციშვილის შტაბის უფროსს ვალერი გელბახიანს, ანდა დანარჩენებს 5 წლის წინანდელი ე.წ. გადატრიალება — საკითხავი აი, ეს არის და მაგას ვკითხულობ მეც!

# nino goguaZe: xarisxiani ganaTleba saqarTvelos xelisuflebisTvis aranakleb prioritetuli unda iyos, vidre qveynis teritoriuli mTlianobis aRdgena



**განათლების უფლება გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას სრულად მოახდინოს საკუთარი პიროვნების განვითარება და შეიძინოს ის ცოდნა (უნარ-ჩვევები), რომელიც მისი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის იქნება აუცილებელი. ვესაუბრებით "თავისუფალი დემოკრატების" წევრს ნინო გოგუაძეს**

**— როგორ აფასებთ განათლების რეფორმას? სამართლიანი იყო პროფესორ-მასწავლებლების „ჩარეცხვა"?**

— უპირველეს ყოვლისა, მგონია, რომ ამ სიტყვის ციტირება, თანაც ასე ხშირი, ზედმეტია. არ არის საჭირო უმსგავსობის ტირაჟირება. ჯობია, წყალს გავატანოთ მთელი ის ღვარძლი და უკულტურობა, რაც ასეთ რამეს ათქმევინებს ხელისუფალს.

განათლების რეფორმა, ვფიქრობ, უაღრესად ცუდია, იმდენად ცუდი, მხოლოდ რეფორმის ავტორების არაკომპეტენტურობით ძნელიც კია რომ აიხსნას. როგორც ჩანს, ზოგ მათგანს შურისძიების სურვილიც ამოძრავებდა. თუმცა, აქა-იქ კარგიცაა გაკეთებული. გამონაკლისებიდან ერთს დავასახელებ, ერთიან გამოცდებს, რომელიც საგამოცდო ცენტრის ქმნილებაა, და არა განათლების სამინისტროსი, ან განათლების რომელიმე მინისტრის. შეგახსენებთ, რომ ერთიანი გამოცდების სისტემა ცენტრში ვარდების რევოლუციამდე მოამზადეს და მისი განხორციელებაც უკვე დაგეგმილი ჰქონდათ, ცხადია, არა ისე ტოტალურად და დამანგრევლად, როგორც ვარდების ხელიუფლებამ გააკეთა. ვგულისხმობ, ერთიანი გამოცდებით სკოლის ატესტატის გაუქმებას და სკოლის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ფუნქციის სრულ დაკნინებას.



პროფესორ-მასწავლებლებს კი ისე მოექცნენ, სამხედრო ტყვეებს რომ არ მოექცევიან არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში; ისე მოექცნენ, როგორც უუფლებო არსებებს, და არა თავისი ქვეყნის მოქალაქეებს. არ დაგავიწყდეთ, რომ ხელისუფლების სისასტიკეს მსხვერპლიც მოჰყვა.

**— რამდენად არის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა?**

— ახლანდელი ბიუჯეტისთვის ასეთი პრიორიტეტი საერთოდ უცნობია. თუმცა, არც გაემტყუნებათ მის ავტორებს, რადგან ხარისხიანი განათლება ჩვენს ქვეყანაში სანთლით საძებნელია. არადა, ხარისხიანი განათლება და მისი ხელმისაწვდომობა საქართველოს ხელისუფლებისთვის არანაკლებ პრიორიტეტული უნდა იყოს, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. როგორც ერთზე ზრუნავენ, ისე მეორეზე.

**— ხშირად აღნიშნავენ, რომ სკოლა პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრია. რამდენად არის უსაფრთხო სკოლა?**

— ეს შეცდომა მგონია. საბედნიეროდ, სკოლა პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრი ვერ იქნება, რადგან სკოლის „მოსახლეობის" უმრავლესობა არასრულწლოვანია. სამწუხაროდ, სკოლა პოლიტიკური ვითარების ყველაზე უმწეო მსხვერპლია. მეჩვენება, რომ სკოლა ვარდების ხელისუფლებამ თავისი სადისტური სადამჯელო მეთოდების პოლიგონად აქცია. ამას ადასტურებს თუნდაც ბავშვისთვის მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი (კანონი) და „რთული" ბავშვებისთვის სპეციალური სკოლების შექმნა. ეს ორი ახალი „იარაღი" განათლების სამინისტროს ბოლოდროინდელი ქმნილებაა. მათ გამოცდას ერთგული მანდატურები და სკოლების თავგამოდებული დირექტორები, როგორც ჩანს, სიამოვნებით შეუდგებიან. ასე რომ, სკოლა პოლიგონიცაა და ნამდვილი ბრძოლის ველიც.

**— განათლების სამინისტრომ საგანგებო ბრძანებით მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი განსაზღვრა. რამდენად აცნობიერებენ თვით მოსწავლეები ამ პერსპექტივას?**

— ამ კითხვაზე სარწმუნო პასუხის გასაცემად სპეციალური სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარებაა საჭირო, ამიტომ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ადეკვატურად აცნობიერებენ და ესმით, რომ ეს წესი მიზნად ისახავს ბავშვების უფლებების აბუჩად აგდებას და მშობლების დაშინებას.

**— როგორ ფიქრობთ, თუ არა სახელმწიფოს პრეროგატივა, საკანონმდებლო დონეზე დაწიოს სკოლაში მისაღები ასაკი? თვლით, თუ არა, რომ ქართული სკოლები მზადაა ამ ცვლილებისთვის? რამდენად არის მზად ბავშვი 5 წლის ასაკში სკოლაში შესაყვანად?**

— 5 წლის ასაკში ბავშვის სკოლაში შეყვანა არ შეიძლება. ამას ამტკიცებს არა ერთი გამოკვლევა, და აქ ორი აზრი არ არსებობს. ხოლო სკოლები ისე დაჩაგრეს და დააშინეს, რომ ჰკითხო, ყველაფრისთვის მზად ვართო, იტყვიან.

**— რამდენად ხელმისაწვდომია განათლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის? ცალკე შეიძლება ვისაუბროთ უსინათლო, სმენადაქვეითებული ბავშვების შესახებ.**

— ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია საქართველოს განათლების სისტემაში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, უსინათლო და სმენადაქვეითებული ბავშვები განსაკუთრებულად ჰუმანურ და, ამავე დროს, კომპეტენტურ ზრუნვას საჭიროებენ. ინკლუზიური განათლების არსი ისაა, რომ ხელი შეეწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას. თუმცა ხელისუფლება სპეციალური სკოლების შემოღებისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის განსაზღვრით სწორედ მოსწავლეთა დეზინტეგრაციას, სეგრეგაციასა და საზოგადოების დეჰუმანიზაციას უწყობს ხელს.

**ნინო ფირცხალავა**

---

და ერთიც — თუ ასეთი ჰუმანური გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ, რატომ არ აჟრიამულდნენ ამ ფაქტზე „ნაცების" ნაქები ქაქები — წიკლაური, კუბლაშვილი, გაბაშვილი და ა.შ?

რა, ასეთ უპრეცედენტო გადაწყვეტილებებს „ქართული სასამართლო" ყოველდღე იღებს და მათი მხრიდან აქცენტების გაკეთება არ ღირდა?

ეეეჰ, მართლა როგორ ბნელა ამ ქვეყანაში და ამ გაუბედურებულ ხალხსაც, როგორ სჯერა ამ დადგმული სპექტაკლებისა? ვიმეორებ, სრულებითაც არ მაღიზიანებს ის, რომ ვალერი გელბახიანი თავისუფალია, მაგრამ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილების მიღმა რომ ბევრი კითხვის ნიშანია აღმართული, ვტყუივარ?

ანდა, კოდუა — გაბუნიას „კონსპირაციულ" ბინაში „ოპოზიციონერმა" გელბახიანმა „ოპერაცია ზახვატაზე" როცა „ალალად" ისაუბრა, მაშინ არ გაგიჩნდათ შეკითხვები, ძვირფასო მკითხველებო? მე და თქვენ თუ ვიცოდით მარინა გაბუნიას და ერეკლე კოდუას შესახებ ბევრზე ბევრი რამ და ვიცოდით, რომ ამ ხელისუფლებასთან ოფიციალურად თანამშრომლობდნენ, ვალერიმ არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე —„გული რომ გადაუშალა?"

რასაც ახლა დავწერ, ისეთივე მართალია, როგორც ის, რომ მე ირინა მქვია და გოგოსაშვილი ვარ გვარად...

ამ ერთი წლის წინ სკოლაში სადაც ჩემი შვილიშვილები სწავლობდნენ, სიმპათიური ახალგაზრდა ქალი დამხვდა კარებთან და მეუბნება: „ქ-ნო ირინა, თქვენ ყველაზე ობიექტური ჟურნალისტი ხართ და მე გადავწყვიტე, ის დოკუმენტები, რომლებიც გადავარჩინე, თქვენ გადმოგცეთ, სადაც ნათლად დაინახავთ ერეკლე კოდუასა და ვალერი გელბახიანის თანამშრომლობის ამსახველ მტკიცებულებებსო!" ისიც მითხრა — „კოდუას არ მოვასვენებ, საფლავში ჩავყვები, ვანო მერაბიშვილიც დაინტერესებულია ამ ყველაფრით და მოკლედ, თქვენ უნდა გამოაქვეყნოთ ექსკლუზიურად, რაც იყო და რაც ამის შემდეგ მოხდება"-ო! „კი, მაგრამ ვინ ბრძანდებით?" — ვკითხე მე. „მარინა გაბუნია ვარ, ადვოკატი, ჩემს სახლში შეხვდნენ ერთმანეთს გელბახიანი და კოდუა, მე ამ საქმის დეტალებს სულ წვრილად მოგიყვებით"-ო.

ახლა, ძვირფასო მკითხველო, ექსკლუზივზე რომელი ჟურნალისტი იტყვის უარს, მაგრამ მე, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ზედმეტად ფრთხილი ვარ და გაბუნიას ვუპასუხე: „იცით, იურიდიული დოკუმენტების გაშიფვრა, ჩემი საქმე არ არის და თანაც გელბახიანს კარგად ვიცნობ, არ მინდა გაქცეულ კაცზე დამატებითი ინფორმაციები გავაჟღერო და მოდი, თავი დამანებეთქო"! მე კი ვუთხარი სათქმელი, მაგრამ თვითონ მომეშვა, რო? „როგორ, მაგ ხალხმა უდანაშაულო ქალი ციხეში გამიშვა და თქვენ არ გაინტერესებთ, სინამდვილეში რა მოხდა?" — გაკაპასებული დამძახოდა გაბუნია. „მიწაში ჩავყვები ამ საქმეს, გელბახიანმა და კოდუამ ამინაზღაურონ ის მატერიალური ზარალი, რაც მომაყენეს, თორემ თუ პირი გავხსენი, ყველაფერს ვიტყვი და მერე ვინ წავა ციხეში, მაგასაც ვნახავ!"





მოკლედ, მალევე მივხვდი, რომ ქალბატონი გაბუნია არცთუ უანგაროდ აპირებდა შანტაჟს და ამ შანტაჟში ჩემს ჩათრევას ვინ ხელმძღვანელობდა, არც ამის გამოცნობა გამჭირვებია დიდად.

ასე იყო თუ ისე, მარინა გაბუნია მარტივად მოვიშორე თავიდან — დავურეკე ჩემს ახლობელ ადამიანს, რომელიც კოდუას დედა —ლაურა ლაჭავას კარგად იცნობდა და იმ ადამიანმა, ქალბატონი ლაურა ჩემთან ამოიყვანა სახლში, სადაც გაირკვა, რომ კოდუებს გაბუნიასთვის არაერთგზის ჰქონდათ გადახდილი „კომპენსაცია" და „ციხეშიც" რომ განცალკევებით და კომფორტულად უცხოვრია, ერეკლე კოდუას დამსახურება ყოფილა! რაც შეეხება ვალერი გელბახიანის „გულუბრყვილობას" ამ საქმეში, კოდუასთან შეხვედრის ჩანაწერს და ა.შ. მარინა გაბუნიასვე თქმით, —„ეს ჩანაწერი ვალერის თანხმობით გაკეთდა, რადგან ბადრი პატარკაციშვილთან ჩაეტანა და როგორც კოდუას თანხმობის დოკუმენტი, ისე წარედგინა მისთვის!!!-ო.

ახლა დასკვნები თავად გააკეთეთ მკითხველო! ისიც გაიხსენეთ რა რაოდენობის ფული ტრიალებდა მაშინ პატარკაციშვილის შტაბში და ჰკითხეთ საკუთარ თავს — ნეტავ, რატომ ხდება, სულ ერთი და იგივე „სახეები" რომ ტრიალებენ. ყველა მეფისა თუ მეფისნაცვალის კარზე და რატომ ხდება ხოლმე ისიც, რომ ეს „სახეები" იშვიათი გამონაკლისის გარდა, დროთა განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ხელისუფლების სამსახურში ყოფილან?

ბადრი პატარკაციშვილის ბურუსით მოსილი გარდაცვალებიდან 4 წელი გავიდა... არ ვიცი, ვის როგორ და ვის რაში სჭირდებოდა ბადრი, მაგრამ იგი პირადად ჩემთვის ახლობელი ადამიანი იყო და სხვებისგან განსხვავებით, როგორც ფულის ტომარას, ისე არ ვუყურებდი! მეტიც, ძალიან მეიმედებოდა, როგორც ქვეყნის მომავალი მმართველი და რომ არა მავანთა „გარჯა", ის დღეს ცოცხალი იქნებოდა!

ვალერი, გილოცავ შინ დაბრუნებას! საინტერესოა, „არკადიაში" ბადრის საფლავზე თუ მიხვალ? ალბათ, მიხვალ და შენც იცი, რატომ. იურისტი ხარ და გემახსოვრება, რატომაც...

**ირინე გოგოსაშვილი**

მოგზაურობა სამშობლოში





# Sedevr Ta gamocanebi

## თეძმის ხეობა

„ნათლისმცემელი“ და მისი ქანდაკება

ჩაჩუბეთიდან სამხრეთით, სოფელ რკონის მისადგომებთან, თეძამს აღმოსავლეთიდან ჩამომავალი ხევი უერთდება, რომელიც სათავეს გოსტიბის მთებიდან იღებს. გოსტიბელები მას გოსტიბისწყალს უწოდებენ, ხოლო ქვევით მცხოვრები რკონელები — შაბწყალას (ზოგიერთი-შავწყალას). ამ ვიწრო ხეობას სიღრმეში თუ შევუყვებით, დაახლოებით, 1,5-2 კილომეტრში ერთ ლამაზ და მიუვალ, შენიღბულ ადგილს მივადგებით, სადაც ასევე მშვენიერი გუმბათიანი საყდარი დგას. იგი გალავანში ზის, ნაგებია ჩალისფერი ქვიშაქვის თლილი კვადრებით, როგორც კი შორიდან თვალს მოკრავ, იფიქრებ, ტყეში კიდობნის მტრედი დაფრენილაო: პატარა, თეთრი მკლავები — როგორც ფრთები და მაღალი გუმბათი — როგორც ფრთოსნის აღერილი ყელი.

მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის საერთო მოცულობა საკმაოდ მცირეა (გარე ზომები: სიგრძე — 11 მ, სიგანე — 9 მ, სიმაღლე — 14 მ.) მას საკმაოდ მოზრდილი, სწორკუთხა, სადიაკვნო და სამკვეთლო აქვს, ხოლო აღმოსავლეთი მკლავი, დანარჩენ სამ მკლავთან შედარებით, — ორჯერ უფრო გრძელი.

ინტერიერში შემორჩენილია კანკელის ქვედა ლოდები და მდიდარი მხატვრობის აბრისები: „ხატი მანდილისაი“, „ქრისტე მოციქულ პეტრესთან ერთად“, „ფერისცვალება“, „ჯვარცმა“, „გარდამოხსნა“, „წმინდა გიორგის წამება ურმის თვალზე“, „წამება ლურსმნიანი ფეხსაცმლით“ და სხვა.

ტაძრის ფასადები: გუმბათის ყელი, სარკმელთა საპირეები, კარის არშიები და საყდრის სხვადასხვა ნაწილი ღრმა კვეთის სამკაულებითაა გაფორმებული. აღმოსავლეთ მკლავში ორი ღრმა და მაღალი ნიშია, მათ შუა, სარკმლის ბოლოში — გაკვანძული ორი კვადრატი. აღმოსავლეთის ნიშების მსგავსი ორი მინიატურული ნიშია დასავლეთ მკლავში. მარჯვენა ნიშში, გამოკვეთილი აყვავებული ჯვრის რელიეფთან, ძალიან დაკვირვებული თვალი შენიშნავს 4-სტრიქონიან წარწერას, რომელიც ასე გაშიფრეს პალეოგრაფებმა: **„წმინდაო გიორგი, ადიდე მამამთავარი არსენი და მეოხ ყავ წინაშე ღვთისა“.** საფიქრებელია, რომ ეს არსენი ან მონასტრის იღუმენია, ან არქიმანდრიტი და ეპისკოპოსი. კიდევ ერთი ძალიან მოკლე და და ქარაგმებული წარწერაა პერანგის ერთ-ერთ ქვაზე: „ქრისტე შეიწყალე ქექუჩი ..ნღ“. ხუროთმოძღვრული თუ პალეოგრაფიული ნიშნების თავისებურებიდან გამომდინარე, სწავლულები ამ ტაძარს და მის მხატვრობას XI საუკუნის I ნახევრით ათარიღებენ.

ადგილობრივები, რომლებიც დიდი ხნის წინათ მთიულეთიდან ჩამოსახლებულან, ამ ადგილს იკვს უწოდებენ და ტაძარსაც ასე მოიხსენიებენ —**„იკვის წმინდა გიორგი“**. ამავე სახელითაა იგი დამკვიდრებული სამეცნიერო ლიტერატურაში. **თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ამ დონის ტაძარი მეორე არ არის თეძმის ხეობაში. უფრო მეტიც — იგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შედევრია. ყოველივე ამის ფონზე უდიდეს გაოცებას იწვევს ის ამბავი, რომ ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ არაფერს გვეუბნება. ან იქნებ გვეუბნება და სულ სხვა სახელით გვაცნობს?...**



იკვის „წმინდა გიორგი“

ვახუშტი ბატონიშვილი თეძმის ხეობის აღწერისას, დრის ციხის შემდეგ, ასე ამბობს: **„ამის სამხრით, ზემოთ, თეძმის მდინარესა ზედ არას კრკონს მონასტერი გუნბათიანი ფრიად მაგარსა და შეუვალს ადგილს... აქ არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვიან ვერცხლსაც. ზის წინამძღვარი... კრკონს ზეით ხევღრმას არს მონასტერი. მას ზეით, ერიქალას მთის ქვეშ არს დედაციხე, კლდით მოზღუდვილი, ფრიად მაგარი...“**

ვახუშტის რუკაზეც ასე აქვს მონიშნული (ოღონდ დედაციხის ნაცვლად დეგციხე უწერია), მაგრამ ახლა ვერავინ იტყვის, რკონს ზევით რომ ხევღრმის მონასტერია, სად უნდა ვეძებოთ და რომელია. ვერც იმას მიგასწავლიან დედაციხე რომელია.

მოდით, ამ უკანასკნელით დავიწყოთ. ოდნავ ზევით ვახუშტი ასე წერს მდინარე თეძმის შესახებ: **„გამოსდის ჭვარებსა და თორის საშუალსა მთასა და დედაციხემდინ დის აღმოსავლით. მერმე დის ჩრდილოთკენ და ერთვის მტკვარსა“.**

გნებავთ, ვახუშტის, გნებავთ, თანამედროვე ზუსტ რუკას დახედეთ და დარწმუნდებით, რომ დედაციხე (დეგციხე) და რკონის ციხე ერთი და იგივეა. თეძამი სწორედ აქამდე „დის აღმოსავლით და მერმე ჩრდილოთკენ“. ვახუშტის თხზულებაშიც და რუკაზეც ხევღრმის მონასტერი რკონსა და დედაციხეს შორისაა. ე.ი. ჭყოპიანისა და ჩაჩუბეთის შემდეგ ჯერ რკონის მონასტერი უნდა გაიარო და მერე ხევღრმის მონასტერი, რომელსაც თავს დედაციხე დაცქერის. პუნქტების ასეთი დალაგებით იკვი და რკონი ადგილებს იცვლიან და თითქოს ისე გამოდის, რომ ამ ტაძრებს სახელები ჩვენ შევუცვალეთ — ჩვენ რომ იკვი გვგონია, ის რკონი ყოფილა, ხოლო რკონი — ხევღრმა. უნდა ითქვას, რომ ამ ვერსიას ზოგი ფაქტი დამატებით ადასტურებს და ზოგიც უარყოფს.

ჯერ ისა ვთქვათ, რაც ადასტურებს:

ვახუშტის მიხედვით რკონის მონასტერი ფრიად მაგარ და შეუვალ ადგილზეა და თანაც თეძმის მარჯვენა ნაპირზეა რუკის მიხედვით და არა მარცხენაზე. რომელ შეუვალ ადგილზეა საუბარი, როცა ამ ჩვენს რკონს გვერდით უძველესი და ცნობილი საქარავნო გზა ჩაუდი-



ოდა? შეუვალ ადგილზე იკვი უფრო დგას. იგი თეძმის მარჯვენა შენაკადის ვიწრო და შენიღბულ ხევშია. 2) ვახუშტის სიტყვებით რკონი გუმბათიანი მონასტერია, მაშინ როცა ჩვენ ამ მონასტერში გუმბათიან ეკლესიას ვერ ვხედავთ. მცირე გუმბათი იქ მხოლოდ XVIII საუკუნის სამრეკლოს აქვს. სამაგიეროდ, გუმბათიანი იკვის ტაძარი. 3) ვახუშტის თქმით, რკონში მოიპოვება სხვადასხვა ლითონი. ასეთი მადნის ქანები სწორედ იკვშია საძიებელი, რადგან ადგილობრივების განმარტებით, იქვე ჩამომავალ პატარა ხევს შაბწყალს სწორედ ამის გამო აქვს შაბის გემო და შავი ფერი.

ახლა ისა ვთქვათ, რაც ამ ვერსიას ეწინააღმდეგება: 1) ზედ თეძმის პირზე სწორედ თანამედროვე რკონის მონასტერია და არა იკვი; 2) გუმბათიან მონასტრებად ვახუშტი ძალიან ხშირად ისეთ მონასტრებს მიიჩნევს, რომელთაც ცალკე სამრეკლოები აქვთ: 3) თანამედროვე რკონის მონასტერი უფრო ვრცელი და ტიპიური სამონასტრო კომპლექსია, ვიდრე იკვი. 4) ღვთისმშობლის სახელით ცნობილია რკონის VII საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა და არა იკვის ტაძარი, რომელიც „წმინდა გიორგია“. ჩვენ კი კახა თორელის „შეწირულობის დაწერილიდან“ ვიცით, რომ მისგან ნაპატრონევი რკონის მონასტერი ღვთისმშობლის სახელობისა იყო; 5) კახა თორელის მიერ ნახსენები ეკვდერი — XIII საუკუნის მეორე ნახევრის სამლოცველო რკონშია შემონახული და არა იკვში.

სხვადასხვა ფაქტების შეჯერებისას ჩნდება ასეთი შეკითხვაც: ვახუშტისა და სხვა სწავლულ კაცებს შეცდომით ხომ არ აქვთ განსაზღვრული რკონისა და ხევღრმის კოორდინატები? არც ეს არის გამორიცხული, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც სხვა დასკვნამდე მივდივართ: **რკონი უნდა რქმეოდა ჩაჩუბეთის სამხრეთით, თეძმის აყოლებაზე მდებარე ვრცელ ტერიტორიას, რომელზეც ძალიან დიდი ლავრა იქნებოდა გაშლილი ღვთისმშობლის VII საუკუნის და წმინდა გიორგის XI საუკუნის ეკლესიების გარშემო.** იმ ადგილს, სადაც „წმინდა გიორგი“ დგას, იკვი, შეიძლება მოგვიანებით შეერქვა ტაძრის საკვირველი სილამაზის გამო — უყურებ და **გიკვირს!** შეიძლება სახელწოდება „იკვი“ კახა თორელის „დაწერილიდანაც“ გამომდინარეა. „თუ ბერთა არა სწადდეს, ვერცა ვინ ერთი ღამე გაათენოს და ნუცა ვინ **იკვების** შიგა...“

კარგად ვიცი, რა სარისკოა ასეთი საკითხების წამოწევა, მაგრამ ჩემნაირი მოხეტიალე ჟურნალისტი და ისტორიკოსი მას ვერანაირად ვერ აცდება. ამის დასტურად თეძმის ხეობაში ჩვენი შემდგომი მოგზაურობაც გამოდგება.

თეძამს დასავლეთიდან, შაბწყალას მოპირდაპირედ, მოზრდილი ხევი — ვიცხა ერთვის. მის სათავეებში ასვლა რკონიდანაც შეიძლება ფეხით, მაგრამ ამ მომქანცველ ბილიკებს ისევ გრძელი, შემოვლითი სამანქანო გზა ჯობს. საამისოდ იგივე მარშრუტი გვექნება გასამეორებელი, რომლითაც წინა მოგზაურობისას ფიცესში მოვხვდით — ხოვლეში უნდა ჩავიდეთ და თეძმის მარცხენა სანაპიროს იქიდან — კანიონის თავზე გამავალი გზით ამოვუყვეთ. ფიცესს რომ გავცდებით, თავისთავად ვიცხის ხეობაში და სოფელ საყავრეში მოვხვდებით. საყავრის სამი ნაეკლესიარიდან ყველაზე ძველი — IX-X საუკუნეების „წმინდა გიორგის“ მოზრდილი საყდარია, რომელსაც სამხრეთის ეკვდერი და დასავლეთის მონაშენი აქვს. ტაძარში ეკვდერიდანაა შესასვლელი. ეკვდერიცა და სამხრეთის სათავსიც რამდენადმე გვიანდელია, თუმცა იმავე მასალით — ქვიშაქვის დიდი, უსწორმასწორო ლოდებითაა ნაშენი. ძირითადი საყდარი ორჯერ მოუხატავთ და გვიანი შუასაუკუნეების პრიმიტული მხატვრობის მიმქრალი ფენის ქვეშ ზოგან X საუკუნის ფერწერის კვალიც შეინიშნება. საკურთხეველთან კანკელის ჩუქურთმიანი ქვები ყრია.

საყავრე ვიცხის მარცხენა სანაპიროზეა, მისგან სამხრეთით, ძალიან ღრმა კანიონის გაღმა კი მთის კიდევ ერთი პატარა სოფელი ნათლისმცემელია. მას საბჭოთა ეპოქაში წითელწყარო ერქვა. ვახუშტის თავის რუკაზე ამ ადგილზე ერთ-ერთი ნადარბაზევი აქვს მიწერილი. სოფელს ამჟამინდელი სახელი იქ მდგარი ნათლისმცემლის ეკლესიის გამო დაარქვეს. იკვის მსგავსად, ეს ეკლესიაც XI საუკუნის პირველი ნახევრისაა და თუმცა კი თლილი ქვით ნაგები უბრალო, დარბაზული საყდარია, მაინც უნიკალურად უნდა ჩაითვალოს.

ტაძრის სამხრეთ ფასადზე ჩასმულ ქვაზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, რომელიც სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება: „სახელითა უფლისათა, შეწევნითა ნთლისმცემლისათა... მიწაი, რომლის ფასითა ავაშენე ეკლესიაი სრულითა“.

ტაძრის ერთადერთი სამხრეთ კარის დასავლეთ მხარეს მოულოდნელობა გველით. თქვენ ნახავთ სანახევროდ სკულპტურულ ქანდაკებას, რომელსაც ადამიანის თავი და მტაცებელი ცხოველის ტანი აქვს, თანაც წინა კიდურებზე ხუნდები ადევს. თავდაპირველად ეს ლომის გამოსახულება მეგონა, მერე ნათლისმცემლის უდაბნოში ყოფნაც გამახსენა, მაგრამ ბოლოს მოქანდაკის სხვა ჩანაფიქრი ამოვიკითხე: **ეს უნდა იყოს „დანიელ წინასწარმეტყველის“ ტრაგიკული, პერსონაჟი — ურწმუნოების გამო ველად გაჭრილი და გამხეცებული ნაბუქოდონოსორი ერთ დროს ბაბილონის ძლევამოსილი მეფე, რომელსაც უფალმა დაუმტკიცა, რომ ხელმწიფება მისი ნების გარეშე არანაირ კაცს არ ძალუძს და ყველაფერი წარმავალია.** დანიელ წინასწარმეტყველის თავგადასავალში იუდეველთა ყველაზე დიდი და ძველი მტერი ნაბუქოდონოსორი შეგნებულად, შურისძიების მიზნითაა გამოყვანილი გაველურებულ კაცად. ლიტერატურულ პერსონაჟად გადაკეთებული ნაბუქოდონოსორი შემდგომი მეფის ნაბონიდის როლს ითავსებს. სინამდვილეში ისტორიული ნაბუქოდონოსორს ხომ მსგავსი არაფერი მოსვლია. ბაბილონი განადგურდა მას შემდეგ, რაც ღმერთ მარდუქის უარყოფის და ძველი ღმერთების ტაძრების მოძიების მიზნით მერმინდელმა მეფემ ნაბონიდმა სასახლე მიატოვა, თემენში ერთგვარი არქეოლოგიური სამუშაოები წამოიწყო და ქალიშვილი მთვარის ღვთაების ტაძრის ქურუმად დაადგინა. ბაბილონის სასულიერო ელიტამ უკან აღარ მიიღო არქეოლოგივით უდაბნოში გაჭრილი მკრეხელი მეფე, რასაც სულ მალე მტრის შემოსევა და სახელმწიფოს დაცემა მოჰყვა.

„დანიელ წინასწარმეტყველის“ ეს საკვანძო სიუჟეტია და ნაბუქოს ამბავი დეტალურადაა აღწერილი. **ასე რომ, ვინც ჩემი „აღმოჩენით“ დაინტერესდება, ბიბლიის ეს წიგნი ხელახლა უნდა გადაიკითხოს და ქანდაკებას შეადაროს. ჩვენს წინაშეა ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში რევოლუციური ნამუშევარი. ეკლესიის კანონიკური ჩარჩოებიდან ამოვარდნილი მრგვალი ქანდაკება, სკულპტურა — ნაბუქოს თავი ოთხივე მხრიდან იკითხება.** მისი ავტორი უთუოდ ძალიან ნიჭიერი ოსტატია და ქვაში ადამიანის ბედს გადმოსცემს. ის თავის ეპოქას ძალიან წინ უსწრებს. ვფიქრობ, ეს ქანდაკება სასწაულად გადაურჩა ბერების რისხვას, რადგან, სადაც კი ამგვარ ქანდაკებას წავწყდომივარ, ყველგან თავი აქვს ჩამომტვრეული. ასეა საღამოს ეკლესიაზე (ნინოწმინდის რ-ნი), ზარზმისა და კუმურდოს ცნობილ ტაძრებზე. ვფიქრობ, ნათლისმცემლის ტაძრის ამ შედევრს კარგად მიესადაგება ეს სტრიქონები:

**„ამბობენ ასე ნაბონიდზე,**
**რომ თიამეთმა**
**აბზუს ძახილზე აიტაცა**
**მარდუქის ურჩი**
**და უცხო მხარეს გააფრინა,**
**როგორც ფასკუნჯი.**
**არვინ იცოდა სად იყო იგი,**
**რომელ მხარეში, ვის მიწაზე**
**ან ვის ბინაში,**
**სანამ თეძამზე არ მიაგნო**
**მწყემსმა ყინვაში.**
**ანშანის ლახვარს ოტებულმა,**
**წარსულის ნაცვლად,**
**მერმისს მიანდო ბედი თვისი,**
**თურმე, საკარგად**
**ათას ექვსას წელს იფრინა**
**და ჩვენთან გაქვავდა...**
**ჩვენთან მოსულა, მოფრენილა..**
**მოჩვენებია თრიალეთში**
**ტაძრის ქანდაქარს**
**და იმის მერე „ნათლისმცემლის“**
**საყდრის კარს აკრავს“.**

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

საყავრის სამეკლესიანი ტაძარი



# მსოფლიო პრესის მიხედვით

## anqvabze TavdasxmaSi saqarTvelos jerjerobiT ar adanaSauleben



**აფხაზეთის მთავრობის საინფორმაციო სამსახურის ცნობით, რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი მასზე თავდასხმის შედეგ სამუშაო ადგილზე გამოცხადდა.**

22 თებერვალს დილით პრეზიდენტის სპეცკოლონას ყუმბარმტყორცნიდან და ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნეს. სოხუმში წინასწარი შეფასებები კეთდება: „ეს თავდასხმა წინა ყველა თავდასხმისგან განსხვავდება – ორგანიზაციის თვალსაზრისით და იმითაც, რომ ცეცხლი მიჯრით გახსნეს. კორტეჟის ყველა მანქანა აალდა. დაცვა იძულებული გახდა, საპასუხო ცეცხლი გაეხსნა. დაიღუპა დაცვის ორი თანამშრომელი“. ჯერჯერობით რამე ვერსიაზე ლაპარაკს თავს არიდებენ. რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, რომელსაც ალექსანდრ ანქვაბი რამდენიმე კვირის წინ რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის ახალი სასაზღვრო საგუშაგოს გახსნისას შეხვდა, დაურეკა კოლეგას და გამოძიებაში მონაწილეობა და დახმარება აღუთქვა.

ანქვაბის მშობლიურ ქალაქ გუდაუთაში მისი მხარდამჭერი სტიქიური მიტინგი გაიმართა, რომლის მონაწილეებმაც თავდასხმის ფაქტი დაგმეს. მომხდარის გამო ახალგაზრდების მასობრივი გამოსვლებია მოსალოდნელი. „ხალხი თავდასხმას უკავშირებს ანქვაბის მცდელობას, დაამყაროს წესრიგი რესპუბლიკაში, მათ შორის საკრედიტო სფეროში“, – აღნიშნავს სოხუმელი ჟურნალისტი ანჟელა ქუჩუბერია. არანაირი საგარეოპოლიტიკური ვერსია, დაკავშირებული თავდასხმასთან, მათ შორის საქართველოსთან რუსეთის გარკვეულ წრეებთან, არც კი განიხილება.

შეგახსენებთ, რომ 2005 წლის შემდეგ, ეს არის ანქვაბზე თავდასხმის მეექვსე შემთხვევა. 2010 წელს ტყვიამფრქვევმა დაანგრია იმ სახლის კედელი, სადაც ანქვაბი, მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი, ღამეს ათევდა.



აფხაზეთის ახლანდელი პრეზიდენტი კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლით არის ცნობილი. მასზე კიდევ ერთი თავდასხმა პრაქტიკულად გარდაუვალი იყო – როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მისი პრინციპულობა და თანმიმდევრულობა ძნელად ეგუება კავკასიაში არსებულ სისტემას – მოსყიდვასა და მოქრთამვას. ანქვაბის მომხრეები იმედოვნებენ, რომ იგი შეძლებს არა მარტო პირველი, შესაძლოა, მეორე საპრეზიდენტო ვადაც მიიყვანოს ბოლომდე – მხოლოდ ასე მოასწრებს იმ საფუძვლების შექმნას, რითაც აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საიმედო საფუძველი შეიქმნება.

მეექვსე თავდასხმის შედეგად, ანქვაბი, გადატანილი ტერაქტების წყალობით, კავკასიელ VIP-პერსონების სიაში ავტომატურად მოხვდა. ამ სიის აბსოლუტური ლიდერი მახაჩყალის ამჟამინდელი მერი საიდ ამიროვია, რომელიც 15 თავდასხმას გადაურჩა.

**mn.ru**

## afxazeTis sasazRvro zolis dacva ruseTis prerogativaa



აფხაზეთის საზღვარზე გაძლიერებული საკონტროლო რეჟიმი მოქმედებს. ამის მიზეზი პრეზიდენტზე მორიგი თავდასხმაა.

აფხაზეთის უშიშროების სამსახურის ოფიციალური პირები ადასტურებენ, რომ მდინარე ენგურის გასწვრივ საქართველოსთან აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარი პრაქტიკულად ჩაკეტილია. მისი გადაკვეთა მხოლოდ ენგურჰესის თანამშრომლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეუძლიათ. რაც შეეხება მდინარე ფსოუზე რუსეთთან საზღვარს, იქ მოძრაობა არ შეწყვეტილა, თუმცა საპასპორტო კონტროლი და შემოწმება გაძლიერებულია. როგორც ცნობილია, საზღვრის ამ მონაკვეთს რუსეთის ძალები იცავენ: „სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების თანახმად, რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთში, უსაფრთხოების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა იტვირთა“, – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრ ლუკაშევიჩი. მისივე თქმით, ანქვაბზე თავდასხმა არის იმის მცდელობა, რომ რესპუბლიკაში შექმნან დესტაბილიზაცია მოახლოებული (10 მარტისთვის დაგეგმილი) საპარლამენტო არჩევნების წინ.

თავდასხმის გამოსაძიებლად შექმნილია უწყებათაშორისი ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების სამსახურის თანამშრომლები. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებულია გეგმა სახელწოდებით – „ხელში ჩაგდება“, გაძლიერებულია მილიციის საგუშაგოები, საგულდაგულოდ მოწმდება ავტოტსატრანსპორტო საშუალებები იარაღისა და საბრძოლო იარაღის აღმოსაჩენად.

შეგახსენებთ, რომ ანქვაბზე წინა თავდასხმებიდან ჯერჯერობით არც ერთი არ არის გახსნილი.

**rosbalt.ru**

## Tbiliseli propagandistebi msgavs scenars ver moifiqrebdnen

რუსეთი პოსტსაბჭოურ სივრცეში კიდევ ერთ კონფლიქტში ერთვება. არა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც უკვე წლებია მოსკოვის ანტაგონისტია; არც ლატვიასთან ან ესტონეთთან... არა, კონფლიქტი ჩაღდება აფხაზეთთან, რომელიც თითქოსდა აბსოლუტურად ლოიალურია კრემლის მიმართ და აბსოლუტურად პრორუსულია. ჩვენს სახელმწიფო მოხელეებს საოცარი უნარი გააჩნიათ – პრობლემები გააჩინონ თითქმის ცარიელ ადგილზე და შემდეგ მას „სახელმწიფო ინტერესების“ საბაბით გრანდიოზული მასშტაბები შესძინონ.

საბოლოოდ აღმოჩნდება ხოლმე, რომ არანაირი სახელმწიფო ინტერესები არ არსებობს და საკითხი სულ სხვაგვარად ფასობს: ეს არის ამა თუ იმ ფუნქციონერთა ინტერესები, მათი სიმპათიები და ანთიპათიები; ფობიები; კომპლექსები. ამას ყოველთვის თან ახლავს მოუქნელობა, იმპერიული ამბიციურობა, რასაც ვერც ამერიკასთან გამოავლენ და ვერც ჩინეთთან თუ საფრანგეთთან... თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან კი, რომლებიც სრულად კრემლზე არიან დამოკიდებული, რატომაც არა?

ბოლო პერიოდში ამგვარი დამოკიდებულების უცხადესი მაგალითია სამხრეთ ოსეთი. მასშტაბური სკანდალი, რომელიც უკავშირდება არჩევნების გაუქმებას, ალა ჯიოევას ჰოსპიტალიზაციას (შესაძლოა, ცემასაც კი). რატომ ჩაერთო რუსეთი ამ უსიამოვნო ამბავში, რატომ ვერ აღკვეთა იგი ადრეულ ეტაპზე? მსოფლიოში არ არსებობს მსგავსი სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელიც ამგვარად იყოს მოსკოვზე დამოკიდებული, როგორიც სამხრეთ ოსეთია. აი, იქაც კი მოახერხეს რუსეთელმა სახელმწიფო მოხელეებმა, რომ შერცხვენილიყვნენ. ვინ მტყუანია და ვინ მართალი, ამის გარკვევას ამჯერად ნუ შევეცდებით. რა დააშავა ალა ჯიოევამ რუსეთის წინაშე ისეთი, რომ მოსკოვისთვის მისი კანდიდატურა წინდაწინვე კატეგორიულად მიუღებლად გამოაცხადეს. მნიშვნელოვანია შედეგი? ეს შედეგი სავალალოა – კავკასიაში რუსეთის პრესტიჟს მტკივნეული დარტყმა მიადგა. თბილისელი პროპაგანდისტები მსგავს სცენარს ვერ მოიფიქრებდნენ, რომელიც რეგიონში მოსკოვის, რუსეთის პოლიტიკის, „დიდთა“ თუ „მცირეთა“, კავკასიის აღიარებული თუ აუღიარებელი რესპუბლიკების თვალში ჩვენი რეპუტაციის დისკრედიტაციას მოახდენდა.




საქმის არსი ის არის, რომ პრორუსული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი პატივისცემას ითხოვენ. არ შეიძლება, მათ ლიდერებს ხელები გადაუგრიხო, მით უმეტეს – ასე საჯაროდ. არ შეიძლება, იქ მცხოვრებ ხალხებს თავს მოახვიო არჩევანი. გავიხსენოთ 2004 წლის აფხაზეთის ამბები – როგორ არ ეცადნენ რუსეთის სახელმწიფო მოხელეები და პოლიტტექნოლოგები, რომ სერგეი ბაღაფში საქართველოს გავლენის აგენტად წარმოეჩინათ, მაგრამ რესპუბლიკის მოსახლეობამ მაინც მას მისცა ხმა და მოსკოვი აიძულა, მათ არჩევანს შეჰგუებოდა. კრიტიკულ მომენტში, 2008 წლის აგვისტოში, სერგეი ბაღაფშმა თავი არა მარტო რუსეთის საიმედო პარტნიორად, არამედ გამობრძმედილ ორატორადაც წარმოაჩინა: ისეთ ფაქიზ პოლემისტად, რომელსაც შეუძლია რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთო ინტერესების დაცვა. ანუ აფხაზები იმ მოსკოველ პოლიტტექნოლოგებსა და კრემლის ანალიტიკოსებზე უფრო ბრძენი აღმოჩნდნენ, რომლებსაც სხვა კანდიდატის თავს მოხვევა სურდათ. რა გასაკვირია – მათ ხომ თავს მოხვევა ურჩევნიათ და არა დარწმუნება.

**kommersant.ru**

## pozneri: saqarTvelo ar aris is qveyana, romelic magaliTad gamodgeba



**ვლადიმირ პოზნერმა ÄÅËÎ ÂÎ É Ï ÅÒÅÐÁÓÐÃ-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ილაპარაკა ბროლის ბურთზე, საქართველოზე, იმაზე, თუ რა აღიზიანებს ხალხს და იმაზეც, რომ არ არსებობს პუტინის ალტერნატივა...**

ჩვენ კეთილდღეობა არ გვაკლია, მაგრამ კანონი არ არსებობს. აი, საქართველო კი ღარიბი ქვეყანაა, სადაც პატიოსანი პოლიცია როგორღაც გაჩნდა. რა უკეთესია?

– გაუმართლებელია, შეედარო საქართველოს, შვეიცარიას, ანდორას, ფინეთს... არ შეიძლება, რუსეთი შეადარო ქვეყანას, რომლის მოსახლეობა 10 მილიონზე, თუნდაც 7 მილიონზე ნაკლებია და რომელიც ეთნიკურად ერთგვაროვანია. იქ ყველაფერი სხვაგვარადაა.

საქართველოში მოახერხეს და კორუმპირებულ პოლიციას ბოლო მოუღეს. ეს სიმართლეა. იმავდროულად, თუ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოხვალთ, ამის გამო პირადად თქვენ ან ვინმე თქვენი ნათესავი აუცილებლად ციხეში მოხვდებით. შესაძლოა, პოლიტიკურ აქტიურობას სიცოცხლეც კი შეეწიროს. ეს ფაქტია და ეს სწორედ საქართველოში ხდება.

მე არ გახლავართ ბატონ სააკაშვილის მეხოტბე. ვიცნობ ბევრ ქართველს, რომლებსაც უბრალოდ ეშინიათ ლაპარაკის, აზრის გამოთქმის...

პუტინი? იგი უდავოდ პრაგმატული ადამიანია. იგი იდიოტი არ არის. ის არის ადამიანი, რომელიც სწრაფად სწავლობს, ითვისებს ახალს და რასაკვირველია, პატრიოტია. მას სურს, რომ რუსეთი იყოს დიდი, წარმატებული, მომხიბლავი ქვეყანა...

ამაში ეჭვი არ მეპარება. მაგრამ როგორ მოიქცევა ახალ გარემოებებში, ამის თქმა გამიჭირდება.

ჩემი აზრით, ახლანდელ ვითარებაში „ქანჩ-ჭანჭიკების“ მოჭერამ შესაძლოა წარსულში დაგვაბრუნოს და მოულოდნელობებიც ვერ ავიცილოთ თავიდან. ვფიქრობ, იგი ამაზეც ფიქრობს

**ÄÅËÎ ÂÎ É Ï ÅÒÅÐÁÓÐÃ**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა ᲒᲣᲚᲑᲐᲐᲗ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.**

# ოპერაცია "ექვსი ზანგი"

## ანუ მართლა მოიკლა თუ არა თავი ჰიტლერმა?



ნიურნბერგში დამნაშავეებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რომელიც 1946 წლის 16 ოქტომბერს უნდა შესრულიყო ძალაში. დასჯის პროცესი 103 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. დასჯას არ ესწრებოდა სიის მე-11 დამნაშავე გერმან გერინგი, მან შეძლო საწამლავის დალევა, რომელიც ცოლმა მიუტანა ციხეში ერთ-ერთი პაემნის დროს. მარტინ ბორმანი კი, რომელსაც დაუსწრებლად გამოუტანეს განაჩენი, უკვალოდ გაქრა. თვით ადოლფ ჰიტლერმა, როგორც ცნობილია, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

საინტერესოა, რომ გარდაცვლილი ჰიტლერელების ცხედრები ექსპერტიზისთვის ბერლინში გადაასვენეს და არა მოსკოვში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. განსაცვიფრებელია ის ფაქტიც, რომ გერმანელებს ერთი დღეც კი არ უგლოვიათ თავიანთი აგრესიული კუმირი.

არის მოსაზრება, რომ 1945 წლის 30 აპრილს ნაცისტებმა წარმატებით განახორციელეს ჰიტლერის, ევა ბრაუნისა და მარტინ ბორმანის გადარჩენის ოპერაცია. ოპერაციას ერქვა კოდური სახელწოდება „ექვსი ზანგი“ და მასში მონაწილეობდნენ ფიურერის, ბრაუნისა და ბორმანის ორ-ორი ორეული.

ანტიჰიტლერული კოალიციის არმიის გენერლები, რომლებიც დასჯას ესწრებოდნენ, ჰყვებოდნრნ, რომ დამნაშავეებს შორის ყველაზე ღირსეულად თავი იოაჰიმ ფონ რიბენტროპს ეჭირა. მან თვითონ ჩამოიცვა ყულფი კისერზე და წამოიძახა: „ღმერთო, უშველე გერმანიას!“ მაგრამ მას შემდეგ, რაც დაიანხა, რომ ამ სიტყვებმა ხალხზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, ყოფილმა ობერგრუპენფიურერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ითხოვა განცხადების გაკეთება. რაზეც, რა თქმა უნდა, დასთანხმდნენ. ადამიანს, რომელსაც ხელები სისხლით ჰქონდა გასვრილი, თქვა, რომ არ მოელოდა პატიებას, ოღონდ, ერთი რამ მინდა გთხოვოთ, როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს, დაანებეთ თავი შურისძიებას და ისე იცხოვრეთ, რომ მთელ პლანეტაზე მშვიდობა სუფევდესო.

რუსმა ისტორიკოსმა ვალერი მილომ შეძლო შეესწავლა აშშ-ის სამხედრო ბიბლიოთეკის მნიშვნელოვნი დოკუმენტები, რომლებიც ამ პერიოდს ეხება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რიბენტროპის განცხადება ამერიკის მხრიდან იყო ნაკარნახევი იმ დაპირებით, რომ მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ თუკი მნიშვნელოვან ინფორმაციებს გასცემდა. მაგრამ რას წარმოადგენდა რიბენტროპის ინფორმაცია ამერიკული სპეცსამსახურებისთვის? რატომ იყო ის ასეთი მნიშვნელოვანი?

ვალერი მილი, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობისას გადავიდა კანადაში საცხოვრებლად, ჰყვება, რომ მას შემდეგ, რაც საიდუმლო დოკუმენტებს გაეცნო აშშ-ის ბიბლიოთეკაში, იგი შეაძრწუნა რიბენტროპის მონათხრობმა. დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ასობით ლიტრი ბენზინი საჭირო იყო არა იმისთვის, რომ გაენადგურებინათ ჰიტლერისა და ბრაუნის სხეულები, არამედ იმისთვის, რომ ამოუცნობი გამხდარიყო ორეულების სხეულის ნაწილები ნამდვილისგან. ისინი საიდუმლო კარიდან შეიყვანეს იმ ოთახში, სადაც ფიურერის თვითმკვლელობა მოხდა.

ორეულთაგან ორი, რომლებიც ბერლინში ცხოვრობდნენ, წინასწარ მოკლეს, მათი სხეულებიდან მხოლოდ ძვლები დარჩა. დანარჩენი ოთხის შესახებ მილიმ ვერავითარი ცნობა ვერ მოიპოვა.

ისტორიკოსი არ გამორიცხავს, რომ ჰიტლერი და ევა ბრაუნი გაქცეულიყვნენ თანამზრახველების დახმარებით და სიცოცხლის დარჩენილი დღეები ბოლივიის დიქტატორის სტრესნერის „სასახლის კარზე“ გაეტარებინოთ. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ იგი ავრცელებდა ჰიტლერის ერთ-ერთი საყვარელი და სანდო თანამოაზრის ოტო სკორცენის ინფორმაციას, რომელმაც, სავარაუდოდ, მოაწყო ჰიტლერისა ევა ბრაუნისა და ბორმანის გაქცევა ბუნკერიდან. ამ გაქცევას ეწოდა სწორედ „ექვსი ზანგი“. მაგრამ რატომ ექვსი ზანგი? ძალიან მარტივად: დამწვარი სხეულები ყოველთვის შავია.



ადოლფ ჰიტლერი, ბენიტო მუსოლინი და ჰიტლერის მძღოლი ერიხ კემპკა

სკორცენის გეგმის მიხედვით, ჰიტლერისა და ბრაუნის მიერ თავი მოწამვლის ფაქტი ჰიტლერის მძღოლს ერიხ კემპკას უნდა გაეცხადებინა. სანამ ამას მოახერხებდა, იგი მანამდე ჩავარდა ტყვედ და განაცხადა კიდეც, მე თვითონ გავანადგურე მათი სხეულის დარჩენილი ნაწილები საავიაციო ორმოშიო და დაასახელა ადგილი, სადაც ნაგავი იყო დაყრილი საფლავის ფორმით.

„აღმოჩენილი სამხილი“-კბილის პროთეზი, სასაცილოდაც არ ეყო ჰიტლერის პირად ექიმს ტეოდორ მორელს, რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ დამწავრი სხეულის ნაწილები ცოტა რამეს თუ ამბობენ მისი მფლობელის შესახებ. არადა, კემპკა დეტალურად ჰყვებოდა, როგორ ჩააგდო ჰიტლერისა და ბრაუნის სხეულები ორმოში, დაასხა ბენზინი და ცეცხლი გაუკიდა ჰიტლერის მიცემული ასანთით.

მაგრამ ის თავის ჩვენებაში ორ უზუსტობას მაინც უშვებს. ჯერ ერთი, მას ასანთი არ შეიძლებოდა ჰქონოდა და საერთოდაც, ასანთი მას არც კი სჭირდებოდა. კემპკა არასდროს იშორებდა მოვერცხლილ სანთებელას, რომელიც ვინტოვკის ჰილზისგან იყო გაკეთებული და ჰიტლერმა აჩუქა სამახსოვროდ. და კიდევ, ის ვერ აღწერს სახეებს იმ ადმიანებისა, რომლებიც მან ორმოში ჩაყარა:„შეფის სახე სამხედრო პლედით იყო დაფარული, ევას სახეც არ ჩანდა, მასაც პლედი ეფარა, მარტინ ბორმანმა, რომელიც ევას უვერაგესი მტერი იყო, თქვა: არ ღირს სახის გამოჩენა, ჩვენ ეს მიცვალებულები ცოცხლები უნდა გვახსოვდესო“.

ომის დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ოტო სკორცენი ბერლინის ქუჩებში მოსეირნე შენიშნეს. მასვე ეკუთვნის ინფორმაცია, რომ ჰიტლერი და რამდენიმე მისი მომხრე ოსტატურად გაექცა მართლმსაჯულებას და სასტიკ განაჩენს. მათ დიდი ხანი ეძებდნენ საიდუმლო სამსახურები, მაგრამ ამაოდ. სკორცენი მოუყვა ამერიკელ ჟურნალისტს მაქს ინფელდის იმის შესახებ თუ როგორ დაეხმარა პლასტიკური ქირურგია გაქცეულებს. სკორცენი ამბობს, ისე შეცვალა ფიურერი ოპერაციამ, „საკუთარი დედაც კი ვერ იცნობდაო“.

სკორცენი იხსენებს ბუნკერის დაუჯერებელ შესაძლებლობებს: იგი დაცული იყო არა მხოლოდ ავიაბომბების, არამედ ფუგასური ბომბებისგანაცო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის,რომ ბუნკერს ჰქონდა სწრაფი ევაკუაციის შესაძლებლობა მილების საშუალებით.

კითხვაზე, თუ რატომ არაფერი იცის ამის შესახებ თანამედროვე ბერლინმა, სკორცენმა უპასუხა: შთამომავლები მკაცრად ინახავენ საიდუმლოს, ხოლო ბუნკერი ახლაც შესანიშნავ მდგომარეობაშია. ამერიკელი ჟურნალისტი, რომელიც სკორცენს ესაუბრა, შემდეგ დიდხანს ფიქრობდა, რაზე დაყრდნობით შეიძლება ადამიანმა დაუჯეროს სკორცენს? მოგვიანებით, ის შეხვდა ოპერაცია „ექვსი ზანგის“ კიდევ ერთ მონაწილეს და დარწმუნდა, რომ სკორცენი აბსოლუტურ სიმართლეს ამბობდა.

მის სიტყვებს კიდევ უფრო ამყარებდა ყოფილი მფრინავი ჰანს აბერტი, რომელიც კურიერად მუშაობდა ფიურერთან და ასრულებდა მეტად საშიშ და დელიკატურ დავალებებს.

უკანასკნელი სამსახური, რაც მან ჰიტლერს გაუწია, იყო მნიშვნელოვანი პერსონების ტრანსპორტირება პირდაპირ მდინარე ხაველის ნაპირთან. იქედან მან გადაიყვანა მგზავრები ჰიდროთვითმფინავზე. ალბერტს არ უბრძანებია, მაგრამ მიანიშნა და ურჩია პილოტს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მგზავრისთვის, რომელსაც კურტ ბარტი ერქვა.

ჰიდროთვითმფრინავის გაფრენის დრო ზუსტად ემთხვევა აბერტის მონაყოლს იმაზე, თუ როგორ იხსნა მან ჰიტლერი ფაშისტური გერმანიის დაცემის შემდეგ. ამბობდა, რომ გავსაუბრებოდით ამერიკელ ჟურნალისტს მაიკლ რობერტსონს, რომელიც არაერთხელ ესაუბრა ჰიტლერს სტრესნერის სასახლეში. მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა, რადგან რობერტსონი, რომელიც ცრუ-ს ყოფილი აგენტი იყო, მოულოდნელად გარდაიცვალა ავტოკატასტროფაში. მანქანა აფეთქდა და რობერტსონთან ერთად რუსი ემიგრანტი ალბერტ პირნიკიც დაიწვა.

ინფელდის სიტყვებით, როცა ის ბარტს შეხვდა, ამ უკანასკნელს მოეჩვენა, რომ მიმდინარეობდა ახალი „თამაში“ ახალი წესებით.

ვიქტორ აბრამოვმა, ყოფილმა ომის ვეტერანმა მოგვიანებით განაცხადა, რომ 1945 წლის 10 მაისს ავსტრიის ტერიტორიაზე მან ერთ სოფელში შენიშნა ადამიანი, რომელიც ვიღაცას აგონებდა. შემდეგ მივხვდი, რომ ეს ჰიტლერი იყო, — თქვა მან. უცნობი საკაცით გადაჰყავდათ, როგორც ავადმყოფი. აბრამოვი შემდეგ აღნიშნავდა, რომ ეს იყო რაღაცნაირი თამაში, რითაც სურდათ ხალხის დარწმუნება, რომ ჰიტლერი კვლავ განაგრძობს ბრძოლას და ფაშიზმი ცოცხალია.

ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ფილოსოფოსები აღნიშნავდნენ, რომ სამყარო იდეალურად სიმეტრიაულია. რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ყველა ადამიანს ჰყავს ორეული. ისეთი მსგავსებები შეიძლება არსებობდეს, რომ თვით გამოცდილმა ფოტოგრაფმაც კი ვერ გაარჩიოს ნამდვილი ორეულისაგან. ასე მოხდა ევა ბრაუნის შემთხვევაშიც. „სიმეტრიული ასლები“ იძლეოდნენ ინტერვიუებს არგენტინაში, ბრაზილიაში, აშშ-ში. ინერვიუებში მრავალი ისეთი ფაქტი იყო, რომელიც ნამდვილად ღირდა კამათის საბაბად. კერძოდ, ისრაელის დაზვერვის აგენტები ეძებდნენ სამხედრო დამნაშავეებს, მაგრამ ვერაფრით დაამტკიცეს რომელი იყო უამრავ ქალს შორის ევა ბრაუნი.

ებრაელი ისტორიკოსის იეგუდი ბლანკას სიტყვებით, თუ იმას დავამტკიცებთ, რომ ევა ბრაუნი ცოცხალია, მაშინ შეგვეძლება გავიგოთ, რა მოუვიდა ჰიტლერს და მისი გარემოცვის წევრებს. ვითონვე ამბობდა, ერთხელ კინაღამ დავიჯერე ევა ბრაუნის არსებობა, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა ლოს-ანჯელესის მახლობელ სოფელშიო. ქალი შესანიშნავად ფლობდა გერმანულ ენას. ის ორჯერ შეამოწმეს სიცრუის დეტექტორზე. ამის შესახებ კიდევაც წერდა ყოველკვირეული გამოცემა „News“-ის ჟურნალისტი პოლ დრეიკი, იგი იუწყებოდა, რომ ქალმა შესანიშნავად შეძლო გაეცურებინა ფსიქოლოგები და უამრავი დამკვირვებელი, რადგან ის 100%-ით ჰგავდა ევა ბრაუნს.

იეგუდი ბლანკა შენიშნავს, რომ არა მხოლოდ ჰიტლერს და ბრაუნს, გებელსს და ბორმანს, არამედ თვით მუსოლინისაც კი ჰყოლია ორეულები.

ამერიკელი ჟურნალისტი კარგა ხანს ყოყმანობდა, ნამდვილად იყო თუ არა უცნობი ქალბატონი ევა ბრაუნი. დრეიკი თავის ეჭვებში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როცა ქალბატონმა ანდერსონმა, იგივე ევა ბრაუნმა, საცხოვრებელი სახლი დატოვა 1973 წლის აგვისტოში, მისი პოვნა შემდეგ შეუძლებელი შეიქმნა. ხოლო რეპორტიორის საფოსტო ყუთში აღმოჩნდა წერილი, სადაც აფრთხილებდნენ, რომ თავი დაენებებინა საშიში წარსულის ქექვისთვის.

წლების შემდეგაც თავსატეხად გაუჩნდა ისტორიკოსებს გენეტიკური ექსპერტიზის პასუხები, რომელსაც პარალელურად და დამოუკიდებლად ატარებდნენ იტალიაში, ინგლისსა და ამერიკაში. კვლევები მიმდინარეობდა ჰიტლერის ძვლის შემადგენლობაზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ეს არ იყო ჰიტლერის ძვლის ნაწილები. ეს იყო ქალის სხეულის ნაწილი და საერთოდ არ ჰგავდა ფიურერის გენეტიკას.

მკვლევარები დღემდე განცვიფრებული არიან, ნუთუ ძვლის ნაწილები და კბილები, რომელიც მაგდებურგში საიდუმლო დასაფლავების ადგილიდან არის მოპოვებული, არ ეკუთვნის ჰიტლერს? არადა კაპიტან ივანე ტერეშენკოს მოხსენებაში, რომელიც სტალინს წარუდგინა სწორედ ასე იყო მითითებული?! მოხსენებაზე სტალინს მიუწერია:„საყურადღებოა. მოახერხეთ ისე, რომ საფლავი ხელმიუწვდომელი იყოს“. მას შემდეგ საფლავზე დაუსხამთ ცემენტის სქელი ფენა, ზემოდან კი ასფალტი დაუგიათ.



ალფრედო სტრესნერი

დასავლეთის ჟურნალისტები დიდ ხანს ცდილობდნენ ტერეშენკოსგან მიეღოთ ცნობები საფლავის ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ მისგან საგულისხმო ვერაფერი შეიტყვს.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ჰიტლერის პირადმა მძღოლმა ერიხ კემპკამ ბუნკერის სიახლოვეს ჰიტლერისა და ბრაუნის სხეულები კი არა, ვიღაც საერთოდ უცნობი ადამიანების სხეულები დაწვა. მაგრამ სად შეიძლება ვეძებოთ ჰიტლერის კვალი? ვარაუდობენ, რომ პარაგვაიში, სადაც ყველაზე ფართო გერმანული დასახლებაა. ამ ამბებით ბოლო ხანებში დიდ დაინტერსებას ამჟღავნებს ისრაელის დაზვერვა და ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები.

მთავარი ის არის, რომ დანაშაული, რომელიც არ სცნობს ვადებს, ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გახსნილი, ხოლო დამნაშავეები არ დასჯილან...

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“-ს ლასკარის

# მ  იმართვა

„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“-ს პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელებისათვის აქტიური ქმედების დაწყებამდე კურთხევის აღების მიზნით, 2011 წლის 23 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, ჩვენი სამოქმედო გეგმის მოკლედ გაცნობის შემდეგ იმ საკითხზე ვესაუბრეთ, რასაც — საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ჰქვია.

აღნიშნული შეხვედრის სულისკვეთებიდან გამომდინარე, „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“-ს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს—„ლასკარი“-ს 2011 წლის 31 დეკემბერს გამართულ სხდომაზე დამტკიცებული —„პოლიტიკური პრიორიტეტების რამოდენიმე საკითხი“-ს პირველ პუნქტად —„საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება“ განისაზღვრა (იხ. გაზ. —„უფალია ჩვენი სიმართლე“, №3 (796), 7-01-2012 წ.).

შობის ბრწყნვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი 2012 წლის 7 იანვარს გამართულ „უფალია ჩვენი სიმართლე“-ს ლასკარის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დამტკიცდა, საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მნიშვნელობიდან გამომდინარე, „საქართველოს კონსტიტუცია“-ში წარმოდგენილი გადაწყვეტილების ასახვის მიზნით შემუშავებული —„საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები“-ს პროექტი (იხ. გაზ. „უფალია ჩვენი სიმართლე“, №4(797), 14-01-2012წ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე — „უფალია ჩვენი სიმართლე“ განსახილველად წარმოგიდგენთ: საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მიზნით მომზადებულ საკითხთა სრულ პაკეტს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ სასურველია, თუკი აღნიშნულ საკითხზე თქვენს მიერ გამოთქმული თვალსაზრისის მიწოდება — 2012 წლის 1 მარტამდე მოხერხდება (წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით — INFO@UFALI რათა მიღებული განხილვის პირველადი შედეგები ერთგვარად შეჯამდეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის (1990 წ. 4 მარტი) 22-ე წლისთავისადმი მიძღვნილ — 2012 წლის 4 მარტისთვის ჩვენს მიერ დაგეგმილ შეკრებაზე.

წინასწარ გიხდით მადლობას მომავალი თანამშრომლობისათვის.

### მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხისათვის

ქართულმა გენმა, არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თავისი სულიერების საბოლოო ნავსაყუდელს — ქრისტიანული რელიგიის წიაღში მიაგნო.

ქრისტეს კვართისა და ღვთისმშობლის წილხვედრილობის უდიდეს მადლს ზიარებულ ქართულ მიწაზე წმ.ანდრია პირველწოდებულისა და სხვა მოციქულთა მიერ გაკვალულმა გზამ საბოლოოდ, წმ. ნინოს სუსტ მხრებზე მოკიდებული ჯვრისმტვირთველობის შედეგად ჩვენი ქვეყანა — ჭეშმარიტი რელიგიის სრულად შეცნობამდე მიიყვანა.

ნიკეაში 325 წ. შემდგარი პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების შემდგომად, ღმერთის ნებით, ქართლის სამეფო — პირველი ქვეყანა გახდა, სადაც — ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქნა გამოცხადებული.

IV საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, საერო და სასულიერო იერარქთა შეთანწყობილი მოქმედება დიდწილად განსაზღვრავდა მათ მიერ ქართული სახელმწიფოებრივი უღლის ტარების შედეგად დამჩნეული ხნულის ავკარგიანობას, რომელიმე მათგანის „წაფორხილება“ მყისიერად აისახებოდა, როგორც — მეწყვილის, ასევე მთელი ქვეყნის ფიზიკურ მდგომარეობაზე.

ჩვენი დღევანდელი ყოფის ავ-კარგში გასარკვევად აუცილებელია სულისმიერი ასპექტების შინა-არსში კარგად გარკვევა და დაგროვილი ისტორიული გამოცდილების გაზიარება.

„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“-ს რიგებში გაერთიანებულთ მიგვაჩნია, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი, წლების წინ მართებულად დაწყებული, მაგრამ მავანთა ძალისხმევით გაწყვეტილი გზასავალის გამთლიანებაშია საძიებელი, ორიენტირად უფალ იესუ ქრისტეს მრისხანე შეძახილის ქვეტექსტში შეფარული არსის გააზრება გამოგვადგება: „ვაი, თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომელნიც გარედან წმენდთ სასმისსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსენი არიან ნაძარცვითა და ნაოხარით. თვალდავსილო ფარისეველო, ჯერ შიგნიდან გაწმინდე სასმისი თუ ჯამი, რათა წმიდა იყოს გარეთაც“ (მათე 23-25-26).

და მართლაც, თუ დავაკვირდებით — გარეგნულად, თითქოსდა, მართლაც ყველაფერი „წესრიგშია“.

— საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია: დე-ფაქტორდ (1917 წლის 12 მარტიდან) და დე-იურედ (1990 წლის 4 მარტიდან) ავტოკეფალურია, სწორედ ასევე

— 1991 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული საქართველო დე-ფაქტო და დეიურე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მატარებელია.

წინამდებარე განსახილველი საკითხის თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენ არ ვეხებით საქართველოს საერო თუ სასულიერო სფეროთა პერსონალიების როლსა და მნიშვნელობას. ამჟამად ჩვენი მიზანია საკითხის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთმიმართებაში გავერკვეთ, და ერთადერთი მართებული ორიენტირი გამოვკვეთოთ.

„სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“-ს თვალთახედვით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მქონე საქართველოში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადდეს.

მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული დამოუკიდებელი საქართველო ქართული სახელმწიფოებრივი უღლის გამწევ იმ ერთიანი სხეულის მქონე ძალად იქცევა, რომლის მიერ კაცობრიობის ისტორიაში გაკვალული გზასავალი საუკუნეების მანძილზე ნასაზრდოები ივერიის გაბრწყინებით უნდა დასრულდეს.

დასახული მიზანი შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის გარეშე ვერ იქნება მიღწეული, ეს უკანასკნელი კი, უნდა ეფუძნებოდეს ღმერთის თანადგომით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთიან ძალისხმევას. უნდა გვახსოვდეს, რომ —„ ...დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდება. დაე, აღსრულდეს ნება ღვთისა! ნება ერისა!“ (ზვიად გამსახურდია).

ამასთანავე, საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, არამედ დღეისათვის მსოფლიოში არსებული რეალობა.

### საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისას გასათვალისწინებელ საკითხთა სავარაუდო ჩამონათვალი

— ქართული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ-ზნეობრივ საწყისებს.

— სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზნეობისა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას.

— საქართველოს კონსტიტუციით მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადდეს. მხოლოდ იგი უნდა სარგებლობდეს სახელმწიფოს მხარდაჭერითა და მფარველობით.

— საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტს უნდა წარმოადგენდეს.

— საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას განაგებს სინოდი.

— საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებას საპარლამენტო კანონის ძალა გააჩნია, თუ სინოდი ისეთ გადაწყვეტილება იღებს, რომელიც პარლამენტის პრეროგატივაა, პარლამენტი კონტროლის უფლებას იტოვებს.

— სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება (ქვეყნის ბიუჯეტის — 10 პროცენტი) — საგანმანათლებლო საქმიანობის, სოციალურად დაუცველ პირთა შემწეობის, ტაძრების მშენებლობისა და აღდგენისათვის.

— მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს.

— სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა თავისუფლება იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს.

— მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიის ნიშნით.

— საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა...

— საქართველოში მოქმედი სხვა რელიგიური გაერთიანებები დამოუკიდებელ კერძო ინსტიტუტებს უნდა წარმოადგენდნენ. მათი შექმნისათვის სახელმწიფო ნებართვა არ იქნება საჭირო და რაიმე სახის ფინანსურ დახმარებას სახელმწიფოსაგან არ მიიღებენ.



— ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას.

— სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდეს ურთიერთობის საქმიანობაში. მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა.

— საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სტატუსის წყალობით ეკლესიის კანონიკური სამართალი აღიარებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ, რაც დარეგულირდება საქართველოს ეკლესიის კონსტიტუციით („საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება“), რომლის კანონად მიღებასაც პარლამენტმა მხარი უნდა დაუჭიროს.

— ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება, იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე.

— უნდა გამოცხადდეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე.

— სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მოღვაწეობაში.

— უნდა აღდგეს სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ბუნებრივი კავშირი, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება.

— არ უნდა არსებობდეს საეკლესიო გადასახადი.

— ფინანსირება იწარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქვეყნის ბიუჯეტის — 10 პროცენტი) სამღვდელო იერარქიის ღვთისმსახურები და საეკლესიო პირები ხელფასს მიიღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაახლოებით იმ ოდენობით, როგორც მასწავლებლები.

— ეკლესია თავისუფლდება ზოგიერთი ისეთი გადასახადისაგან, როგორიცაა მიწისა და საშემოსავლო გადასახადები.

— საეკლესიო ქორწინება და ნათლობა აღიარებული უნდა იყოს ოფიციალურ დოკუმენტებად.

— საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ღვთისმსახურები უნდა სარგებლობდნენ სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების უფლებით.

— გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა საკითხებიც.

### პროექტი
### საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, 31-33, მუხ. 668) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

— 1. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში მართლმადიდებლობა გამოცხადებულია სახელმწიფო რელგიად, რაც განპირობებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლით საქართველოს ისტორიაში.

2. მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგულია ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

3. სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას უფლება აქვს იყოს აღმასრულებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს.

4. საქართველოს მოქალაქეთა უფლებები არ იზღუდება რელიგიის ნიშნით“.

— 2. 48-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 48-1 მუხლი, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1. პარლამენტის წარმომადგენელთა პალატა შედგება საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 80 პარლამენტის წევრისაგან.

2. პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

3. პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

4. მხოლოდ პარლამენტის წარმომადგენელთა პალატას აქვს იმპიჩმენტის აღძვრის უფლება“;

— 4. 49-ე მუხლის შემდეგ დაემატოს 49-1 და 49-2 მუხლები, რომლებიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 49-1

„1. პარლამენტის მხარეთა პალატაში შედის საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით — ქ. თბილისიდან, აგრეთვე ავტონომიური, საოლქო და საქართველოს ყოველი მხრიდან მაჟორტარული სისტემით არჩეული 35 საერო პარლამენტის წევრი:

და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ დადგენილი წესით არჩეული 35 სასულიერო პარლამენტის წევრი.

2. პარლამენტის მხარეთა პალატის წევრები აირჩევა ოთხი წლის ვადით.

3. პარლამენტის მხარეთა პალატის საერო წევრი შეიძლება იყოს 30 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია არანაკლებ ათი წელი და არჩევის მომენტში იმ ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრობს, სადაც ირჩევენ.

4. ქ. თბილისის მოსახლეობა ირჩევს პარლამენტის მხარეთა პალატის ექვს საერო პარლამენტის წევრს.

5. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიის მოსახლეობა ირჩევს პარლამენტის მხარეთა პალატის ოთხ-ოთხ საერო პარლამენტის წევრს.

6. ცხინვალის ოლქის მოსახლეობა ირჩევს პარლამენტის მხარეთა პალატის სამ საერო პარლამენტის წევრს.

7. გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და შიდა ქართლის მოსახლეობა ირჩევს პარლამენტის მხარეთა პალატის ორ-ორ საერო პარლამენტის წევრს“:

მუხლი 49-1.

„1. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი, მის მიერვე დადგენილი წესით, პარლამენტის მხარეთა პალატის წარმომადგენლად ირჩევს მღვდლობის უმაღლესი (მესამე) ხარისხის მქონე (მთავარეპისკოპოსი — ეპისკოპოსი), ეკლესიის შვიდივე საიდუმლოს შესრულების მადლისმიერი უფლების მქონე 35 სასულიერო პარლამენტის წევრს.

2. საქართველოს პარლამენტის მხარეთა პალატის თავმჯდომარე არის საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის ქვოტით არჩეული საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი.

3. პარლამენტის მხარეთა პალატა საერო და სასულიერო წევრებიდან ირჩევს პარლამენტის მხარეთა პალატის თავმჯდომარის თითო მოადგილეს, პარლამენტის მხარეთა პალატა ირჩევს სხვა თანამდებობის პირებს.

4. მხოლოდ პარლამენტის მხარეთა პალატას აქვს იმპიჩმენტის წესით საქმის განხილვის განსაკუთრებული უფლება. ამ მიზნით მოთათბირე პარლამენტარები დებენ ფიცს ან იძლევიან საზეიმო პირობას.

როდესაც იხილება საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმე, პარლამენტის მხარეთა პალატის სხდომას თავმჯდომარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, არც ერთ პირს არ დაედება მსჯავრი პარლამენტის მხარეთა პალატის პარლამენტართა ორი მესამედის თანხმობის გარეშე.

იმპიჩმენტის საქმეებზე გამოტანილი განაჩენი ითვალისწინებს თანამდებობიდან გადაყენებას და საქართველოს სამსახურში, რომელიმე საპატიო, ოფიციალური ან შემოსავლის მომტანი თანამდებობის დაკავების უფლების აყრას, თუმცა ამგვარად დასჯილი პირი, კანონის შესაბამისად, შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და დაისაჯოს სასამართლოს წესით“.

—5. 92-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 92

1. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა და მხარეთა პალატა, კონსტიტუციის 62-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა გამო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გამოყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში დაფიქსირებული საერთო შემოსავლების ათი პროცენტი.

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით“.

მომავალი თანამშრომლობის იმედითა და პატივისცემით:

სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლეს ლასკარის თავმჯდომარე
**მიხეილ (გელა) სალუაშვილი**

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ: 5 (91) 63-63-36
ინტერნეტ გვერდი:
**WWW.UFALI.GE**
ელექტრონული ფოსტა:
**INFO@UFALI.GE**







## თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აკაზა, აკიდი, გომბიო, დუნია, იარდი, იზარე, მხეცი, პითია, ქლილი, რიდლი, ტიკვი, ფუსტი, ქვრი, გილია, ცხავი, ჭავი.

ვერტიკალურად: აკუჩა, აპისი, აქცია, ბელტი, გლახი, დიდიე, ელენე, ვაზნა, ზუმბა, თაზია, იუნგა, კოხტა, ლეკსი, ოპალი, პლისე, ტორსე, სტაკი, შაისა, ჩვიდა, ხიწვი, ჯაჭვი.

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. პუდელი, კვდარი, სამეფო. 2. პოკერი, პეპელა, პიკასო. 3. მერანი, მულატი, მამაკი. 4. ტანგო, ქოლგა, მესხი. 5. ვისლა, ვინტი, ვანტი. 6. ლიდერი, პოლკა, ტანკა. 11. კომბალი, მესხეთი, ლომბარა. 12. კრიკეტი, ხრიატინი, ტრამალა. 13. მუსაკა, ჩუხუთი, ტატამი, 14. ჯალაბი, ხაბაზი, პუზუხა. 15. კურანი, პეტიფი, შიიფური.

ჰორიზონტალურად: 3. მალაქიტი, მორიზონტი, მაქსველი. 7. კამარა, ჭუჭული, ბაკანი. 8. შოლოხოვი, კრიაბინი, პაგანინი. 9. სამარა, სუფანი, სუხერი. 10. ტრიუმფი, კრიმინტი, პრიოვლე. 13. ზაპისი, კომიკი, მისაკი 17. კორკოტი, პანტერა, კოკალი. 18. მისელი, სახარე, ჩუხოლი. 19. კრუმინი, სტელინი, ტიტ მალი. 20. ზუბერი, კუზინი, ტომბატი. 21. კორნინი, პრომეთე, პრიმატი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | 26 | | 6 | 7 | 9 | 3 | 32 | 25 | 3 |
| 25 | 8 | 33 | 1 | 28 | 3 | | 3 | | 4 | | 1 |
| | 20 | | 27 | | 24 | 1 | 32 | 25 | 1 | | 19 |
| 24 | 8 | 31 | 8 | 32 | 14 | | 30 | | 11 | 7 | 14 |
| | 4 | | 11 | | 28 | 3 | 1 | 23 | 3 | | 28 |
| 29 | 3 | 4 | 1 | 28 | 3 | | | 1 | | | 3 |
| 7 | | 8 | | 1 | | 2 | 3 | 9 | 1 | 32 | 1 |
| 21 | 8 | 10 | 16 | 3 | | 1 | | 14 | | 3 | |
| 1 | | 16 | | 4 | 14 | 11 | 14 | 28 | 1 | 25 | 1 |
| 32 | 3 | 7 | 11 | 3 | | 1 | | 3 | | 3 | |
| 3 | | | 1 | | 2 | | 17 | | 13 | | 16 |
| | 30 | 7 | 30 | 28 | 7 | 10 | 3 | | 32 | | 1 |
| | 7 | | 1 | | 32 | | 8 | 32 | 7 | 4 | 3 |
| 1 | 11 | 7 | 32 | 2 | 3 | | 32 | | 11 | | 28 |
| | 14 | | 3 | | 1 | 5 | 3 | 32 | 1 | 28 | 3 |

ა-1
ბ-
გ-
დ-
ე-7
ვ-
ზ-
თ-
ი-3
კ-
ლ-11
მ-
ნ-
ო-14
პ
ჟ-
რ-26
ს-
ტ-
უ-8
ფ-
ქ-33
ღ-
ყ-
შ-
ჩ-
ც-
ძ-
წ-
ჭ-
ხ-
ჯ-18
ჰ-

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი.**

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ვუვლიდი მოხუცს. პრობლემები შემექმნა სამისდღეშიო რჩენის საკითხთან დაკავშირებით. რამდენადაც ეს შესაძლებელია, იქნებ გამარკვიოთ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებში.**

— პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩენის გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვების, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).



სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მისი ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით. გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

როცა სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, მაშინ მოთხოვნის უზრუნველყოფად მას აქვს იპოთეკის უფლება ამ ქონებაზე.

სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს.

ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლია გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

როგორც მარჩენალს, ანუ სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ აუნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

თქვენ სატელეფონო საუბრისას რატომღაც არ ისურვეთ დეტალებზე საუბარი. იმედია, ჩემი ვრცელი პასუხიდან მიაგნებთ თქვენთვის საინტერესო საკითხს.

* * *

**— ჩემმა მშობლებმა იშვილეს გოგონა. ორი წლის შემდეგ მე დავიბადე. მე და ჩემს დას არ გვაქვს კარგი ურთიერთობა. გარდაიცვალა ჯერ დედაჩემი, მერე მამაჩემი. მსურს მივიღო მშობლების მემკვიდრეობა. ჩემი და გათხოვილია, აქვს ოჯახი. არ აქვს ბინის პრობლემა. ის, როგორც ნაშვილები, ჩაითვლება თუ არა ჩემი ღვიძლი მშობლების კანონიერ მემკვიდრედ?**

— ის, რომ თქვენ და თქვენს დას არ გაქვთ კარგი ურთიერთობა, კანონისთვის არაფერს ნიშნავს.

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მიხედვით, პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან — გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

სამოქალაქო კანონმდებლობა ნაშვილებს ათანაბრებს ღვიძლ შვილთან. შვილება გახლავთ ისეთი იურიდიული აქტი, რომლის ძალითაც ნაშვილებსა და მშვილებელს შორის აღმოცენდება ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც შთამომავლობით ნათესავებს შორის. ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მემკვიდრეები, გათანაბრებულები არიან მშვილებლის შვილებთან და მის ნათესავებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშვილები ბავშვი კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრედ ითვლება.

თქვენი ნაშვილები და, თუ მას ამის სურვილი ექნება, მიიღებს სამკვიდრო ქონების იგივე წილს, რასაც თქვენ.

* * *

**— ჩემი მეზობელი მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობდა. მას ჰქონდა ბინა. ჰყავდა ერთი შვილი, რომელსაც წართმეული აქვს მემკვიდრეობის უფლება. სხვა მემკვიდრეები არ ჰყავს. ვინ მიიღებს ბინას?**

— სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი პირდაპირ პასუხობს თქვენს შეკითხვას: თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ — მათ საკუთრებაში.

# socialuri dazRvevis sistema safrangeTSi

### სოციალური დაზღვევის სივრცე

საფრანგეთის რესპუბლიკაში სოციალური დაზღვევა ვრცელდება მრეწველობასა და ვაჭრობაში დასაქმებულ ყველა პირზე, ასევე განსაკუთრებულ შემთხვევაში დიასახლისებზე. ნებაყოფლობით შეუძლიათ დაეზღვიონ მამაკაცები, ვისაც მიჰყავთ საოჯახო მეურნეობა, იმ ოჯახთა უმუშევარი მამები, რომელნიც უვლიან ოჯახის წევრ ინვალიდებს და საზღვარგარეთ მცხოვრები საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეები. დაზღვევის განსაკუთრებული სისტემები მოქმედებს აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის, მაღაროელთათვის, საზოგადოებრივი მომსახურების მუშაკთათვის, მეზღვაურთათვის და თვითდასაქმებულ მშრომელთათვის. მოქმედებს სოციალური დახმარების სისტემა მოხუცთათვის და კმაყოფაზე მყოფ პირთათვის.

### დაფინანსების წყაროები

საფრანგეთის რესპუბლიკაში ყოველ დაზღვეულს ასაკის მიხედვით საპენსიო ფონდში შემოსავლის 6,65 პროცენტს შეაქვს (დადგენილ მაქსიმუმამდე) მარჩენალის დაკარგვის შემწეობის ფონდში შეაქვს შემოსავლის 0,1 პროცენტი, უმუშევრობის შემწეობის მიმღებ პირს, რომლის შემწეობის მოცულობა აღემატება მინიმალურ ხელფასს (8,86 ევრო საათში) ამავე ფონდში შეაქვს ამ შემწეობის 11,37 პროცენტი.

ნებაყოფლობითი შენატანის გადახდა ყოველკვარტალურად ხდება, დაზღვეულის შემოსავლის შესაბამისად, რომლის მაქსიმუმი თვეში 2885 ევროა. თვითდასაქმებულები არავითარ შენატანებს არ იხდიან. დამსაქმებლები დამტკიცებული სახელფასო უწყისიდან ასაკის მიხედვით საპენსიო ფონდში 8,3 პროცენტი, ხოლო მარჩენალის დაკარგვის შემწეობის ფონდში 1,6 პროცენტს იხდიან ზემოთაღნიშნული მაქსიმუმის გათვალისწინებით. მარჩენალის დაკარგვის შემწეობის ფონდის ნაწილი და ინვალიდობის შემწეობის მთელი ფონდი სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. სახელმწიფო გასცემს სპეციალიზებულ სუბსიდიებს სხვა სოციალური ფონდებისთვისაც.

### პენსიის დანიშვნის პირობები

საფრანგეთის რესპუბლიკაში დაზღვეულ პირს ასაკის მიხედვით პენსია ენიშნება 62 წლის მიღწევისას, თუ მისი შრომის სტაჟი 40,5 წელს შეადგენს ნებისმიერი სქემის მიხედვით (2020 წლიდან სავალდებულო შრომის სტაჟი 42 წლამდე გაიზრდება). 16 წლის ასაკში შრომითი საქმიანობის დამწყები პირებისთვის საპენსიო ასაკი 56 წლიდან ხოლო 17 წლის ასაკიდან შრომითი საქმიანობის დამწყები პირებისთვის 59 წლიდან, დგება.



პენსიონერს შეუძლია ასაკის გათვალისწინებით დაიწყოს შრომითი დამატებითი შემოსავლის მიღება პენსიის დანიშვნიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. გათვალისწინებულია შეღავათები უმუშევრობის შემწეობის მიმღებთათვის, ინვალიდებისთვის (ვინც შრომისუნარიანობა 66 პროცენტზე მეტად დაკარგა), ომის ვეტერანებისთვის, დედებისთვისაც ვისაც 3 შვილი ან ინვალიდი ბავშვი ჰყავს. პირს, რომელიც წელიწადში 1 კვარტალი მაინც შრომობდა, 60 წლის მიღწევისას შეუძლია მიიღოს ნაწილობრივი პენსია.

ინვალიდობის შემწეობის იღებს 60 წელზე ახალგაზრდა მუშაკი, რომლის შრომითი სტაჟი ინვალიდობის დადგომის მომენტში უნდა აღემატებოდეს 800 საათს.

მარჩენალის დაკარგვის პენსიას იღებს 55 წელზე ახალგაზრდა ადამიანი, თუ მისი მარჩენალი დაღუპვამდე 12 თვის განმავლობაში, 3 თვე მაინც იყო დაზღვეული.

### ასაკის მიხედვით პენსიის მოცულობა

საფრანგეთის რესპუბლიკაში ასაკის მიხედვით პენსია შეადგენს დაზღვეული პირის მიერ შრომითი სტაჟის 25 საუკეთესო წლის განმავლობაში მიღებული ფიქსირებული შემოსავლის 50 პროცენტს. მას ემატება 1,25 პროცენტი ძირითადი სტაჟის ზემოთ გაწეული შრომის ყოველ კვარტალზე. შრომითი საქმიანობის გაგრძელებისა, სამუშაო საათების გათვალისწინებით პენსიონერი იღებს დამატებით პენსიის 30-70 პროცენტს. საფრანგეთის რესპუბლიკაში წელიწადში მინიმალური პენსია 7 ათას ევროს შეადგენს. ნაწილობრივი პენსია, ზემოთაღნიშნული შრომით სტაჟზე ნაკლები ვადის შემთხვევაში, პირის ბოლო შემოსავლის არანაკლებ 25 პროცენტის მოცულობით ინიშნება და არ უნდა აღემატებოდეს სრული პენსიის მოცულობას. ოფიციალურ (რეგისტრირებული ქორწინება) მეუღლეთათვის ასაკის მიხედვით პენსიაზე გაიცემა ყოველწლიური დანამატი 609,8 ევრო, მარტოხელა პენსიონერთათვის გაიცემა ყოველწლიური დანამატი 8300 ევრო.



### ინვალიდთა შემწეობის მოცულობა

საფრანგეთის რესპუბლიკაში ინვალიდის შემწეობის მოცულობა უდრის დაზღვეული პირის მიერ შრომითი საქმიანობის 10 საუკეთესო წლის განმავლობაში მიღებული საშუალო შემოსავლის 50 პროცენტს, მიმღების პროფესიის მიუხედავად, დაზღვეულის მიერ შრომის სახიფათო პირობებში მუშაობის შემთხვევაში აღნიშნული შემწეობა 30 პროცენტით იზრდება. მინიმალური შემწეობა წელიწადში 3200 ევროს შეადგენს. 62 წლის ასაკში ამ შემწეობის მიმღები პირი იწყებს ასაკის მიხედვით პენსიის მიღებას. თუ იგი აგრძელებს მუშაობას მავნე პირობებში, იგი პირველი 6 თვის განმავლობაში იგი სრულად იღებს ინვალიდის შემწეობას, შემდგომში ამ შემწეობის მიღება დამოკიდებულია შემწეობის ლიმიტთა მინიმუმსა და მაქსიმუმზე. ცხოვრების ღირებულების ცვლაესთან ერთად ყველა სახის შემწეობების მოცულობა პერიოდულად სუსტდება.

### შემწეობის მოცულობა მარჩენალის დაკარგვისას

საფრანგეთის რესპუბლიკაში მარჩენალის დაკარგვისას შემწეობის მოცულობა შეადგენს გარდაცვლილის მიერ მიღებული ან განკუთვნილი პენსიის 54 პროცენტს. თუ გარდაცვლილი რამდენჯერმე იყო ქორწინებაში, შემწეობა იყოფა თითოეული ქვრივზე გარდაცვლილ მარჩენალთან ქორწინებაში გატარებული წლების მიხედვით. გარდაცვლილის მინიმალური 15 წლიანი სამუშაო სტაჟის პირობებში წელიწადში შემწეობის მოცულობა 3153 ევროს შეადგენს, წელიწადში მარჩენალის დაკარგვისას გაცემული შემწეობის მაქსიმუმი 9263 ევროს შეადგენს. შვილებზე განკუთვნილია გარდაცვლილის პენსიის 10-პროცენტიანი დანამატი. დაკრძალვის ერთჯერადი შემწეობა შეადგენს გარდაცვლილის მიერ ბოლო 3 თვის განმავლობაში მიღებული საშუალო შემოსავლის 90 დღიან მოცულობას.

**დავით არაბიძე**
**განათლების ეროვნული კავშირის მდივანი**

# ათი ფაქტი, რომელიც მეცნიერებამ ვერ ახსნა

## სიგნალი –„ვაუ“ (WOW)

1977 წელს 15 აგვისტოს ჯეოტ ეიმანმა რადიოსიგნალი მიიღო კოსმოსიდან. სიგნალი ყველამ „არამიწიერად“ მიიჩნია. ეიმანმა სიგნალი კომპიუტერში შეიტანა და დააწერა კომენტარი: „ვაუ“! ეიმანის ზუსტად ეს გამონთქვამი დაერქვა ამ სიგნალს.

## „პიონერი“ 10 და 11-ის უცნაური გაუჩინარება

კოსმოსურმა სადგურმა „პიონერმა“ დიდი ხნის წინ დაასრულა ფრენა მზის სისტემაში, მაგრამ მეცნიერები დღემდე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მის მიმართ. კოსმოსში პიონერი 10 და პიონერი 11 გაგზავნეს. პიონერი 11 საერთოდ დაიკარგა, მანამდე კი ორივე ხომალდმა ფრენის პროცესში გაურკვეველი მიზეზების გამო თვითნებურად შეცვალა მარშრუტი შეცვალა. გამოცანა ამით არ მთავრდება: საქმე იმაშია, რომ საბოლოო ჯამში, ორივე ორივე ხომალდი ერთი და იმავე მიმართულებით გაემართა.



გაოგნებული მკვლევარები უამრავ მოსაზრებას და ვერსიებს აყალიბებდნენ ამ ფაქტის გარშემო. კომპიუტერული შეცდომა, მზიური ქარები, საწვავის ნაკლებობა, – აი, ეს მიზეზები სრულდებოდა, სავარაუდოდ. მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ვარაუდების დონეზე დარჩა. ორივე ხომალდი მზის სისტემაში მშვიდად გაფრინდა და დედამიწელების კოსმოსურ თვალთახედვას ყოველგვარი კატასტროფის გარეშე მიეფარა და აღარ გამოჩენილა.

## ქალთა ორგაზმი



მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალთა ორგანიზმი რუდიმენტულია – და მას აქამდე არავითარი ევოლუციური ცვლილება არ განუცდია. მათი შეხედულებით, ქალთა ორგაზმს განაყოფიერებასთან თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს. მეორენი ორგაზმის ფიზიკურ მხარეს გამორიცხავენ და ამტკიცებენ, რომ მას ქალთა ფსიქოსოციალური ასპექტები განსაზღვრავს.

## შავი ენერგია

ფიზიკოსთა დიდი ნაწილი დარწმუნებული იყო იმაში, რომ სამყაროს გაფართოება ნელ-ნელა წყდებოდა, მაგრამ 1998 წელს ცნობილი გახდა, რომ ეს ასე არ არის. პირიქით, სამყარო გაფართოებას განაგრძობს. რითი ხსნიან ამას? მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ეს არის მოვლენა, სახელწოდებით შავი ენერგია, რომელიც ჩვენი გარე სამყაროს სამ მეოთხედს მოიცავს.

## სინათლის სიჩქარე



აინშტაინის თეორიის მიხედვით, არაფერია უფრო სწრაფი, ვიდრე სინათლის სიჩქარე. მეცნიერებმა გადაწყვიტეს შეუძლებელი გაეკეთებინათ და წარმოადგინეთ, რომ მათ ეს გამოუვიდათ. 2000 წელს პრისტონის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა სუსტი ლაზერული იმპულსი გაგზავნეს ალის მეშვეობით, რომელიც გაზის შემცველობის ცეზიუმისგან იყო წარმოქმნილი. მეცნიერებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს: ლაზერული იმპულსი, რომელიც ცეცხლის ალად იყო გადაქცეული უფრო სწრაფი აღმოჩნდა, ვიდრე სინათლის სხივი.

## პლაცებოს ეფექტი



პლაცებო აბია, ანუ იგივე სამედიცინო პრეპარატი, რომელიც წამლად ითვლბა, თუმცა საბოლოო ჯამში, არ შეიცავს რომელიმე აქტიურ ინგრედიენტს. ამიტომაც არ აქვს არავითარი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე, რომელიც პლაცებოს მოიხმარს. ამ გამოუცნობ ფენომენს პლაცებოს ეფექტი ჰქვია. როგორ მოქმედებს ჩვენი ფსიქიკა ჩვენივე ჯანმრთელობზე, ჯერჯერობით ბოლომდე არ არის შესწავლილი მეცნიერთა მიერ. მკვლევარები რამდენიმე ათეული წელიწადია გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობენ და ვარაუდობენ, რომ მალე ეს „საიდუმლოც“ ამოხსნილი იქნება.

## ცივი ბირთვული სინთეზი

როდესაც ატომები გარკვეული ძალებით დაეჯახებიან, ისინი ერწყმიან ერთმანეთს. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება უდიდესი ენერგია.

მეცნიერული თეორიები გვიმტკიცებენ, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს დაუჯერებლად ძლიერი ენერგეტიკის საშუალებით, მაგალითად, მზის ბირთვში.

მეცნიერულმა ექსპერიმენტებმა დაამტკიცა, რომ ასეთი რამ რეალურ გარემოშიც შეიძლება მოხდეს. თუკი წყალში მყოფ პალადიუმის ელექტროდებს შორის ეექტრონულ ძაბვას გვატარებთ, ჩვენს თვალწინ სასწაული მოხდება.

## მთქნარება



მთქნარება დაღლილობის და სევდიანობის პირველი ნიშანია. ამ ფაქტს სახელს ვერავინ არქმევს – რატომ ამთქნარებს ადამიანი არა მხოლოდ მაშინ, როცა მოწყენილია ანდა ეძინება? ძალოსნები აღნიშავენ, რომ მათ ხანდახან მქთნარება ვარჯიშის დროსაც და შეჯიბრისასაც ეწყებათ. თანაც ის „გადამდებია“: თუკი თქვენს ახლოს ვინმე ამთქნარებს, თქვენც გაუცნობიერებლად იგივეს აკეთებთ.

მთქნარების მიზეზად ერთ-ერთი ჰიპოთეზით ნახშიროჟანგის დაგროვება ითვლება, მაგრამ რატომ არის მთქნარება გადამდები? ეს ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული.

## ბნელი მატერია

თანამედროვე შეხედულება გრავიტაციაზე არ გვაძლევს იმის ახსნის საშუალებას, თუ რატომ მოძრაობენ თავისუფლად საგნები კოსმიურ სამყაროში.

ეს გამოცანა რომ როგორმე ამოეხსნათ, თანამედროვე მეცნიერებმა განსაკუთრებული ჰიპოთეტური სუბსტანცია – შავი მატერია შექმნეს. შავი მატერიის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მისი გრავიტაციული მოქმედების დროს. ითვლება, რომ შავი მატერია ზებუნებრივი მასების დიდ ნაწილს მოიცავს.

## რა იყო და რა მოხდა მერე?!




უამრავი სხვადასხვანაირი თეორია არსებობს, რომელიც აღწერს, რა მოხდება, როცა სამყაროს აღსასრული დადგება. ასევე არსებობს სამყაროს წარმოშობის უამრავი ჰიპოთეზა. ცხადია, ამისთვის საჭირო არ არის კვანტური მექანიკის ცოდნა, რომ გავარჩიოთ, ამ თეორიებიდან რომელი შეიძლება სიმართლესთან ახლოს იყოს.

მართალია, არსებობის კითხვები, რომლებზე პასუხი არ არსებობს. მაგალითად, სად მიდის ადამიანი სიკვდილის შემდეგ? რა მიზანი აქვს ცხოვრებას? ეს შეკითხვები კიდევ კარგა ხანს არ მისცემს მოსვენებას მოაზროვნე ადამიანს.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – სასიყვარულო ურთიერთობებში საინტერესო ცვლილებები გელით. საქმიან ცხოვრებაში ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. მეტი დრო დაუთმეთ თქვენს გარეგნობას.

**კურო** – წარმატება გელით ბიზნესში დადიპლომატიურ სფეროში. ხელმძღვანელებთან ურთიერთობა ახალ პერსპექტივას დაგანახებთ. ოჯახურ ცხოვრებაში პატარ-პატარა პრობლემებია მოსალოდნელი.

**ტყუპები** – წინ წარმატებული პერიოდი გელით. ყოველ ნაბიჯზე ძლიერი პარტნიორის მხარდაჭერას იგრძნობთ. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.

**კირჩხიბი** – ამ პერიოდში თქვენი ცხოვრების დევიზია სიყვარული, ამიტომ ცხოვრების სხვა მიმართულებებს ნაკლები ყურადღება დაუთმეთ.

**ლომი** – სასიყვარულო ურთიერთობებში შეგიძლიათ თამამად გარისკოთ, რასაც არ გირჩევთ საქმიან ცხოვრებაში. ეცადეთ, კოლეგების კეთილგანწყობა მოიპოვოთ.

**ქალწული** – კარიერაში წინსვლა გელით. კარგი იქნება, თუ თქვენს ბიზნესს ახალ მიმართულებას მისცემთ. თქვენი იდეები და შრომისმოყვაერობა ხელმძღვანელობისაგან დაფასდება.

**სასწორი** – თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც სასწრაფო მოგვარებას მოითხოვს. ეს საკუთარ ძალებში დაგარწმუნებთ. შრომა დაგიფასდებათ.

**მორიელი** – ენერგიის მომატებას იგრძნობთ, ამიტომ, კარგი იქნება თუ დამატებით სამუშაოს აიღებთ. ამ პერიოდში ყველაფერი ადვილად გამოგივათ.

**მშვილდოსანი** – დასახულ მიზნებს ადვილად განახორციელებთ. პირად ცხოვრებაშიც თქვენთვის სასურველ პოზიციებს დაიკავებთ, ამიტომ დროა, იმოქმედოთ.

**თხის რქა** – დროის დიდი ნაწილი საყვარელ ადამიანს და ოჯახის წევრებს დაუთმეთ. მათგან მიღებული მუხტი ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ. გელით სასიამოვნო სიურპრიზი.

**მერწყული** – ეს პერიოდი ახალ ურთიერთობებსა და სამომავლო გეგმების ორგანიზებას დაუთმეთ. პირად ცხოვრებაში ჰარმონიის მიღწევა არ გაგიჭირდებათ.

**თევზები** – ეს პერიოდი კარიერაში სერიოზულ პერსპექტივებს გპირდებათ. საქმიანი შეხვედრები თქვენთვის სასურველი შედეგებით დასრულდება. პირად ცხოვრებაში იდეალური სიტუაცია შენარჩუნდება.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

1. ჰერკულესი. 2. გვარდია. 3. გეტრუდა. 4. ამპერმეტრი. 5. დეპი. 6. ატმოსფერო. 7. პიპკი. 8. სტენვეი. 9. გერშონი. 10. ურარტუ. 11. მხატი. 12. შიფონერი. 13. ფირფიტა. 14. იფიკლე. 15. ფიშტო. 16. ავტორი. 17. კოწახური. 18. ლახვარი. 19. კეტჩუპი. 20. ოხრანკა. 21. ხალტურა. 22. ბეჭი. 23. პაგოპაგო. 24. შერემეტიევო. 25. მარათონი. 26. ჯანჯუხი. 27. ნაომი. 28. ბაქიბუქი. 29. მინანქარი. 30. ბარაბასი. 31. მეფისნაცვალი. 32. სასა. 33. კასტრაცია. 34. ნაჯახი. 35. მქისე. 36. ხანუმა. 37. უკუნი. 38. როსია. 39. როინიში. 40. იანიჩარი. 41. ყირიმი. 42. ქალამანი. 43. ცინცხალი. 44. ხარისხი. 45. შპაგინი. 46. წვიმა. 47. მოლი. 48. ცხავი. 49. ალაქსა. 50. იგავი. 51. გელათი. 52. ჩვამა. 53. მანილა. 54. ჰიმნი. 55. მადლენ. 56. ანდები. 57. ბრი. 58. ბენუარი. 59. თიმფუ. 60. ბლითი. 61. მნათე. 62. სდექ. 63. სამბა. 64 არიფი. 65. აბულია. 66. აიაქსი.